

# მ გ რ ე ბ ი

სცენები

მოკმედი პირნი

ბარდინი ზახარი, 45 წლის.

პოლინა, მისი ცოლი, თითქმის 40 წლის.

ბარდინი იაკობი, 40 წლის.

ტატიანა, მისი ცოლი, 28 წლის, მსახიობი.

ნადია, პოლინას დისწული, 18 წლის.

პეჩენეგოვი, სამსახურიდან გადამდგარი გენერალი, ბარდინების ბიძა.

სკრობოტოვი მიხეილ, 40 წლის, ვაჟარი, ბარდინების კომპანიონი.

კლეოპატრა, მისი ცოლი, 30 წლის.

სკრობოტოვი ნიკოლაი, მისი ძმა, 35 წლის, იურისტი, პროკურო-

რის თანაშემწე.

სინცოვი, კანტორის მოხელე.

პოლოგი, კანტორის მოხელე.

კონი, სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცი.

გრეკოვი

ლევინი

იაგოდინი

რიაბცოვი

აკიმოვი

აგრაფენა, მწე ქალი.

ბობოელოვი, როტმისტრი.

კვიჩი, ვახმისტრი.

პორუჩიკი.

ბოქაული.

ურიადნიკი.

ქანდარგები, ჯარისკაცები, მუშები, კანტორის მოხელენი, შინამოსამსახურენი,

მუშები.

# მოკმედა პირველი

ბლი. დიდი, ბებერი ცაცხევი. სიღრმეში ცაცხევებ ქვეშ დგას თეთრი სამ-  
ხედრო კარავი. მარჯვნივ, ხეების ქვეშ, ფართო მოგრძო სკამი ბელტებისაგან. მას  
წინ დგას მაგიდა. მარცხნივ, ცაცხევის ჩრდილში, — გრძელი მაგიდა, სუფრა  
გაშლილია საუზმისათვის. დუღს მომცრო სამოვარი. მაგიდის ირგვლივ დაწული  
სკამები და სავარძლებია. აგრაფენა ყავას ადუღებს. ხის ქვეშ კონი აყუდე-  
ბულა და ყალიონს ეწევა, მის წინ დგას პოლოგი.

პოლოგი — (ლაპარაკობს, თან ხელებს უაზროდ აქნევს).. რა თქმა  
უნდა, თქვენ მართალს ბრძანებთ. ასე ვთქვათ, მე ერთი პატარა კაცი  
ვარ, ჩემი ცხოვრებაც უმნიშვნელოა, მაგრამ ყოველი კიტრი საკუთა-  
რი ხელით მომიყვანია და ვერავის ნებას ვერ მივცემ, რომ მუქთად  
სწყვიტონ.

კონი — (დაღვრებით). ჰოდა, შენს ნებართვას არავინ არ თხოუ-  
ლობს.

პოლოგი — (გულზე ხელს დაიდებს). მოითმინეთ! თუ თქვენს სა-  
კუთრებას შელახავენ, ხომ გაქვთ უფლება კანონის დაცვა მოი-  
თხოვოთ?

კონი — მოითხოვე. დღეს კიტრებს სწყვეტენ, ხვალ კი თავების  
წაგდებინებას დაიწყებენ... ესეც შენი კანონი!

პოლოგი — კი მაგრამ... ეს უცნაურია და თითქმის სახიფა-  
თოც გასაგონად! ნუთუ თქვენ, ჯარისკაცსა და კავალერს, შეგიძ-  
ლიათ გვერდი აუაროთ კანონს?

კონი — კანონი — არ არსებობს. არის ბრძანება: მარცხნისაკენ  
იარ! და უნდა იარო! გეტყვიან — სდექ! და მაშასადამე, უნდა დადგე!

აგრაფენა — თქვენ კი, კონ, ნეტა არ აბოლებდეთ აქ თქვენს  
წიკოს. მისგან ხეებზე ფოთოლი ჰკნება.

პოლოგი — შიმშილის გამო რომ სჩადიოდნენ, გასაგები იქ-  
ნებოდა. შიმშილს მრავალი საქციელის ახსნა შეუძლია. შეიძლება  
ითქვას, რომ ყოველი სისაძაგლე შიმშილის გამო ხდება. როცა გზია,  
მაშინ რასაკვირველია...

კონი — ანგელოზები არ სჭამენ, მაგრამ სატანა მაინც ღმერთის წინააღმდეგ აღიმართა.

პოლოგი — (მხიარულად). აი, მეც სწორედ ამას ვუწოდებ უტიფრობას... (მოდის იაკობ ბარდინი. ლაპარაკობს წყნარი ხმით და თითქოს თვითონვე ყურს უდგებს თავის სიტყვებს. პოლოგი სალამს აძლევს. კონი გულგრილად აძლევს საჩხედრო სალამს).

იაკობი — გამარჯობათ. თქვენ — რა გინდათ?

პოლოგი — ზახარ ივანოვიჩთან უმორჩილესი თხოვნით...

აგრაფენა — საჩივრულად მოვიდა. წუხელის ქარხნის ბიჭებმა კიტრები მოპარეს.

იაკობი — ა — ა... ეს ძმას უნდა უთხრაო!

პოლოგი — სრული სიმართლეა... მეც სწორედ მათკენ მივმართები.

კონი — (ბუზღუნით). არსაითაც არ მიდინხარ, დგხარ ერთ ადგილას და წუწუნებ.

პოლოგი — მე მგონი, თქვენ არ გიშლით. თქვენ რომ გაზეთს კითხულობდით, ან სხვა რაიმეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ხელს შევიშლიდით.

იაკობი — კონ, მოდი აქ...

კონი — (მიდის). წუწუკი კაცი ხარ, პოლოგი, შარიანი!

პოლოგი — თქვენ ტყუილუბრალოდ ამბობთ მაგ სიტყვებს... ენა მისთვის აქვს ადამიანს, რომ ცას შესჩივლოს.

აგრაფენა — მორჩით, რაღა, პოლოგი... თითქოს კაცი კარა, კოლო იყო...

იაკობი — (კონს). რად არის აქა? ნეტა წავიდეს...

პოლოგი — (აგრაფენას). თუ ჩემი სიტყვები აწუხებენ თქვენს ყურთასმენას და გულს კი არ ეხებიან, — დავდუმდები. (მიდის სიღრმისკენ ბილიკით და ხელით ხეებს სინჯავს).

იაკობი — (შემკრთალი). კონ, მგონი, გუშინ ისევ ვაწყენინე ვიღაცას?

კონი — (ჩაიცივნებს). ჰო, ეს მართლა მოხდა!

იაკობი — (გაივლის). ჰმ... საკვირველია! რატომ არის, რომ სიმთვრალეში მუდამ უკმეხად ვლაპარაკობ...

კონი — ასე ხდება ხოლმე... მთვრალი კაცი ხშირად ფხიზელს სჯობია. უფრო გაბედულია, არავეისი არ ეშინია და თავსაც არ ზოვავს. ჩვენს ასეულში ერთი უნტერ-ოფიცერი გვყავდა. სიფხიზლეში — მლაქვენელი იყო, მახეზლარი და მოჩხუბარი. დათვრებოდა და ტირილს დაიწყებდა. ძმებო — იხეწებოდა — მეც ადამიანი ვარ

და ერთი ჩამაფურთხეთ სიტუაქიო! ზოგნი — აფურთხებდნენ კიდეც. იაკობი — ჰოდა ვის ველაპარაკებოდი გუშინ?

კონი — პროკურორს. უთხარით, რომ მას კუნძივით თავი აქვს... მერე დსრექტორის ცოლზე უთხარით პროკურორს, რომ ბლომად საყვარლები ჰყავსო.

იაკობი — აი... მერე და, რა ჩემი საქმეა ეს?

კონი — არ ვიცი. თქვენ კიდეც...

იაკობი — კარგი, კონ, კმარა... თორემ გამოდის, რომ ყველას რაიმე არასასიამოვნო ვუთხარი. დიახ, ხედავ როგორი უბედურებაა არაყი... (შივა მაგიდასთან და უცქერის ბოთლებს. ასხამს მოზრდილ ჭიქაში და პატარა ყლუბებით სვამს არაყს. აგრაფენა აღმაეცრად უცქერის მას და ოხრავს). ცოტათი გებრალებით, არა?

აგრაფენა — ძალიან გებრალებით... თქვენ ისე უბრალოდ გიჭირავთ თავი ყველასთან, თითქოს ბატონი არც კი ბრძანდებოდეთ.

იაკობი — აი, კონს კი არავე არ ებრალება. ის მხოლოდ ფილოსოფოსობს. კაცი რომ ჩაფიქრდეს, ის ძლიერ გულნატკენი უნდა იყოს. ხომ ასეა, კონ? (კარავიდან ისმის გენერლის ყვირილი: „კონ! ვი!“). ბევრი გაწამეს და ამიტომ გახდით ჭკვიანი, არა?

კონი — (მიდის). როგორც კი გენერალს დავინახავ, — ისევე უეცრად ვსულელდები.

გენერალი — (გამოდის კარავიდან). კონ! საბანაოდ, ჩქარა... (მიღიან ბაღის სიღრმეში).

იაკობი — (სვამზე დაჯდა, ქანაობს). ჩემს მეუღლეს კიდეც სძინავს?

აგრაფენა — უკვე აბრძანდა. იბანავა.

იაკობი — მაშ თქვენ გებრალებით?

აგრაფენა — ნეტავი იმკურნალებდით..

იაკობი — აბა, დამისხით ცოტაოდენი კონიაკი.

აგრაფენა — შეიძლება არ არის საჭირო, იაკობ ივანოვიჩ?

იაკობი — ვითომ რათაო? ერთხელ რომ არ დავლიო — ეს ევრაფერი შეღავათია.

(აგრაფენა ამოიოხრებს და უსხამს კონიაკს. ჩქარი ნაბიჯით შემოდის მიხეილ სკრობოტოვი. ის შემფოთებულა, ნერვიულად იწიწნის შავს, წვეტიან წვერებს. ხელში ქუდი უჭირავს და ხშირ-ხშირად ჭმუქნის).

მიხეილი — ზახარ ივანოვიჩი ადგა? ჯერ არა? რასაკვირველია, არა?! მომამწოდეთ... არის აქ ცივი რძე? გმადლობთ. დილა მშვიდობისა, იაკობ ივანოვიჩ! ახალი ამბავი იცით?.. ეს არამზადები მოითხოვენ, რომ ოსტატი დიჩკოვი გავაგდო... დიახ! იმუქრებიან, მუშაობას შევწყვეტო. ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი...

იაკობი — თქვენც აიღეთ და დაითხოვეთ ოსტატი.

მიხეილი — ეს იოლი ამბავია, მაგრამ საქმე ამაში ზომ არ არის. საქმე ის არის, რომ ამგვარი დათმობები რყენიან მათ. დღეს ოსტატის გაგდებას მოითხოვენ, ხვალ კი მოისურვებენ, რომ თავი ჩამოვიხრჩო მათი სიამოვნებისათვის...

იაკობი — (წყნარად). თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი მხოლოდ ხვალ მოინდომებენ ამას?

მიხეილი — თქვენ ხუმრობის გუნებაზე ხართ! არა, აბა სინჯეთ და იქონიეთ საქმე ტურტლიან ჯენტლმენებთან, როდესაც ისინი ათას კაცამდე არიან და მათ თავბრუსა ხვევენ, — თქვენი ძამია ათასნაირი ლიბერალური აბდა-უბდით და ვიღაც იდიოტები თავისი პროკლამაციებით!.. (დახედავს საათს). მალე ათი იქნება. იმუქრებიან, რომ სადილობისას დაიწყებენ თავიანთ პაპულობას... დიან, იაკობ ივანოვიჩ, ჩემი შვებულების დროს თქვენმა პატივცემულმა ძამიამ გამიფუჭა ქარხანა... მან გამირყენა ხალხი სიმტკიცის უქონლობით... (მარჯვნიდან გამოვა სინცოვი, დაახლოებით ოცდაათი წლისაა, მის აღნაგობაში და სახეში არის რაღაც მშვიდი და მნიშვნელოვანი).

სინცოვი — მიხეილ ვასილევჩი! კანტორაში მოვიდნენ მუშათა დეპუტატები, მოითხოვენ მებატრონებს.

მიხეილი — მოითხოვენ? ო, ჯანდაბისაკენაც გზა ჰქონიათ. (პოლინა მოდის მარცხენა მხრიდან). მაპატიეთ, პოლინა დმიტრიევნა!

პოლინა — (თავაზიანად). თქვენ — ყოველთვის ილანძლებით ახლა რისთვის?

მიხეილი — აი, სულ ამ პროლეტარიატის გამო. ო! ის მოითხოვს! უწინ თავმდაბლად მემუდარებოდა...

პოლინა — თქვენ მკაცრად ეპყრობით ხალხს, გარწმუნებთ!

მიხეილი — (ხელებს ასავსებებს). აი, ხომ ხედავთ?

სინცოვი — რა ვუთხრა დეპუტატებს?

მიხეილი — დაიცადონ! წადით. (სინცოვი აფიქარებლად მიდის).

პოლინა — რა საინტერესო სახე აქვს ამ მოსამსახურეს. დიდი ხანია, რაც ჩვენთან არის?

მიხეილი — დაახლოებით ერთი წელიწადი...

პოლინა — წესიერი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. ვინ არის?

მიხეილი — (მხრებს აიჩეჩავს). ის იღებს ორმოცდახუთ მანეთს. (დახედავს საათს, ამოიხრებს, მიმოიხედავს. დაინახავს ხის ქვეშ მდგარ პოლოვს). თქვენ აქ რა გინდათ? ჩემს წასაყვანად მოხვედით?

პოლოვი — მე, მიხეილ ვასილევჩი, ზახარ ივანოვიჩთან გეახელით.

მიხეილი — რისთვის?

პოლოვი — საკუთრების უფლების დარღვევის გამო...

მიხეილი — (პოლინას). აი, გირდგენტ. ესეც ერთ-ერთი ახალი მოსამსახურეა! უყვარს მებოსტნეობა. ღრმად დარწმუნებულია, რომ ყველაფერი დედამიწაზე მისი ინტერესების დასარღვევად და შექმნილი. ყველაფერი ხელს უშლის: მზე, ინგლისი, ახალი მანქანები, ბაყაყები...

პოლოვი — (ლიბილით). ვბედავ მოგახსენოთ, ბაყაყი ხელს ყველას უშლის, როცა ყიყინებს.

მიხეილი — აბა, წადით კანტორაში! ეს რა ჩვეულებაა — საქმე მიგიტოვებთ და მოდიხართ საჩიველად. მე ეს არ მომწონს, წადით!.. (პოლოვი მიდის. პოლინა ლიბილით გაცქერის ლორწებით).

პოლინა — აი, რა სასტიკი ხარ! ის კი — სასაცილოა. იცით, რუსეთში ხალხი უფრო ჭრელია, ვიდრე საზღვარგარეთ.

მიხეილი — არა, საძაგელია, ასე თუ იტყვით, დაგეთანხმებით. თხუთმეტი წელიწადია ამ ხალხს ეხელმძღვანელობ... და ვიცი რას წარმოადგენს ეს — კეთილი რუსი ხალხი, დამშვენებული ხუცური ლიტერატურით.

პოლინა — ხუცურია?

მიხეილი — ჰო, რასაკვირველია. ყველა ეს ჩერნიშევსკები, დობროლიუბოვები, ზლატოვრატსკები, უსპენსკები... (საათს დახედავს). ძალიან კი იგვიანებს ზახარ ივანოვიჩი, ა?

პოლინა — იცით, რითია გართული? გუშინდელი ჭადრაკის პარტიას ამთავრებს თქვენ ძმასთან.

მიხეილი — იქ კი ნასადილევს მუშაობის შეწყვეტა უნდათ... არა, იცით, რუსეთიდან არასდროს ხეირი არ იქნება! ეს ნამდვილად ასეა! ანარქიზმის ქვეყანაა!.. ორგანული ზიზღი მუშაობისადმი და წესრიგის დაცვის სრული უუნარობა. კანონიერებისადმი პატივისცემა არ არსებობს...

პოლინა — მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია! საიდან იქნება კანონიერება იმ ქვეყანაში, სადაც არ არის კანონები? ჩვენ შორის რომ ვთქვათ, ჩვენი მთავრობა ხომ...

მიხეილი — მე არავის არ ვამართლებ! არც მთავრობას! თუნდ ანგლო-საქსი! (მოდიან ზახარ ბარდინი და ნიკოლაი სკრობოტოვი). სახელმწიფოს შესაქმნელად უკეთეს მასალას ვერც ინატრებ. ინგლისელი კანონის წინაშე ისე დადის, როგორც გაწვრთნილი ცხენი ცირკში. კანონიერების გრძნობა ძვალრბილში აქვს გამჟღადარი... ზახარ ივანოვიჩ, სალამი! გამარჯობა, ნიკოლაი! ნება მომეცით გამცნოთ

ახალი შედეგი თქვენი ლიბერალური პოლიტიკისა მუშებთან: ისინი მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ დავითხოვოთ დიჩკოვი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნასადილევის შეწყვეტენ მუშაობას... დი-ახ! თქვენ როგორ უყურებთ ამას?

ზ ა ხ ა რ ი — (მუბღს ისრეს). მე? ჰმ... დიჩკოვი? ეს... რომელსაც მუშების ცემა-ტყეპა უყვარს? და გოგოების მიმართაც... რა თქმა უნდა, დიჩკოვი უნდა დავითხოვოთ! სამართლიანი მოთხოვნა!

მ ი ხ ე ი ლ ი — (ღელავს). ფუი! პატივცემულო კომპანიონო, მოდით, სერიოზულად ვილაპარაკოთ. აქ ჩვენ ვმსჯელობთ საქმეზე და არა სამართლიანობაზე. სამართლიანობა — ეს ხომ ნიკოლაის სპეციალობაა! და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ — სამართლიანობა, როგორც თქვენ გესმით, დამღუპველია საქმისათვის.

ზ ა ხ ა რ ი — ნება მიბოძეთ, ძვირფასო! თქვენ პარადოქსებს ამბობთ.

პ ო ლ ი ნ ა — საქმიანი ლაპარაკი ჩემი თანდასწრებით... დილიდანვე?

მ ი ხ ე ი ლ ი — ათასჯერ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა განვაგრძო. ამ მოლაპარაკებას მე გადამწყვეტად ვთვლი. ვიდრე შევებულებაში წავიდოდი, ქარხანა ხელში ასე მეჭირა. (უჩვენებს მუშებს). და ჩემთან ვერაფერს ბედავდა წრიბინს... ყველა ამ საკვირაო სკოლებს, წიგნების კითხვას და სხვა ამგვარ ოინებს, როგორც მოგესხენებათ, არ ვთვლიდი სასარგებლოდ ჩვენს პირობებში... რუსული ნედლი ტვინი როდი აინთება ხოლმე გონიერების შუქით, როდესაც მას ხვდება ცოლნის ნაპერწკალი — ის მხოლოდ ბეუტავს და ხრჩოლავს.

ნ ი კ ო ლ ა ი — დამშვიდებით ილაპარაკე!

მ ი ხ ე ი ლ ი — (თავს ძლივს იკავებს). გმადლობთ რჩევისათვის. თქვენი რჩევა მეტად ბრძნულია, მაგრამ არ გამომადგება! თქვენმა დამოკიდებულებამ მუშებისადმი, ზახარ ივანოვიჩი, ნახევარი წლის განმავლობაში შეარყია და დაშალა ის მტკიცე აპარატი, რომელიც ჩემი რვა წლის შრომით იყო შექმნილი. მე პატივს მცემდნენ, კარგ მეპატრონედ მთვლიდნენ. ახლა კი, ყველასათვის ცხადია, რომ საქმეში ორი მეპატრონეა, კეთილი და ბოროტი, — კეთილი, რა თქმა უნდა, თქვენ ბრძანდებით!

ზ ა ხ ა რ ი — (შემკრთალი). მოითმინეთ... რათ მსჯელობთ ეგრე?

პ ო ლ ი ნ ა — მიხეილ ვასილევჩი, თქვენ ძალიან უცნაურად ლაპარაკობთ!

მ ი ხ ე ი ლ ი — მაქვს მიზეზი ასე ვილაპარაკო... მე უკიდურესად სულელურ მდგომარეობაში ვარ! ამას წინათ, გა-

მოვეუცხადე მუშებს, რომ უფრო ადრე დავხურავ ქარხანას, ვიდრე დავითხოვ დიჩკოვს... მათ გაიგეს, რომ მე სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც ვთქვი, და დაწყნარდნენ. პარასკევს კი თქვენ, ზახარ ივანოვიჩი, უთხარით მუშა გრეკოვს, რომ დიჩკოვი უხეში კაცია და მის დათხოვნას აპირებთ.

ზ ა ხ ა რ ი — (წყნარად). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, თუკი ის ხალხს სცემს და ცხვირპირს ამტკრევს... და სხვა ამგვარი? დამეთანხმეთ — ამის მოთმენა არ შეიძლება! ჩვენ ხომ ევროპელები ვართ — კულტურული ხალხი!

მ ი ხ ე ი ლ ი — უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ქარხნის მეპატრონეები ვართ! მუშები ყოველ უქმე დღეს ერთმანეთს ცხვირპირს ამტკრევენ, და მერე ჩვენ რა გვესაქმება? მაგრამ საკითხი, — რამდენად საჭიროა, რომ მუშებს რიგიანი ქცევა ასწავლოთ, — არც ისე სასწრაფოა. ახლა კი კანტორაში დეპუტაცია გელოდებათ. ისინი მოითხოვენ, რომ დიჩკოვი სამსახურიდან დაითხოვოთ. რას აპირებთ?

ზ ა ხ ა რ ი — განა, დიჩკოვი ასეთი საჭირო კაცია? ა?

ნ ი კ ო ლ ა ი — (ცოვად). რამდენადაც მესმის, აქ საქმე ეხება არა ამა თუ იმ პიროვნებას, არამედ პრინციპს.

მ ი ხ ე ი ლ ი — სწორედ ეგრეა! საკითხი ასე დგას: ვინ არის ქარხნის ნამდვილი მეპატრონე — ჩვენ თუ მუშები?

ზ ა ხ ა რ ი — (დაბნული). აჰა! მესმის! მაგრამ...

მ ი ხ ე ი ლ ი — თუ ცათმობაზე წავედით, არ ვიცი, კიდევ რას მოითხოვენ ეგ უტიფრები. საკვირაო სკოლებმა და სხვა ამგვარმა რამეებმა უკვე გამოიღეს თავისი ნაყოფი ამ ნახევარი წლის განმავლობაში — მგლებივით მიყურებენ და პროკლამაციებიც გაჩნდა... ამას ყველაფერს სოციალიზმის სუნი ასდის! დიახ!

პ ო ლ ი ნ ა — ასეთი მიყრუებული კუთხე და, უცებ — სოციალიზმი... ეს მართლაც სასაცილოა.

მ ი ხ ე ი ლ ი — თქვენ ეგრე გგონიათ? პატივცემულო პოლინა დიმიტრიევნა, პატარა ბავშვები ყოველთვის გვაცინებენ და გვართობენ, მაგრამ ისინი თანდათან იზრდებიან და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ვხედავთ მოზრდილ არამზადას.

ზ ა ხ ა რ ი — მერე, როგორ ვსურთ მოიქცეთ? ა?

მ ი ხ ე ი ლ ი — ქარხანა უნდა დაიხუროს. დაე, ცოტა იშიმშილონ. ეს მათ გამოათხიზლებს. (იაკობი ღვება, მივა მაგიდასთან და სვამს. ზამღვა ნელი ნაბიჯით მიდის). როდესაც ჩვენ ქარხანას დავხურავთ, საქმეში ქალები ჩაერგვიან... იტირებენ, ქალის ცრემლი კი მოქმედებს

ოცნებით დამთვრალ ადამიანზე ისე, როგორც ნიშადური, — იგი აფხიზლუბს.

პოლინა — რა უღმობელი სიტყვებია!

მიხეილი — ამას შოთხოვს ცხოვრება!

ზახარი — კი, მაგრამ, იცით, ეს ღონისძიება... განა ეს აუცილებლობითაა გამოწვეული?

მიხეილი — თქვენ გაქვთ რაიმე სხვა წინადადება?

ზახარი — მე რომ მათთან მოსალაპარაკებლად წავიდე, ა?

მიხეილი — თქვენ, რასაკვირველია, დაუთმობთ და მაშინ ჩემი მდგომარეობა აუტანელი შეიქნება... ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენი ყოყმანი ჩემთვის დიდად საწყენია, დიას! და მადნეც!

ზახარი — (აჩქარებით). პო მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე ხომ არას ვამბობ, მე მხოლოდ ვფიქრობ. იცით, მე უფრო მემამულე ვარ, ვიდრე მრეწველი... ყოველივე ეს ჩემთვის ახალია, რთულია... ბინდა სამართლიანი ვიყო... გლეხები უფრო გულკეთილები, სათნონი არიან. მათ მე მშვენივრად ვეწყობი!.. როგორც ვამჩნევ მუშებშიც არიან საინტერესო ფიგურები, მაგრამ მასაში, — გეთანხმებით, მეტად თავაშვებულნი არიან.

მიხეილი — განსაკუთრებით იმ დროიდან, რაც თქვენ მათათვისგან რამეს დაპირდით.

ზახარი — კი, მაგრამ ხომ ხედავთ, თქვენი წასვლისთანავე დაიწყო რაღაც გამოცოცხლება... ესე იგი მღელვარება... შესაძლოა, გაუფრთხილებლობა გამოვიჩინე... მაგრამ საჭირო იყო მათი დაშორებისება. ჩვენზე გაზეთებში სწერდნენ... და ძალიან მწვავედაც, იცით...

მიხეილი — (მოუთმენლად). ახლა თერთმეტის ჩვიდმეტი წუთია. საჭიროა საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრა. იგი ასე დგას: ან მე ვხურავ ქარხანას, ან მივდივარ. ქარხნის დახურვით ჩვენ ზარალი არ მოგვივა — მე უკვე მივიღე ზომები. სასწრაფო დაკვეთები მზადაა და საწყობებშიც გვაქვს ზოგი რამ...

ზახარი — დიას! საჭიროა საკითხის გადაჭრა დაუყოვნებლივ... მესმის! თქვენ როგორ ფიქრობთ, ნიკოლაი ვასილევჩი?

ნიკოლაი — ვფიქრობ, რომ ჩემი ძმა მართალია. საჭიროა მტკიცედ დავიცვათ გარკვეული პრინციპები, თუკი ჩვენთვის ძვირფასია კულტურა.

ზახარი — ესე იგი, თქვენც ასევე ფიქრობთ — უნდა დაიხუროს? კი! რა სამწუხაროა... ძვირფასო მიხეილ ვასილევჩი, ნუ მოგჯავრდებით... მე გაცემთ პასუხს... ათიოდე წუთის შემდეგ... კარგი!

მიხეილი — როგორც ვენებოთ!

ზახარი — პოლინა, გთხოვთ, წამომყევით.

პოლინა — (მისდევს ქმარს). ოჰ, ღმერთო ჩემო!.. რა არასასიამოვნოა ყოველივე ეს...

ზახარი — გლახს აზნაურისადმი საუკუნეებით თანდაყოლილი პატივისცემის გრძნობა აქვს. (გაიღინენ).

მიხეილი — (ჩურჩულით). უნიათო! ის ამას ამბობს სამხრეთში მომხდარი აგრარული ამბოხების შემდეგ! სულელი!

ნიკოლაი — დამშვიდდი, მიხეილ! თავი უნდა შეიკავო.

მიხეილი — მე ნერვები მტკივა, გაიგე! მივდივარ ქარხანაში — და აი! (ამოიღებს ჯიბიდან რევოლვერს). მე იმათ ვძულვარ ამ რევოლვერის წყალობით. და არც შემძლია დავანებო თავი საქმეს — შენ პირველი გამკიცხავდი ამისათვის. ამ საქმეშია მოთავსებული მთელი ჩვენი კაპიტალი... წავალ თუ არა, — ეს თავმოტყუებული იდიოტი ყველაფერს დალუბავს.

ნიკოლაი — (წყნარად). კი! ეს ცუდი ამბავია, თუკი არ აზნაულებ.

სინცოვი — (მოდის). მუშები გთხოვენ...

მიხეილი — მე? რა მოხდა?

სინცოვი — ხმა გავრცელდა — ნაშუადღევს ქარხანას დახურავენ.

მიხეილი — (ძმას). როგორ მოგწონს? საიდან იციან?

ნიკოლაი — ალბათ, იაკობ ივანოვიჩმა უთხრა.

მიხეილი — ა-ა... ჯანდაბას! (უყურებს სინცოვს დაუფარავი ბრაზით). თქვენ კი რად სწუხართ ეგრე, ბატონო სინცოვი? მოდიხართ, მეკითხებით... ჰა?..

სინცოვი — ბუღალტერმა მოხოვა თქვენთან მოვსულიყავი.

მიხეილი — მართლა? ეს რა ჩვეულება გაქვთ: ქვეშ-ქვეშ იყურებით და ტუჩებსაც დემონურად მანჭავთ? ნება მომეცით შეგეკითხოთ: რა გიხარიათ?

სინცოვი — ვფიქრობ, რომ ეს ჩემი საქმეა.

მიხეილი — მე კი სხვანაირად ვფიქრობ... და წინადადებას გაძლევთ ჩემთან უფრო ზრდილობიანად მოიქცეთ... დიას... (სინცოვის მას დაძაბული უყურებს). აბა, რაღას ელოდებით!

ტატიანა — (გამოდის მარჯვნიდან). ა, დირექტორს ვახლავარ. გეტყვით? (უყვირს სინცოვს). მატყვი ნიკოლაევიჩი, სალამი!

სინცოვი — (აღერსიანად). დილა მშვიდობისა! როგორ ბრძანდებით, ხომ არ დადლილხართ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — გმადლობთ, არა! ხელები ცოტათი მტკივა ნიჩბების მოსმისაგან... სამსახურში მიდიხართ? ჭიშკრამღე მიგაცილებთ. იცით, რა უნდა ვითხრათ?

ს ი ნ ც ო ვ ი — ცხადია, არ ვიცი.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მიღის სინკოვის ვერძით). ყოველივე ის, რაც თქვენ გუშინ მითხარით, ძალზე გონიერულია. არა, კიდევ მეტი — რალაც ემოციური და წინასწარგანზრახული... ზოგი აზრი მით უფრო დამაჯერებელია, რაც ნაკლები მგრძნობიერია... (არ ისმის რას ლაპარაკობენ).

მ ი ხ ე ი ლ ი — როგორ მოგწონთ ასეთი სიტუაცია? თქვენი მოსამსახურე, რომელიც ეს-ესაა დატუქსეთ თავხედობისათვის, თქვენს თვალწინ შინაურულად საუბრობს თქვენივე კომპანიონის ძმის მეუღლესთან!.. ძმა — ლოთი, ცოლი — მსახიობი... რა შევწყლისათვის ჩამოვიდნენ აქ? ვერ გამოვიდა...

ნ ი კ ო ლ ა ი — უცნაური ქალია: ლამაზი, კარგად იცვამს, ასეთი მომხიბლავი და მგონი იწყებს რომანს მათხოვართან. ექსცენტრიულობაა, მაგრამ სისულელეცაა...

მ ი ხ ე ი ლ ი — (ირონიულად). ეს დემოკრატიზმია. იცი, ის სოფლის მასწავლებლის ქალიშვილია და ამბობს, რომ გული ყოველთვის მდაბიო ხალხისკენ მიუწევს. რა ეშმაკმა გადაჰკიდა ამ შემამულეებს.

ნ ი კ ო ლ ა ი — ეს როდია ცუდი. საქმის ბატონ-პატრონი ხომ შენა ხარ.

მ ი ხ ე ი ლ ი — ვიქნები, მაგრამ ჯერ ბატონ-პატრონი არა ვარ.

ნ ი კ ო ლ ა ი — ვფიქრობ, ის ადვილად მისაწვდომია და, მგონი, ავხორციც...

მ ი ხ ე ი ლ ი — იმ ლიბერალმა დაიძინა იქ, თუ რა ღმერთი უწყობდა. არა, მე ვამბობ რომ რუსეთს არა აქვს სიცოცხლის უნარი!.. ხალხი გზააბნეულია, არავინ არ იცის თავისი ადგილი, ყველანი დახეტიალობენ, ოცნებობენ, ლაპარაკობენ... მთავრობა, — ეს ვიღაც გამოყვეჩებულ ადამიანების ხროვანა. ბოროტები, სულელები... მათ არაფერი გაეგებათ, არაფრის გაკეთების უნარი არა აქვთ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ბრუნდება). ყვირით? ყველანი რატომღაც იწყებენ ყვირილს...

ა გ რ ა ფ ე ნ ა — მიხეილ ვასილევჩი, ზახარ ივანოვიჩი გთხოვთ.

მ ი ხ ე ი ლ ი — (მიღის, ბოლომდე არ მოუსმენია). ძლივს!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მოუჯდება მაგიდას). რაღა ასე ალეღვებულნი?

ნ ი კ ო ლ ა ი — მგონი, ეს თქვენთვის არაა საინტერესო.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (დამშვიდებით). ის მე მაგონებს ერთ პოლიციელს. ჩვენთან, კოსტრომაში, სცენაზე ხშირად მორიგეობდა პოლიციელი... ის ისეთი აყლაყულა იყო და დაჰყვებოდა თვალები ჰქონდა.

ნ ი კ ო ლ ა ი — ვერაფერად მსგავსებას ვერ ვხედავ ჩემ ძმასთან.

ტ ა ტ ი ა ნ ა — მე გარეგნულ მსგავსებაზე არ ვლაპარაკობ... ის პოლიციელიც ყოველთვის სადღაც მიიჩქაროდა. კი არ დადიოდა, — დარბოდა, თამბაქოს კი არ სწევდა, არამედ რალაცნაირად კვამლით იხრჩობოდა. გვეგონებოდათ, კი არ ცხოვრობს, არამედ დახტის, ყირამალა გადადის, ოღონდ კი ჩქარა მიადწიოს რალაცასო... და რას — არ იცოდა.

ნ ი კ ო ლ ა ი — თქვენ ვერც ფიქრობთ, რომ არ იცოდა?

ტ ა ტ ი ა ნ ა — დარწმუნებული ვარ. როდესაც კაცს ნათელი მიზანი აქვს, დამშვიდებულია. ის კი ჩქარობდა. და ეს სიჩქარე რალაც თავისებური იყო — იგი მას თითქოს შინაგანად ამთრახებდა. ისიც მირბოდა, მირბოდა, ხელს უშლიდა სხვებსაც და თავის თავსაც. ის არ იყო ხარბი, ხარბი ამ სიტყვის ვიწრო გაგებით... მას მხოლოდ ხარბად უნდოდა გაეთავებინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მოეშორებინა თავიდან ყველა ვალდებულებანი — მათ შორის ქრთამის აღების ვალდებულებაც. ქრთამს კი არ იღებდა, — იტაცებდა. დასტაცებდა ხელს, აჩქარდებოდა და მადლობის თქმაც კი დაავიწყდებოდა... ბოლოს ცხენებმა გასრისეს.

ნ ი კ ო ლ ა ი — თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩემი ძმის ენერგია უმიზნოა?

ტ ა ტ ი ა ნ ა — ჰო, ვერც გამოვიდა? მე არ მინდოდა ეს მეთქვა...

\*გი ჰგავს იმ პოლიციელს... მეტი არაფერი...

ნ ი კ ო ლ ა ი — აქ საქებარი ჩემი ძმისათვის ცოტა რამ არის.

ტ ა ტ ი ა ნ ა — მე არც ვაპირებდი მის ქებას.

ნ ი კ ო ლ ა ი — თქვენ ორიგინალურად კეკლუცობთ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — მართლა?

ნ ი კ ო ლ ა ი — მაგრამ მოსაწყენად.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მშვიდად). განა არიან ქალები, რომლებიც თქვენთან თავს მხიარულად გრძნობენ?

ნ ი კ ო ლ ა ი — ოჰო!

პ ო ლ ი ნ ა — (მიღის). დღეს რალაც თავი ვერაფერს ვერ მოვაბოძით. არავინ არ საუბრობს, ყველა ალეღვებულია... თითქოს ძილი აკლიათო. ნადია დილაადრიან წავიდა კლეოპატრა პეტროვნასთან ერთად ტყეში სოკოს საკრეფად... გუშინ ვებვეწე: ნუ წახვალ-მეთქი. ოჰ! ღმერთო... რა ძნელი ხდება ცხოვრება.

ტ ა ტ ი ა ნ ა — შენ ბევრსა სჭამი...

პ ო ლ ი ნ ა — ტანია, რა კილოთი მელაპარაკები? შენ არანორმალურად ექცევი ხალხს...

ტ ა ტ ი ა ნ ა — ვითომ?

პ ო ლ ი ნ ა — რა თქმა უნდა, დამშვიდებული იქნები, როდესაც არაფერი არ გაგაჩნია და თავისუფალი ხარ. და აი, როდესაც შენს ირგვლივ ასობით ადამიანი პურსა სჭამს... ეს სახუმარო საქმე არ არის!..

ტ ა ტ ი ა ნ ა — შენც დაანებე თავი, ნუ აჭმევ პურს. დაე, ისე იცხოვრონ, როგორც სურთ... მიეცი მათ ყველაფერი: ქარხანა, მიწა — და დამშვიდდი.

ნ ი კ ო ლ ა ი — (პაპირისს მოუკიდებს). ეს რომელი პიესიდანაა?

პ ო ლ ი ნ ა — რად ლაპარაკობ ეგრე, ტანია? არ მესმის!.. რომ იცოდე, როგორი შეწუხებულია ზახარი... გადავწყვიტეთ დროებით დაეხუროთ ქარხანა, ვიდრე მუშები დაწყნარდებიან... მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია ეს! ასობით კაცი უმუშევარი დარჩება... მათ ბავშვები ჰყავთ... საშინელება!

ტ ა ტ ი ა ნ ა — მაშ, ნუ დახურავთ. თუ საშინელებაა... რატომ აყენებთ უსიამოვნებას თქვენსავე თავს?

პ ო ლ ი ნ ა — ახ, ტანია, როგორ მადიზიანებ! თუ ჩვენ არ დაეხურავთ, მუშები გაფიცვას მოაწყობენ და ეს უარესი იქნება.

ტ ა ტ ი ა ნ ა — რა იქნება უარესი?

პ ო ლ ი ნ ა — ყველაფერი, საერთოდ... ხომ არ შეიძლება რომ ყველაფერი დაფუთვით? ბოლოს და ბოლოს ეს სრულებითაც არ არის მათი მოთხოვნა: სოციალისტებმა ასწავლეს და ისინიც გაყვირიან... (გაცხარებული). ეს კი ვერ გამიგია. საზღვარგარეთ სოციალიზმი ლეგალურად და დაუფარავად მოქმედებს... ხოლო ჩვენში, რუსეთში, სოციალიზმს მუშებს მიყრუებულ კუთხეებში უჩურჩულებენ და ვერც კი გაუგიათ, რომ მონარქისტულ სახელმწიფოში იგი შეუსაბამოა! ჩვენ კონსტიტუცია გვჭირდება, და არა ეს... როგორ ფიქრობთ, ნიკოლაი ვასილევჩი?

ნ ი კ ო ლ ა ი — (ჩაიციანებს). ცოტა სხვანაირად. სოციალიზმი მეტად სასიფათო მოვლენაა. და იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი რასული ფილოსოფია, სადაც ყველაფერს ითვისებენ ზერელედ და ნაჩქარევად, — იქ იგი, უსათუოდ, ფესვებს გაიდგამს. ჩვენ უკიდურესობათა ხალხი ვართ. ეს არის ჩვენი ავადმყოფობა.

პ ო ლ ი ნ ა — ეს სრული სიმართლეა! დიახ, ჩვენ უკიდურესობათა ხალხი ვართ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (წამოღვება). განსაკუთრებით შენ და შენი ქმარი, ანდა, აი, პროკურორის ამხანაგი...

პ ო ლ ი ნ ა — შენ არ იცი, ტანია... ზახარს გუბერნიაში ერთ-ერთ წითელთაგანად სთვლიან!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (დაღის). მე მგონია, ის მხოლოდ სირცხვილისაგან წითლდება და ისიც არც თუ ისე ხშირად...

პ ო ლ ი ნ ა — ტანია! შენს ღმერთს შეხედე, რაებს ამბობ?...

ტ ა ტ ი ა ნ ა — განა ეს საწყენია? მე არ ვიცოდი... თქვენი ცხოვრება სცენის მოყვარეთა სპექტაკლს მაგონებს. როლები ცუდადაა განაწილებული, ნიჭიერი ხალხი არა ჩანს, ყველანი საძაგლად თამაშობენ... პიესის გაგებაც კი შეუძლებელია...

ნ ი კ ო ლ ა ი — მართალია, და ყველა ჩივის, — ახ, რა მოსაწყენი პიესააო.

ტ ა ტ ი ა ნ ა — დიახ, ჩვენ ვაფუჭებთ პიესას. და, მე მგონია, ეს უკვე გაიგეს სტატისტიკმა და კულისების უკან მდგომმა ხალხმა... ერთხელაც იქნება, სცენიდან გაგვაგდებენ...

(მოღწან გენერალი და კონი).

ნ ი კ ო ლ ა ი — ო-ჰო! საით უმიზნებ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (მოღის, ყვირის). პოლინა, რძე მიართვით გენერალს, — რძე. ხ-ხო, ცივი რძე!.. (ნიკოლაის). ა-ა, კანონების გუდას ეხსლავარ... ჩემო ჩინებულო ძმისწულო, ნება მიბოძეთ ხელზე გამთხვიოთ! კონ, მიპასუხე გაკვეთილი: რა არის ჯარისკაცი?

კ ო ნ ი — (მოწყენით). როგორც უფროსს ენებება, თქვენო აღმატებულებავ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — შეუძლია ჯარისკაცს თევზი იყოს?

კ ო ნ ი — ჯარისკაცმა ყველაფერი უნდა შესძლოს.

ტ ა ტ ი ა ნ ა — ძვირფასო ძია, თქვენ გუშინაც გაგვართეთ ასეთი სცენით... ნუთუ, ყოველდღეა ეს საჭირო?

პ ო ლ ი ნ ა — (ამოიხრებს). ყოველდღე, ბანაობის შემდეგ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ყოველდღე, დიახ! და ყოველთვის სხვადასხვანაირად — ეს სავალდებულოა! მაგ ბებერმა მასხარამ თვითონვე უნდა გამოიგონოს კითხვები და პასუხები.

ტ ა ტ ი ა ნ ა — თქვენ ეს მოგწონთ, კონ?

კ ო ნ ი — მათ აღმატებულებას მოსწონს.

ტ ა ტ ი ა ნ ა — და თქვენ?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — აგრეთვე მასაც.

კ ო ნ ი — მე დავბერდი ცირკისათვის... მაგრამ უნდა ვითმინო, თუ პურის ჭამა მინდა.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ა, შე გაიძვერა! მარცხნისაკენ, იარ!..

ტ ა ტ ი ა ნ ა — განა თქვენთვის მოსაწყენი არაა მოხუცის მასხრად ავლება?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მე თვითონ ვარ მოხუცი. თქვენ თვითონ კი — მოსაწყენი!.. მსახიობი უნდა აცინებდეს, თქვენ კი...

პ ო ლ ი ნ ა — იცით რა, ძია?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — არაფერი არ ვიცი!

პ ო ლ ი ნ ა — ჩვენ ვხუთავთ ქარხანას...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ა-ჰა! ძალიან კარგი! ის — საყვირს აღრიალებს. დილაადრიან ისე ტკბილად მძინავს, ერთიც ვნახოთ უ-უ-უ-უ! დახურეთ!

მ ი ხ ე ი ლ ი — (აჩქარებით მოდის). ნიკოლაი, ერთი წუთით. პოლა, ქარხანა დახურულია. მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, საჭიროა ზომების მიღება... გაუგზავნე დეპეშა ვიცე-გუბერნატორს: მოკლედ შეატყობინე საქმის ვითარება და გამოითხოვე ჯარისკაცები... მოაწერე ჩემი სახელი...

ნ ი კ ო ლ ა ი — მეც კარგად მიცნობს.

მ ი ხ ე ი ლ ი — ვიცი. მივდივარ, გამოვუცხადო იმ დეპუტატებს, რომ ჯანდაბისკენაც გზა ჰქონიათ... დეპეშის ამბავს ნუ გაამხელ, მე თვითონ ვიტყვი, როცა საჭირო იქნება... კარგი?

ნ ი კ ო ლ ა ი — კარგი.

მ ი ხ ე ი ლ ი — რა ჩინებულად გრძნობ თავს, როცა შენსას გაიტან! — მე, ჩემო ძმაო, წლოვანებით შენზე უფროსი ვარ, მაგრამ სულით კი ახალგაზრდა. რას იტყვი?

ნ ი კ ო ლ ა ი — მე ვფიქრობ, ეს უფრო ნერვიულობის ნიშანია, და არა ახალგაზრდობის...

მ ი ხ ე ი ლ ი — (ირონიულად). აი, მე შენ გიჩვენებ ნერვიულობას! ნახავ! (სიცოლით გადის).

პ ო ლ ი ნ ა — გადასწყვიტეს, ნიკოლაი ვასილევჩი, ხომ?

ნ ი კ ო ლ ა ი — დიახ, მგონი!

პ ო ლ ი ნ ა — ოხ, ღმერთო ჩემო!..

გ ე ნ ე რ ა ლ ი — რა გადასწყვიტეს?

პ ო ლ ი ნ ა — ქარხნის დახურვა.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — კონ!

კ ო ნ ი — აქ გახლავართ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ანკესები და ნავი... მზადაა?

კ ო ნ ი — მზადაა...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — წავალ და თევზებთან ვიქნები ჩუმად — ეს ემიჯობინება ადამიანებთან მოწყენით ყოფნას... (ხარხარებს). კარგი ნათქვამია, არა? (ნაღია შემობრბის). აჰ-ა, პეპელავ!.. რა მოხდა?

ნ ა დ ი ა — (მხიარულად). რა ამბავი შეგვემთხვა! (მოტრიალდება და ფახის). გთხოვთ, მობრძანდით! გრეკოვ! არ გაუშვათ ის, კლეოპატრა!

პეტროვნა! დეიდა, იცი, გამოვდივართ ტყიდან — და, უცებ მოდის სამი მთვრალი მუშა... გესმის?

პ ო ლ ი ნ ა — აი, მე ყოველთვის გეუბნებოდი...

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — (მას მოსდევს გრეკოვი). წარმოიდგინეთ, რა საზიზღრობა!

ნ ა დ ი ა — რა საზიზღრობა? სასაცილოა და მეტი არაფერი!.. სამი მუშა, დეიდა... ილიმებიან და გვეუბნებიან... „ქალბატონებო, ჩვენო ძვირფასნო“...

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — მე უსათუოდ ვთხოვ ჩემ ქმარს გააგდოს ისინი...

გ რ ე კ ო ვ ი — (ღმილით) რა დააშავეს?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (ნაღიას). ეს ტურტლიანი ვილაა?

ნ ა დ ი ა — ჩვენი მხსნელი, პაპა, გესმის?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — არაფერი არ მესმის!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — (ნაღიას). თქვენ, ღმერთმა იცის, როგორ ყვე-ბით.

ნ ა დ ი ა — ვყვები ისე, როგორც საჭიროა!

პ ო ლ ი ნ ა — მაგრამ ჩვენ ვერაფერი ვაგვიგია, ნაღია!

ნ ა დ ი ა — ხელს მიშლით და იმიტომ!.. მოგვიახლოვდნენ და გვეუბნებიან: „ქალბატონებო, მოდი, ერთად ვიმღეროთ!“.

პ ო ლ ი ნ ა — ახ, რა თავხედობაა!

ნ ა დ ი ა — სრულებითაც არა! „ჩვენ ვიცით, თქვენ ძალიან კარგად მღერით... რასაკვირველია, ჩვენ ცოტა გადავკარით, მაგრამ ნასვამები უფრო კარგები ვართო!“ ეს სწორია, დეიდა! მთვრალეები ისეთი პირქუშნი როდი არიან, როგორც ყოველთვის.

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — ჩვენდა საბედნიეროდ, აი, ეს ყმაწვილი...

ნ ა დ ი ა — მე თქვენზე უკეთ ვუამბობ! კლეოპატრა პეტროვნამ მათ ლანძღვა დაუწყო... სულ ტყუილთბრალოდ! გარწმუნებთ!.. მაშინ ერთმა მათგანმა, ასეთმა — მალალმა და გამხდარმა...

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — (მუქარით). მე მას ვიცნობ!

ნ ა დ ი ა — ხელი მოჰკიდა და — სევდიანად უთხრა: „თქვენ, ასეთი ლამაზი, განათლებული, სანდომიანი ქალი ბრძანდებით, — და ილანძღვებით. განა, ჩვენ რითიმე ვაწყენინეთო?“ ძალიან კარგად სთქვა ეს... სულითა და გულით. მეორემ კი, მართალია... მან სთქვა: „რას ელაპარაკები! განა მაგათ რამის გაგება შეუძლიათ? ეგენი ხომ მხეცები არიან!“... ეს ჩვენა ვართ მხეცები — მე და ის. (იციხის).

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ჩაიცინებს). მგონი, ძალიან კმაყოფილი ხარ ამ სახელწოდებით...



პოლინა — ნადია, აქი გეუბნებოდი... აი, შენ ყველგან დარბიხარ...

გრეკოვი — (ნადიას). შემიძლია წავიდე?

ნადია — ო, არა! გთხოვთ, დარჩეთ!.. ჩაი გნებათ? ან რძე? (გენერალი გაღიზიანებულს. კლეოპატრა მხრებს აიჩეჩს. ტატიანა უცქერის გრეკოს და ოდნავ გასაგონად რაღაცას მღერის. პოლინამ თავი დახარა, გულდასმით კოვზებს ტილოთი წმენდს).

გრეკოვი — (ლიპილით). გმადლობთ. არ მინდა.

ნადია — (დაბეჯითებით). გთხოვთ, ნუ მორცხვობთ!.. ესენი ყველანი... კეთილი ხალხია, გარწმუნებთ!

პოლინა — (პროტესტით). ო, ნადია!

ნადია — (გრეკოს). ნუ წახვალთ, მე ახლავე ყველაფერს ვუამბობ...

კლეოპატრა — (უკმაყოფილოდ). ერთი სიტყვით, ეს ყმაწვილი დროზე გამოჩნდა და დაარწმუნა თავისი ამხანაგები, ჩვენთვის თავი დაენებებიათ. ხოლო მე გთხოვე და მან სახლამდე გამოგვაცილა. ეს იყო და ეს!

ნადია — ო, ეს როგორი ამბის თხრობაა! ყველაფერი რომ ისე ყოფილიყო, როგორც თქვენ სტკვით, — ყველანი დაიხოცებოდნენ მოწყენილობისაგან!

გენერალი — როგორ მოგწონთ, ა?

ნადია — (გრეკოს). დაბრძანდით! დეიდა, სთხოვეთ, დაბრძანდეს! რატომ ხართ ყველანი ეგრე ცხვირჩამოშვებულები? გცხელათ?

პოლინა — (დამჯდარი, გრეკოს). მადლობას გწირავთ, ყმაწვილო...

გრეკოვი — რისთვის?

პოლინა — (უფრო ცივად). თქვენის მხრივ ძლიერ კარგია, რომ ქალები დაიცავით.

გრეკოვი — (მშვიდად). ისინი დაცვას არ საჭიროებდნენ... მათთვის არავის უწყენინებია.

ნადია — კი მაგრამ, განა შეიძლება ეგრე ლაპარაკი?

პოლინა — გთხოვთ, ნუ მასწავლით...

ნადია — კარგი, ოღონდ გაიგე, — არაერთი დაცვა არ ყოფილა მან მხოლოდ უთხრა: „გაჩერდით, ამხანაგებო, ეს არ ვარგა“... მათ კიდევ გაეხარდათ მისი დანახვა: „გრეკოვ! წამოდი ჩვენთან, შენ ჭკვიანი კაცი ხარ!“! მართლაც, დეიდა, ის ძლიერ ჭკვიანია... მაპატიეთ, გრეკოვ. მაგრამ ეს ხომ სიმართლეა!

გრეკოვი — (ჩაიცივნებს). თქვენ უხერხულ მდგომარეობაში მყენებთ.

ნადია — ეს მე კი არა, აი, ისინი, გრეკოვ!

პოლინა — ნადია! ხომ იცი, მე არ მესმის ექსტაზი. ყოველივე ეს სასაცილოა... და — კმარა კიდევ...

ნადია — (აღელვებით). მაშ, იცინეთ! რატომ ზიხართ კოტეებით? იცინეთ!

კლეოპატრა — ნადიას შეუძლია ყოველი წვრილმანი დიდ ამბად გადააქციოს, შემდეგ ამაზე აღტაცებითა და განცვიფრებით ილაპარაკოს. მაგრამ რამდენად მოსაწონია ეს უცხო კაცის წინაშე? ხომ ხედავთ? ის დასცინის!

ნადია — (გრეკოს). თქვენ დამცინით? რაღა?

გრეკოვი — (უბრალოდ). კი არ დაგცინით — ვტკბები თქვენი ცქერით.

პოლინა — (განცვიფრებული). რაო? ძია...

კლეოპატრა — (ჩაიცივნებს). ესეც თქვენ!..

გენერალი — აბა, კმარა! ყმაწვილო! აი, აიღე ეს და წადი!..

გრეკოვი — (ზურგს შეაქცევს). გმადლობთ... არაა საჭირო...

ნადია — (სახეს ხელებით დაიფარავს). პაპა!.. რისთვის?

გენერალი — (შეაჩერებს გრეკოს). დაიცა! ეს — თუმანია...

გრეკოვი — (მშვიდად). მერე რა?

(წუთით ყველა გაჩუმებულია).

გენერალი — (გაკვირვებული). ე... თქვენ ვინა ხართ?

გრეკოვი — მუშა.

გენერალი — ჰო! მჭედელი?

გრეკოვი — ზეინკალი.

გენერალი — (მკაცრად). ეს სულ ერთია! მერე რად არ იღებ ფულს?

გრეკოვი — არ მინდა.

გენერალი — (აღელვებით). ეს რა კომედიიაა? აბა რა ვინდა?

გრეკოვი — არაფერი.

გენერალი — ეგებ ვინდა ქალიშვილის ხელი ითხოვო? ა? (ჩახარბებს. ყველა დარცხენილია გენერალის საქციელით).

ნადია — ოი! რასა სჩადიხართ?!

პოლინა — ძია, გთხოვთ!

გრეკოვი — (გენერალს, წყნარად). რამდენი წლისა ხართ?

გენერალი — (გაკვირვებული). რა? მე... წლის?

გრეკოვი — (ცვლავ წყნარად). რამდენი წლისა ხართ?

გენერალი — (მიმოიხედავს). რა ამბავია? სამოცდა ერთი წლის. მერე რა იყო?

გრეკოვი — (მიღის). ამ ასაკში კაცი უფრო ჭკვიანი უნდა იყოს.

გენერალი — როგორ... მე... უფრო ჭკვიანი?  
ნადია — (მისდევს გრეკოვს). ყური დამიდგეთ... ნუ გაწყრებით.  
ის — ბებერია. და ყველა ესენი — კეთილი ხალხია, პატიოსნებას  
ვფიცავ!

გენერალი — ეს რა მობოდა?

გრეკოვი — ნუ სწუხართ... ყოველივე ეს ბუნებრივია...

ნადია — სიცხე აწუხებთ... ამიტომაც არიან ცუდ გუნებაზე...  
მეც ისე უშნოდ ვუამბე.

გრეკოვი — (ღიმილით). როგორადაც არ უნდა უამბოთ, მერწ-  
მუნეთ, ისინი ვერაფერს თქვენსას ვერ გაიგებენ. (გადაიან).

გენერალი — (გაოგნებული). ეს მე... გამიბედა, არა?

კლეოპატრა — სულ ტყუილუბრალოდ აჩეჩებდით ხელში  
თქვენს ფულს.

პოლინა — ახ, ნადია!.. ეს ნადია!

კლეოპატრა — ერთი იმას უყურეთ! რა ამაყი ესპანელია!  
აი, ვეტყვი ქმარს, რომ ხვალვე...

გენერალი — ასეთი ლეკვი?!..

პოლინა — ნადია აუტანელია!.. მას გაჰყვა! როგორ მა-  
ლელვებს!

კლეოპატრა — სულ უფრო და უფრო თავს გაუდით,  
თქვენს სოციალისტებს!..

პოლინა — რატომ ფიქრობთ, რომ ის სოციალისტია?

კლეოპატრა — ეჭვი არ მეპარება! ყოველი წესიერი მუშა —  
სოციალისტია!

გენერალი — ერთი ვუთხრა ზახარს... ხვალვე კინწისკვრით  
გააგდოს ეს ლაწირაკი!

ტატიანა — ქარხანა დახურულია.

გენერალი — საერთოდ! კინწისკვრით!

პოლინა — ტანია! დაუძახე ნადიას... გთხოვ! უთხარი, რომ  
გაოცებული ვარ...

(ტატიანა გადის).

გენერალი — ახ, ის პირუტყვი! რამდენი წლის ხარო, ა?

კლეოპატრა — ის მთვრალეები სტვენით მოგვდევენ...  
თქვენ კი მათ ელოლიავენ... რა საჭიროა ყოველივე ეს?

პოლინა — მართლაც, მართლაც!.. წარმოიდგინეთ ხუთშაბათს  
ეტლით მივდივარ სოფელში, უცებ — სტვენენ... მეც მისტვენენ, ა?  
ზრდილობას რომ თავი დავანებოთ, ცხენები ხომ დაფრთხნენ!

კლეოპატრა — (დარჩებით). ზახარ ივანოვიჩი ბევრ რამეშია

დამნაშავე! მან ვერ განსაზღვრა მანძილი თავის თავსა და ამ ხალხს  
შორის... როგორც ამას ამბობს ჩემი ქმარი...

პოლინა — სუსტი ხასიათის კაცია... უნდა ყველასთან კეთილი  
იყოს... კეთილი განწყობილება ხალხთან ხელსაყრელია ორივე მხრი-  
სთვისო, ასეთია მისი რწმენა... გლეხები ამართლებენ მის შეხედუ-  
ლებას... იღებენ მიწას იჯარით, იხდიან ქირას, — და ყველაფერი  
მშვენიერად ეწყობა. ესენი კი... (ტატიანა და ნადია მოდიან). ნადია! ჩე-  
მო ძვირფასო, ხომ გესმის რა უზრდელი...

ნადია — (ფიცხად). ეს თქვენ... თქვენა ხართ უზრდელი! თქვენ  
ყველანი გაბრუდით სიცხისაგან, გაბოროტდით და აღარაფერი გა-  
გეგებათ!.. თქვენ კი, პაპა... ოხ, რა ჩერჩეტი ყოფილხართ!..

გენერალი — (გაოცებული). მე? ჩერჩეტი? კიდეც ერთხელ?

ნადია — რად უთხარით ეს?.. ხელის თხოვნაზე? არა გრცხვე-  
ნიათ?

გენერალი — მრცხვენია? არა, მორჩა, გათავდა! გმადლობთ.  
საკმარისია დღეისათვის! (მიდის და ყვირის). კონ! ეშმაკსაც წაუღია  
მთელი შენი მოდგმა და გვარი! რომელ ტალახში ჩაეფლო შენი  
ოხერი ფეხები, რეგვენო, გამოტვივებულ!

ნადია — და თქვენ კი, დეიდა, თქვენ!.. ვითომ საზღვარგარეთაც  
გიცხოვრიათ, პოლიტიკაზეც ლაპარაკობთ... არც კი სთხოვეთ კაცს —  
ჩამომჯდარიყო, ერთი ჭიქა ჩაიც კი არ მიაწოდეთ!.. რალა უნდა  
გითხრათ...

პოლინა — (ადგება, გადისერის კოვზს). ეს აუტანელია!.. რაებს  
ლაპარაკობ?..

ნადია — და თქვენც, კლეოპატრა პეტროვნა... ვზაში ისე  
აღერსიანად და თავაზიანად ეპყრობოდით, აქ კი...

კლეოპატრა — რაო?! უნდა დამეკოცნა არა?! უკაცრა-  
ედა, ის პირდაუბანელია. და მე სრულიადაც არ მინდა თავი დავა-  
ტუქსინოთ. აი, ხედავთ, პოლინა დიმიტრიევნა? ესაა თქვენი დემო-  
კრატიზმი, თუ რა ჰქვია, ჰუმანიზმი!.. ჯერჯერობით ყოველივე ეს  
ჩემს ქმარს აწეება კისერზე, მაგრამ მალე თქვენც მის დღეში ჩა-  
ვარდებით! აი, ნახეთ!

პოლინა — კლეოპატრა პეტროვნა, ბოდიშს ვიხდი ნადიას  
მაგიერ.

კლეოპატრა — (მიდის). ეს ზედმეტია... საქმე მართო ნადიას  
არ ეხება... აქ ყველას, ყველას უღევს ბრალო...

პოლინა — გამიგონე, ნადია! როცა დედაშენი სიკვდილის  
წინ შენს აღზრდას მავალებდა...

ნადია — დედაჩემს თავი დაანებეთ. თქვენ დედაზე ყოველ-  
თვის სხვანაირად ლაპარაკობთ!

პოლინა — (განცვიფრებული). ნადია! ავად ხომ არ ხარ? გონს  
მოდის? შენი დედა, ჩემი და იყო, შენზე უკეთ ვიცნობდი.

ნადია — (ძლივს იკავებს ცრემლებს). არაფერიც არ იცით, აი! და-  
რიბები მდიდრების ტოლები არ არიან!.. ჩემი დედა ღარიბი, კეთი-  
ლი იყო. თქვენ ვერ გაიგებთ რა აწუხებს ღარიბებს!.. თქვენ, აი, დე-  
და ტანიასიც ვერ გაგიგიათ ვერაფერი...

პოლინა — ნადეჟდა, გთხოვ წახვიდე! წადი აქედან!

ნადია — (მიდის). წავალ კიდევ!.. და მაინც, მართალი ვარ.  
თქვენ კი არა, მე!

პოლინა — ფ-ფუ! ღმერთო ჩემო!.. ასეთი ჯანსაღი გოგონა  
და უცებ... ასეთი მღელვარება, თითქმის ისტერია! მაპატიე. ტანია,  
მაგრამ აქ შენს გავლენას ვხედავ... დიას! შენ ყველაფერზე ესაუბ-  
რები, როგორც მოზრდილს... შეგყავს მოსამსახურეთა კომპანიაში...  
ეს კანტორის მოსამსახურენი... ვიღაც ახირებულები მუშების წრი-  
დან... რა აბსურდია... და ბოლოს ნავეებით სეირნობა...

ტატიანა — დამშვიდდი... დალიე რამე! უნდა დამეთანხმო,  
რომ იმ მუშასთან... უაზროდ მოიქციე!.. სკამს ხომ არ და-  
ვიმტერევედა დაჯდომა რომ გეთხოვა?

პოლინა — არ ხარ მართალი, არა!.. განა შეიძლება ითქვას,  
რომ მე ცუდად ვეპყრობი მუშებს? მაგრამ ყველაფერს საზღვარი  
უნდა ჰქონდეს, ჩემო ძვირფასო!..

ტატიანა — გარდა ამისა, არავითარ წრეში ნადია არ შეგყავს,  
როგორც შენ ამბობ. ის თვითონ მიდის... და ვფიქრობ, ხელი არ  
ქნდა შეუშალო.

პოლინა — თვითონ მიდის... თითქოს ესმის, სად მიდის!

(ნელა მოდის იაკობი. ის ნასვამია).

იაკობი — (დაჯდება). ქარხანაში კი ბუნტი იქნება...

პოლინა — (ნაღვლიანად). ოჰ, გაჩუმდით, იაკობ ივანოვიჩ!

იაკობი — იქნება, ბუნტი იქნება! ცეცხლს წაუქიდებენ ქარ-  
ხანას და ჩვენც შეგვწვავენ... როგორც კურდღლებს.

ტატიანა — (გულაწყვილით). შენ, მგონი, ნასვამი ხარ...

იაკობი — ამ დროს მე ყოველთვის უკვე ნასვამი ვარ... ახლა  
კლეოპატრა ვნახე... რა საძაგელი დედაკაცია! იმიტომ კი არა, რომ  
ბევრი საყვარელი ჰყავს... იმიტომ, რომ მკერდში, გულის მაგიერ,  
ბებერი ავი ძალი უზის...

პოლინა — (წამოღება). ახ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..  
ყველაფერი ისე კარგად ეწყობოდა, და უცებ... (დადის ბაღში).

იაკობი — პატარა ქეციანი ძალი უზის და კბილებს ილესავს...  
ის მაძლარია, ყველაფერი შეჭამა... მაგრამ მაინც კიდევ რაღაც უნ-  
და... რა — თვითონაც არ იცის... და ცმუკავს...

ტატიანა — გაჩუმდი, იაკობ!.. აგერ, შენი ძმა მოდის.

იაკობი — რაში მჭირდება ძმა? ტანია, მე მესმის, ჩემისთანა  
კაცის სიყვარული არ შეიძლება... მაგრამ გული მტკივა... და მაინც  
მიყვარხარ!..

ტატიანა — გავრილდი ცოტა... — წადი, იბანავე...

ზახარი — (მოდის). რა? უკვე გამოაცხადეს, რომ ქარხანა იხუ-  
რება?

ტატიანა — არ ვიცი!

იაკობი — არ გამოუცხადებიათ, მაგრამ მუშებმა იციან.

ზახარი — საიდან? ვინ უთხრა?..

იაკობი — მე მივედი და ვუთხარი.

პოლინა — (შივა მასთან). რისთვის?

იაკობი — (მხრებს აიჩეხავს). ისე... ეს მათ აინტერესებთ. მე მათ  
ყველაფერს ვეუბნები... თუკი ყურს დამიგდებენ. მგონი, მე მათ  
ეუყვარვარ კიდევ. ალბათ უხარიათ, რომ მათი მეპატრონის ძმა  
ლოთია. ასეთმა რამემ მათ თანასწორობის იდეა უნდა ჩააგონოს...

ზახარი — ჰე! შენ, იაკობ, ხშირად ხარ ხოლმე ქარხანაში... რა-  
საკვირველია, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!.. მაგრამ მიხეილ  
ესილვეიჩი ამბობს, რომ შენ მუშებთან საუბრის დროს კიცხავ  
ქარხნის წესებს...

იაკობი — მიჰქარავს. წესების, ან უწესრიგობის მე არაფერი  
არ გამეგება.

ზახარი — იმასაც ამბობს, რომ შენ ხანდახან არაყიც მი-  
გაქვს.

იაკობი — სტყუის. კი არ მიმაქვს, ვგზავნი ვინმეს არაყის  
მოსატანად. ისიც ხანდახან კი არა, ყოველთვის. შენ ხომ გესმის,  
რომ უარაყოფ მე მათთვის საინტერესო არა ვარ.

ზახარი — მაგრამ, იაკობ, თვითონვე განსაჯე, შენ — მეპატრო-  
ნის ძმა ხარ!..

იაკობი — ეს არ არის ჩემი ერთადერთი ნაკლი...

ზახარი — (წყენით). კარგი, გაეჩუმდები! ჩემს ირგვლივ იქმნე-  
ხა ჩემთვის გაუგებარი მტრული გარემო...

პოლინა — დიას, ეს სწორია. რომ გავგვონა, რა ილაპარაკა აქ  
ნადეჟდაში!..

პოლოგი — (მორბის). ნება მომეცით მოგახსენოთ... ასლა... ესა-  
ესაა მოკლეს ბატონი დირექტორი...

ზახარი — როგორ?

პოლინა — რაო?.. რას ამბობთ?..

პოლოგი — მოკლულია... დაეცა...

ზახარი — ვინ... ვინ ესროლა?

პოლოგი — მუშებმა.

პოლინა — ისინი დაიპირეს?

ზახარი — ექიმი იქაა?

პოლოგი — არ ვიცი...

პოლინა — იაკობ ივანოვიჩი!.. წადით, რა!

იაკობი — (ხელეხს გაშლის). სად წავიდე?

პოლინა — როგორ მოხდა ეს?

პოლოგი — ბატონი დირექტორი აღელვებული ბრძანდებო-  
და და მუშას ფეხი მუცელში მოახვედრა.

იაკობი — მოდიხ... აქეთ...

(ხმაური. მოჰყავთ მიხეილ სკროპოტოვი. ერთი მხრიდან მას შედგომია ლევ-  
შინი, — მელოტი, ხანშიშესული მუშა, მეორე მხრიდან — ნიკოლაი. მათ მის-  
ღვეს რამდენიმე მუშა და მოსამხახურე).

მიხეილი — (დაღლილი). დამანებეთ თავი... დამაწვინეთ...

ნიკოლაი — თუ დაინახე, ვინ ისროლა?

მიხეილი — დავიღალე... ო, დავიღალე!..

ნიკოლაი — (დაჟინებით). შეამჩნიე, ვინ ისროლა?

მიხეილი — მტკივა... ვიღაც წითურმა... დამაწვინეთ... ვიღაც  
წითურმა...

(დაწვენენ ბელტებისაგან შეკრულ გრძელ სკამზე).

ნიკოლაი — (ურიადნიკს). გაიგონეთ? ვიღაც წითურმაო...

ურიადნიკი — მესმის!..

მიხეილი — ა! ახლა სულ ერთია...

ლევშინი — (ნიკოლაის). რად აწუხებთ ასეთ წუთებში...

ნიკოლაი — ხმა, კრინტი! სადაა ექიმი?.. ექიმი სადაა-მეტქი,  
გვეითხებით.

(ყველანი უაზროდ ფუსფუსებენ, ჩურჩულებენ).

მიხეილი — ნუ ყვირი... მტკივა, დამასვენეთ!

ლევშინი — დაისვენეთ, მიხეილ ვასილევჩი, არაფერია! ეკ,  
კაცთა საქმენო, გროშის საქმენო! გროშისათვის ვიღუპებით... ისაა  
ჩვენი მშობელიც და აღსასრულიც...

ნიკოლაი — ურიადნიკი!.. სთხოვე ზედმეტ ხალხს წავიდნენ...

ურიადნიკი — (ხმადაბლა). აბა, გაგვეცალეთ, ხალხო, რას დგე-  
ხართ?..

ზახარი — (ჩუმად). სადღაა ექიმი?

ნიკოლაი — მიშა!.. მიშა!.. (დაიხრება ძმისკენ. ყველანი მასთან  
ერთად დაიხრებიან). მგონი... გარდაიცვალა... დიახ.

ზახარი — შეუძლებელია! ალბათ გული წაუვიდა.

ნიკოლაი — (ნელა, ხმადაბლა). გესმით, ზახარ ივანოვიჩ?  
მოკვდა.

ზახარი — მაგრამ... შეიძლება, სცდებით?

ნიკოლაი — არა. ეს თქვენ მიუშვირეთ მისი მკერდი ტყვიას.

ზახარი — (თავზარდაცემული). მე?

ტატინა — რა სისასტიკეა! რა უაზრობაა!

ნიკოლაი — (წინ მიიწევს ზახარისკენ). დიახ, თქვენ!..

ბოქაული — (მორბის). სადაა ბატონი დირექტორი? მძიმედაა  
დაჭრილი?

ლევშინი — მოკვდა. გვაჩქარებდა, გვაჩქარებდა ყველას და  
თვითონ კი, აი ხომ წედავთ?

ნიკოლაი — (ბოქაულს). იმის თქმა მოასწრო, რომ ის ვიღაც წი-  
თურმა მოკლა...

ბოქაული — წითურმა, ჰმ!..

ნიკოლაი — დიახ, მიიღეთ ზომები... დაუყოვნებლივ!

ბოქაული — (ურიადნიკს). დაუყოვნებლივ შეკრიბეთ ყველა  
წითურები.

ურიადნიკი — მესმის, ბოქაულო, ყველა!

(ურიადნიკი გადის).

კლეოპატრა — (მორბის). სად არის... მიშა!.. ეს რაა... გული  
წაუვიდა? მოკვდა? არა?

ლევშინი — დამშვიდდო... დამბაჩით გვემუქრებოდა. დამბაჩამ  
კი მისკენ იბრუნა პირი.

ნიკოლაი — (ღვარძლიანად, მაგრამ ხმადაბლა). თქვენ, გასწით  
ქედან! (ბოქაულს). მომამორეთ ეს!

კლეოპატრა — რაო? რაო, ექიმო?

ბოქაული — (ლევშინს ჩუმად). შენ! გასწით!

ლევშინი — (ჩუმად). მივდივარ. ხელს რად მკრავ?

კლეოპატრა — (ხმადაბლა). მოკლეს?

პოლინა — (კლეოპატრას). ჩემო ძვირფასო!..

კლეოპატრა — (ხმადაბლა, ბოროტად). გამეცალეთ! ეს ხომ  
თქვენი საქმეა. თქვენი!

ზახარი — (გულდათუთქული). მე მესმის... თქვენ თავზარდაცემული ხართ, მაგრამ მაინც რისთვის... რისთვის ამბობთ ასე?

პოლინა — (ტრემლებით). წარმოიდგინეთ, ძვირფასო, რა საზარელია ეს!..

ტატიანა — (პოლინას). შენ წადი... სადღაა ექიმი?

კლეოპატრა — თქვენ მოჰკალით იგი, თქვენი წყეული უნიათობით!

ნიკოლაი — (გულცივად). დამშვიდდით, კლეოპატრა!.. ზახარი ივანოვიჩის არ შეიძლება არ ჰქონდეს შეგნებული თავისი დანაშაული ჩვენს წინაშე...

ზახარი — (გულდათუთქული). ბატონებო... მე არ მესმის! რას ლაპარაკობთ? განა შეიძლება ასეთი ბრალდების წამოყენება?!.

პოლინა — რა საშინელებაა! ღმერთო ჩემო. ასე უღმობლად!

კლეოპატრა — ა, უღმობლად? თქვენ მიუხსიეთ მას მუშები, თქვენ მოსპეთ მისი გავლენა... მათ ეშინოდათ მისი... ისინი კანკალებდნენ მის წინაშე... და-აი! მოკლეს!.. ეს თქვენ, თქვენა ხართ დამნაშავე!.. თქვენზეა მისი სისხლი!..

ნიკოლაი — კმარა!.. ნუ ყვირით!

კლეოპატრა — (პოლინას). სტირით? დაე, მისი სისხლი გადმოინთხეს თქვენი თვალებიდან!..

ურიადნიკი — (მოდის). თქვენო კეთილშობილებავ!..

ბოქაული — შენ, ეი, წყნარად!

ურიადნიკი — წითურები მზად არიან!

(ბალის სიღრმიდან მოდის გენერალი. იგი ხელს კრავს მის წინ მომავალ კონს და ხარხარებს).

ნიკოლაი — წყნარად!..

კლეოპატრა — რაო, მკვლელებო?

(ფარდა)

## მოკმელება მეორე

მთავარიანი დამე. მიწაზე ჩამოწოლილა ბნელი, მძიმე ჩრდილები. მაგიდაზე უწესრიგოდ ყრია ბლომად პური, კვერცი, კიტრი. დგას ჭურჭლით ლუდი. ანთია აბიჟურიანი სანთლები. აგრადენა ჭურჭელს რეცხავს. იაგოდინი ზის, ხელში ჯობი უჭირავს და თუთუნს სწევს. მარცხნივ დგანან ტატიანა, ნადია და ლევზინი. ყველანი ჩუმად, დაბალი ხმით ლაპარაკობენ და თითქოს რაღაცას ყურს უგდებენო. ნაღვლიანი და შეშფოთებული ლოდინის განწყობილება.

ლევზინი — (ნადიას). ყოველივე, რაც ადამიანურია ამ ქვეყანაზე, სპილენძის ფულითაა მოწამლული, ჩემო კარგო პატარა ქალიშვილო!.. აი, ამიტომაც დანადვლიანებულა ეგრე თქვენი ნორჩი გული... ხალხი სულ სპილენძის შავი ფულითაა შებოჭილი... თქვენ ჯერ კიდევ თავისუფალი ბრძანდებით, — ამ მიღეთის ხალხში თქვენი ადგილი ვერ გიპოვიათ... ყოველ კაცს ყურში ჩასძახის კაპიკიანი — შემეყვარე, ვითარცა თავი შენი... თქვენ კი ეს არ გეხებათ... ჩიტი არ თესავს და არცა მკის...

იაგოდინი — (აგრადენას). ლევზინმა ბატონებსაც დაუწყო ჭკუის სწავლება... აი, ახირებული კაცი...

აგრადენა — მერე რა? ის მართალს ამბობს. ცოტაოდენი სიძირთლე ბატონებმაც უნდა იცოდნენ.

ნადია — ძალიან გიჭირთ ცხოვრება, ეფიმიჩ?

ლევზინი — მე? არც თუ ძალიან, ბავშვები არ მყავს. დედა-კაცი მყავს, — ესე იგი, ცოლი. ბავშვები კი ყველა დამეხოცა.

ნადია — დეიდა ტანია! როცა სახლში მიცვალებულია, ჩუმად რად ლაპარაკობენ?

ტატიანა — არ ვიცი...

ლევზინი — (ლიძილით). იმიტომ, ქალბატონო, რომ დამნაშავენი ეართ განსვენებულის წინაშე. დიდად დამნაშავენი...

ნადია — კი, მაგრამ, ეფიმიჩ, კაცს ხომ ყოველთვის... ასე არ... კლავენ... ყოველი მკვდრის წინ კი ჩურჩულებენ...

ლევზინი — ჩემო კეთილო, ჩვენ ხომ ყველას ვკლავთ! ვის ტყვიით, ვის სიტყვებით და ყველა სიკვდილის პირამდე მიგვყავს ჩვენზე ქცევით. ხალხი სამარის კარამდე მიგვყავს და ვერ ვხედავთ ამას, ვერც ვგრძნობთ... და აი, როცა კაცს სიკვდილს მივუგდებთ, — მაშინ ცოტათი ვგრძნობთ ჩვენს დანაშაულს მის წინაშე. შეგვეცოდება განსვენებული, შეგვცხვება მისი, და სულიც დაგვიმძიმდება... ჩვენც ხომ ისევე გვერეკებიან, ჩვენც ხომ საფლავისთვის ვართ განმზადებული!

ნადია — ჰო-ო! საშინელებაა!

ლევზინი — არაფერია! ახლა — საშინელებაა, ხვალ კი — ყველაფერი გაივლის. და ისევ დაიწყებს ხალხი ერთმანეთის ხელის კვრას... დაეცემა კაცი, რომელსაც გასრესენ და ყველანი ერთი წუთით გაჩუმდებიან, შერცხვებათ... ამოიოხრებენ, — და ისევ დაიწყებენ... ისევ ძველი გზით წავლენ... ხოლო ირგვლივ წყვილია... თქვენ კი, ქალიშვილო, არ გრძნობთ დანაშაულს, თქვენ მიცვალებულებიც არას გიშლიან, მათ წინაშეც შეგიძლიათ ხმაბლა ილაპარაკოთ...

ტატიანა — რა უნდა ვაკეთოთ, რომ სხვანაირად ვიცხოვროთ, იცით?

ლევზინი — (საიდუმლოდ). კაპიკიანი უნდა მოისპოს... ის უნდა დაიმარხოს! თუ ფული არ იქნება, მაშინ ერთმანეთს რისთვის უმტრობენ, ან რისთვის შეავიწროებენ?

ტატიანა — სულ ეს არის?

ლევზინი — დასაწყისისათვის, ესეც კმარა!..

ტატიანა — ნადია, გინდა, ბაღში გავიაროთ?

ნადია — (ჩაფიქრებული). კარგი.

(ისინი მიდიან ბაღის სიღრმისკენ. ლევზინი მაგიდასთან მივა. კარვის მახლობლად გამოჩნდება გენერალი, შემდეგ კონი და პოლოვი).

იაგოდინი — ეფიმიჩ, შენ ცივ ქვაზედაც გინდა თესო... ახირებული კაცი ხარ!..

ლევზინი — რათა?

იაგოდინი — ტყუილუბრალოდ ირჯები... განა ისინი გაგიგებენ? მუშის გული გაიგებს, ბატონისას კი არცა სცივა და არც არა უჭირს რა!..

ლევზინი — კარგი გოგონაა... მიტია გრეკოვმა მიაშო...

იაგოდინი — გნებავთ კიდევ ჩაი?

ლევზინი — გმადლობთ, დავლევთ...

(ღუმილია, ისმის გენერლის ბოხი ხმა. გაიღვებენ ნადიას და ტანიას თეთრი კაბები).

გენერალი — ანდა, გზაზე რომ თოკი გასჭიმო... ისე, რომ თოკი არ მოჩანდეს... მიღის კაცი და, ერთიც ვნახოთ, ზღართანს გადადნს!..

პოლოვი — რა სასიამოვნო საყურებელია, როცა ადამიანი პიქვე დაემხო. თქვენო აღმატებულებავ!

იაგოდინი — გესმის?

ლევზინი — მესმის!..

კონი — დღეს ეს არ ივარგებს — სახლში მიცვალებულია. მიცვალებულთან არ ხუმრობენ.

გენერალი — ჭკუას ნუ მასწავლი! როცა მოკვდები, მე ვიციკვები.

(მაგიდისკენ მიდიან ტატიანა და ნადია).

ლევზინი — დაბერდა კაცი და...

იაგოდინი — (მიღის სახლისკენ). თავის ოინებს არ იშლის და არა...

ტატიანა — (მაგიდას მიუჯდება). გვითხარით, ეფიმიჩ! თქვენ სოციალისტი ხართ?

ლევზინი — (უბრალოდ). მე? არა! მე და ტიმოფეი ფეიქრები ვართ, ფეიქრები!..

ტატიანა — იცნობთ კი სოციალისტებს? გაგიგონიათ რაიმე მათ შესახებ?

ლევზინი — გაგიგონია... ცნობით — არ ვიცნობთ, და გაგონებით კი გაგიგონია, დიახ!

ტატიანა — სინცოვს იცნობთ? კანტორის მოსამსახურეს?

ლევზინი — ვიცნობთ. ყველა მოსამსახურეებს ვიცნობთ.

ტატიანა — ვილაპარაკნიათ მასთან?

იაგოდინი — (მოწესვენრად). რაზე უნდა ვილაპარაკოთ? ისინი — ზევით არიან, ჩვენ კი — ქვემოთ. მივალთ კანტორაში, გვეტყვის რაც დირექტორმა უბრძანა... ესაა და ეს, მთელი ჩვენი ნაცლობა.

ნადია — თქვენ, მგონი, გეშინიათ ჩვენი, ეფიმიჩ!.. ნუ გეშინიათ, ჩვენ გვაინტერესებს!..

ლევზინი — რად უნდა გვეშინოდეს? ცუდი არაფერი ჩაგვიდგენია, აი, დაგვიძახეს აქ წესრიგის დასაცავად — ჩვენც მოვედით. სოთმინებიდან გამოსული ხალხი გაიძახის, დავწვავთ ქარხანას, ყველაფერს დავწვავთ, ნაცარტუტად ვაქცევთო. ჩვენ კი ასეთი რამის წინააღმდეგი ვართ. ნურაფერსაც ნუ დავწვავთ... რად უნდა დავწვათ? ჩვენ თვითონ და ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს... და ახლა კი — დავწვათ?

ტ ა ტ ი ა ნ ა — ხომ არ გგონიათ, რომ რაიმე ცუდი განზრახვით გეკითხებით?

ი ა გ ო დ ი ნ ი — რათა? ჩვენ გულში ცუდი არაფერი გვაქვს...

ლ ე ვ შ ი ნ ი — ჩვენ ასე ვფიქრობთ, რაც კაცის შრომითაა შექმნილი, — ის წმიდათა წმიდაა. კაცის ნაშრომი ცეცხლს კი არ უნდა მისცე, სამართლიანად უნდა შეაფასო. ხოლო ხალხი შეუფერებელია, ცეცხლი უყვარს, გული ბოლმით აევსო. განსვენებული კი, ღმერთმა შეუნდოს, სასტიკად გვეპყრობოდა, დიახ! დამბაჩა ამოიღო — გვემუქრებოდა.

ნ ა დ ი ა — ბიძიაზე რას იტყვით, ის ხომ კარგი კაცია?

ი ა გ ო დ ი ნ ი — ზახარ ივანოვიჩი?

ნ ა დ ი ა — ჰო! გულკეთილია? თუ ისიც... გაწყენინებთ ხოლმე?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ჩვენ ეგ არ გვითქვამს...

ი ა გ ო დ ი ნ ი — (პირქუშად). ჩვენთვის ყველა ერთია, გინდ სასტიკი იყოს და გინდა გულკეთილი...

ლ ე ვ შ ი ნ ი — (გულთბილად). სასტიკიც — მეპატრონეა, კეთილიც — მეპატრონეა. ალია და ოსმანა, — ორივე თათარიაო, — ნათქვამია.

ი ა გ ო დ ი ნ ი (მოწყენით). რა თქმა უნდა, ზახარ ივანოვიჩი კეთილი გულის კაცია.

ნ ა დ ი ა — მაშასადამე, სჯობია სკრობოტოვს, ხომ?

ი ა გ ო დ ი ნ ი — (ჩუმად). დირექტორი ხომ ცოცხალი აღარაა?

ლ ე ვ შ ი ნ ი — თქვენი ძიბ, პატარა ქალიშვილო, კარგი კაცია... მაგრამ... მისი სიმშვენიერე ჩვენს გაჭირვებას არ შევლის.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (წყენით). წამო, ნადია!.. ხომ ხედავ... არ უნდათ, რომ გაიგონ?..

ნ ა დ ი ა — (ჩუმად). ჰო!..

(უხმოდ მილიან, ლევშინი ჯერ მათ უცქერის, შემდეგ იაგოდინს შეხედავს. ორკენი გაიღიმებენ.)

ი ა გ ო დ ი ნ ი — როგორ გვიძვრებიან სულში!

ლ ე ვ შ ი ნ ი — ხედავ, აინტერესებთ, უნდათ გაიგონ...

ი ა გ ო დ ი ნ ი — ფიქრობენ, ეგებ ყბედობით წამოსცდეთ რამეო.

ლ ე ვ შ ი ნ ი — ახალგაზრდა ქალი კი კარგი აღამიანია... აფსუსს, მდიდარია!..

ი ა გ ო დ ი ნ ი — უნდა ვუთხრათ მატვეი ნიკოლაევიჩს... ქალბატონმა გამოგვეკითხა-თქო.

ლ ე ვ შ ი ნ ი — ვეტყვით... მიტიაკა გრეკოვსაც ვეტყვით.

ი ა გ ო დ ი ნ ი — ნეტა, იქ, ქარხანაში, რა ამბავია? უნდა დაგვით-

მონ!

ლ ე ვ შ ი ნ ი — დაგვითმობენ, აბა რა იქნება, გაივლის ხანი და ისევ შემოგვიტევენ...

ი ა გ ო დ ი ნ ი — ყელში ხელს წაგვიჭერენ.

ლ ე ვ შ ი ნ ი — აბა, როგორ...

ი ა გ ო დ ი ნ ი — ეგრეა. ძილი მერევა!

ლ ე ვ შ ი ნ ი — მოითმინე... ავერ, გენერალი მოდის.

(მოდის გენერალი. მის გვერდით მორიდებით მოაბიჯებს პოლოვი, მათ მოჰყვება კონი. პოლოვი უცებ გენერალს მკლავში ხელს წაატანს.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — რა იყო?

პ ო ლ ო ვ ი — აქ პატარა ორმოა...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ა-ა! რა არის აქ, მაგიდაზე? რაღაც ნაყარ-ნუყარი, ამას თქვენ სჯამდით?

ი ა გ ო დ ი ნ ი — დიახ... ახალგაზრდა ქალბატონიც ჩვენთან ერთად მიირთმევდა.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ალბათ სდარაჯობთ, ა?

ი ა გ ო დ ი ნ ი — დიახ... ვდარაჯობთ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ყოჩაღ... თქვენზე გუბერნატორს მოვახსენებ. სულ რამდენი ხართ?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ორნი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ბრიყვო! ორამდე თვლა მეც ვიცი... სულ რამდენი ხართ?

ი ა გ ო დ ი ნ ი — ოცდაათი კაცი ვიქნებით.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — იარალი გაქვთ?

ლ ე ვ შ ი ნ ი — (იაგოდინს). ტიმოფეი, სადა გაქვს დამბაჩა?

ი ა გ ო დ ი ნ ი — აი, აქაა!..

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ლუღით ნუ გიჭირავს. ბრიყვო! კონ, ასწავლე ამ რეგვენებს, როგორ უნდა იარალის ხელში დაჭერა. (ლევშინს). შენა გაქვს რევოლვერი?

ლ ე ვ შ ი ნ ი — არა, არა მაქვს!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — აბა, მეამბოხენი თუ მოვიდნენ, ესკრით?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ისინი არ მოვლენ, თქვენო აღმატებულებავ... ისინი გაცხარდნენ და — დაწყნარდნენ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — და თუ მოვიდნენ?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ძალიან გულდამწვარი არიან... ქარხნის დახურვის გამო... ზოგს ბავშვები ჰყავს.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! მე გეკითხები, ისერი თუ არა?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ჩვენ, თქვენო აღმატებულებავ, მზადა ვართ...

რად არ ვისვრით? ოღონდ არ ვიცი, როგორ უნდა... იარაღიც არა გვაქვს. თოფები რომ მოგვცა! ანდა ზარბაზნები...

გენერალი — კონ! წადი და ასწავლე... იქით წაიყვანე, მღიწარისაკენ...

კონი — (პირქუშად). ვბედავ მოგახსენო თქვენს აღმატებულებას — ახლა დამეა, ბნელა. სროლას დავიწყებთ თუ არა, ერთი ალი-აქოთი ატყდება, ხალხი მოგვაწყდება. ისე კი, ჩემთვის სულ ერთია, როგორც გენებოთ...

გენერალი — გადაიდოს ხვალამდე!

ლევშინი — ხვალ ყველაფერი დაწყნარდება... ქარხანაც გაიხსნება...

გენერალი — ვინ გახსნის?

ლევშინი — ზახარ ივანოვიჩი. ის ახლა ამის შესახებ საუბრობს მუშებთან...

გენერალი — ჯანდაბას! ჩემი ნება რომ იყოს, ამ ქარხანას სამუდამოდ დავხურავდი, ეგრეც მოუხდება — აბა რად აგუგუნებს საყვირს დილაადრიან?

იგოდინი — ცოტა გვიან რომ ყვიროდეს, არც ჩვენ გვეწყინება...

გენერალი — თქვენ კი ყველას შიმშილით დავხოცავდით. ეგრე მოგიხდებათ — აბა რად აჯანყდით?

ლევშინი — განა ჩვენ აჯანყდით?

გენერალი — ხმა, კრინტი! რას აყუდებულხართ აქ? ღობის გასწვრივ უნდა იაროთ. და თუ შეამჩნიეთ, რომ ვინმე მოიპარება, სროლა აუტეხეთ... მე ვაგებ პასუხს!

ლევშინი — წამო, ტიმოფეი! დამბაჩა თან წამოიღე.

გენერალი — (თვალს გააყოლებს). დამბაჩა!.. ვირები! იარაღის სწორი სახელიც კი არ იციან...

პოლოგი — ვბედავ მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, — საერთოდ ეს ტლანჭი, გამხეცებული ხალხია... მოგახსენებთ ჩემს შესახებ: ბოსტანი მაქვს და ჩემი ხელით ვუვლი...

გენერალი — ჰო, ეს მოსაწონია!

პოლოგი — ვმუშაობ, რამდენადაც დრო ნებას მაძლევს...

გენერალი — ყველამ უნდა იმუშაოს!

(ტატიანა და ნადია მოდიან).

ტატიანა — (შორიდან). ეგრე რად უყვირით?

გენერალი — მაჯავრებენ. (პოლოგის). მერე?

პოლოგი — მაგრამ. თითქმის ყოველდამე მუშები იტაცებენ ჩემი შრომის ნაყოფს.

გენერალი — იპარავენ?

პოლოგი — სწორედ ეგრეა. ვეძიებ კანონის მფარველობას. მაგრამ კანონის აქაური წარმომადგენელი, ბატონი ბოქაული გულგრილად უტყქერის მოსახლეობის გაჭირვებას...

ტატიანა — (პოლოგის). გამიგონეთ, რად ლაპარაკობთ ასე სულელურად?

პოლოგი — (მეშვრთალი). მე? უკაცრავად!.. სამი წელი გიმნაზიაში ვსწავლობდი და ყოველდღე გაზეთს ვკითხულობ...

ტატიანა — (ლიბილით). აი, თურმე რა!

ნადია — რა სასაცილო რამა ხართ, პოლოგი!

პოლოგი — თუ თქვენ გასამოვნებთ, მეც მოხარული ვარ. კაცი სასიამოვნო უნდა იყო.

გენერალი — ანკესით თევზაობა გიყვართ?

პოლოგი — არ მისინჯავს, თქვენო აღმატებულებავ!

გენერალი — (მხრებს აიჩეჩავს). უცნაური პასუხია!

ტატიანა — რა არ გისინჯავთ — თევზაობა თუ სიყვარული?

პოლოგი — (აიბნა). პირველი.

ტატიანა — და მეორე?

პოლოგი — მეორე მისინჯავს.

ტატიანა — ცოლი გყავთ?

პოლოგი — ცოლის შერთვაზე დიდი ხანია ვოცნებობ... მაგრამ, ვინაიდან თვეში მხოლოდ ოცდახუთ მანეთს ვღებულობ (მხარებით მოდიან ნიკოლაი და კლემენტრა), ვერ გამიბედავს.

ნიკოლაი — (ვაბოროტებული). რაღაც განსაცვიფრებელი ამბავი ტრიალებს... სრული ქაოსია!..

კლემენტრა — როგორ ბედავს? როგორ შესძლო?

გენერალი — რა ამბავია?

კლემენტრა — (ყვირის). თქვენი დისწული ჩვარია! მან დაუთმო მემამოხეებს! ის დასთანხმდა... ჩემი ქმრის მკვლელების მიღება მოთხოვნაზე!

ნადია — (ჩუხად). განა ყველა ისინი მკვლელები არიან?

კლემენტრა — ეს ცხედრის... და ჩემი მასხრად აგდება! ქარხნის გახსნა ამ დროს? ჯერ ხომ მიწისთვის არ მიგვიბარებია ის კაცი, რომელიც ამ არამზადებმა სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ მან დახურა ქარხანა!..

ნადია — კი, მაგრამ ძიას ეშინია, რომ ისინი ყველაფერს გადისწავავენ...

კლემენტრა — თქვენ ჯერ ბავშვი ხართ... და უფროსების ლაპარაკში არ უნდა ერეოდეთ...



ნიკოლაი — და იმ ლაწირაკის სიტყვა!.. ეს ხომ სოციალიზმის აშკარა ქადაგებაა!..

კლეოპატრა — ვილაც კანტორის მოსამსახურე ყველაფერს განაგებს, რჩევა-დარიგებას იძლევა... იმისი თქმაც კი გაბედა, რომ ბოროტმოქმედება თვით განსვენებულმა გამოიწვიოს!..

ნიკოლაი — (ჩაიწერს რაღაცას უბის წიგნაკში). ის კაცი საეჭვოა. მეტად ჭკვიანია კანტორის მოსამსახურის როლისათვის.

ტატიანა — თქვენ სინცოვზე ლაპარაკობთ?

ნიკოლაი — სწორედ იმაზე.

კლეოპატრა — მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სახეზე მოძაფურთხესო...  
პოლოგი — (ნიკოლაის). ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ვაზე-

თების კითხვის დროს ბატონი სინცოვი ყოველთვის პოლიტიკაზე მსჯელობს და ძლიერ ემდურის ხელისუფლებას...  
ტატიანა — (ნიკოლაის). თქვენთვის საინტერესოა ამის გავო-

ნება?  
ნიკოლაი — (გამოშწვევი კილოთი). დიახ, საინტერესოა!... თქვენ ფიქრობთ, რომ ამით შემარცხენთ?

ტატიანა — მე ფიქრობ, რომ ბატონი პოლოგი აქ ზედმეტია...  
პოლოგი — (შემკრთალი). უკაცრავად... მე წავალ... (საჩქაროდ გადის).

კლეოპატრა — ის აქეთ მოდის... არ მინდა, არ შემიძლია მისი დანახვა. (სწრაფად გადის).  
ნადია — ეს რა ხდება?

გენერალი — მე დავებრდი ასეთი დავიდარაბისათვის... ერთ-მანეთს ხოცავენ, აჯანყებას აწყობენ... როცა ზახარმა აქ დასასვენებლად მომიწვია, — ყოველივე ეს წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა... (გამოჩნდება ზახარი. იგი აღელვებულია, მაგრამ კმაყოფილი. დანახავს ნიკოლაის, შემკრთალი შეჩერდება, სათვალეს გაისწორებს). გამიგონე, ძვირ-

ფასო დისწულო... ე... შენ უფიქრდები შენს საქციელს?  
ზახარი — ძია, ერთი წუთით დაიცადეთ... ნიკოლაი ვასილევინი!..

ნიკოლაი — დი-ახ!..  
ზახარი — მუშები ისე აღელდნენ... ქარხნის დარბევის ში-

შით... მე დავაკმაყოფილე მათი მოთხოვნა და მუშაობა არ შევაწყვეტინე... აგრეთვე დიჩკოვის შესახებაც... მე დავუდე პირობად, რომ გასცენ დამნაშავე. და უკვე დაიწყეს ბოროტმოქმედის ძებნა.

ნიკოლაი — (გულსოფად). თავს ნუ იწუხებ. მკვლელს მათ და-

უხმარებლად მოვძებნით.  
ნიკოლაი — დი-ახ!..  
ზახარი — მე მგონი, უმჯობესი იქნება, თუ ისინი თვითონ...

დიახ... ქარხნის გახსნა გადაწყვიტეთ ხვალ შუადღიდან...  
ნიკოლაი — ვინ ჩვენ?  
ზახარი — მე...  
ნიკოლაი — ა-ჰა! გმადლობთ ცნობისათვის, მაგრამ, მე მგონი, ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლება გადმოდის ჩემზე და მის ცოლზე. ამიტომ, თუ არ ვცდები, ჩვენთვისაც უნდა გვეითხათ და ერთპიროვნულად საკითხი არ უნდა გადაგვიჭრათ.

ზახარი — მე ხომ მოგიწვიეთ! სინცოვი გამოგიგზავნეთ... თქვენ უარი სთქვით!...  
ნიკოლაი — დამეთანხმეთ, რომ ჩემი ძმის სიკვდილის დღეს ჩემთვის ძნელია საქმიანობა.

ზახარი — ჰო, მაგრამ თქვენ ხომ მაინც იქ იყავით, ქარხანაში?  
ნიკოლაი — დიახ, ვიყავი. სიტყვები მოვისმინე... მერე რაო?  
ზახარი — გაიგეთ, განსვენებულს ქალაქში დეპეშა გაუგზავნია, ჯარისკაცები გამოუთხოვია. პასუხიც მიღებულია — ხვალ შუადღისას ჯარი აქ იქნება.

გენერალი — აჰა, ჯარისკაცები? აი ეს მესმის! ჯარისკაცებს ზღმრობა არ უყვართ.  
ნიკოლაი — გონივრული ღონისძიებაა...  
ზახარი — არ ვიცი! მოვლენ ჯარისკაცები... მუშები კიდევ უფრო აღშფოთდებიან და ღმერთმა იცის რა მოხდება, თუ ქარხანა დროზე არ გავხსენით! მე მგონია, გონივრულად მოვიქცი... სისხლიანი შეტაკების შესაძლებლობა ახლა აღკვეთილია...  
ნიკოლაი — მე ამ საკითხზე სხვანაირი შეხედულებისა ვარ... თქვენ არ უნდა დაუთმოთ ამ ხალხს... თუნდაც მოკლულის ხსოვნის სტივისაცემად...  
ზახარი — ო, ღმერთო ჩემო... თქვენ არაფერს ამბობთ შესაძლებელ ტრაგედიაზე!  
ნიკოლაი — ეს მე არ შემეხება.  
ზახარი — ჰო, ცხადია... და მე კი რა ვქნა? მე ხომ უნდა ვიცხოვრო მუშებთან? და თუ მათი სისხლი დაიღვარა... ბოლოს და ბოლოს მათ მთელი ქარხნის განადგურება შეუძლიათ!  
ნიკოლაი — მე ეს არ მჯერა!  
გენერალი — არც მე!  
ზახარი — (დაღონებული). მაშ, თქვენ მკიცხავთ?  
ნიკოლაი — დიახ, გკიცხავთ!  
ზახარი — (გულწრფელად). რათა? რა საჭიროა მტრობა? მე მხოლოდ ერთი რამ მინდა: როგორმე დავაღწიო თავი შესაძლებელ...

მე არ მინდა სისხლი. ნუთუ შეუძლებელია ცხოვრების მშვიდი, გონივრული მიმდინარეობა? თქვენ — სიძულვილით მიყურებთ, მუშები კიდევ — უნდობლობით... მე კი სიკეთე მინდა... მხოლოდ სიკეთე!..

გენერალი — რა არის სიკეთე? სიტყვა კი არა, მხოლოდ ბეგრაა.. წარმოსთქვი სიკეთე... და აკეთე საქმე... ასეა ნათქვამი, არა?

ნადია — (ცრემლებით). გაჩუმდი, პაპა!... ძია... დამშვიდდი!.. ის მოხუცია, ვერ გაუგია!.. ახ, ნიკოლაი ვასილევინ, რატომ არ გესმით? ასეთ ჭკვიანს... რად არ გჯერათ ძიასი?

ნიკოლაი — ბოდიშს ვიხდი, ზახარ ივანოვიჩ, და მივდივარ. არ შემიძლია, არა ვარ ჩვეული საქმიან ლაპარაკს ბავშვების მონაწილეობით... (შიღის).

ზახარი — ხომ ხედავ, ნადია!..

ნადია — (ხელს მოკიდებს). ეს არაფერია, არაფერი... იცი, მთავარი ისაა, რომ მუშები კმაყოფილნი იყვნენ... ისინი ბევრნი არიან, ჩვენზე მეტი!..

ზახარი — მოიცა... უნდა ვითხრა... ძალიან გემდურია, დიან!

გენერალი — მეც!

ზახარი — შენ მუშებს თანაუგრძობ... ეს ბუნებრივია შენს ასაკში, მაგრამ ზომას არ უნდა გადაცილდე; ჩემო ძვირფასო! აი, დილას, სუფრაზე ის გრეკოვი მოგიპატიუნია... მე მას ვიცნობ, ძალიან განვითარებული ყმაწვილია, მაგრამ მის გამო დეიდასთვის უსიამოვნება არ უნდა მიგეყენებინა.

გენერალი — კარგად გათათხე, ეგრე მოუხდება!

ნადია — შენ ხომ არ იცი როგორ იყო საქმე!..

ზახარი — დამიჯერე, მე შენზე მეტი ვიცი! ჩვენი ხალხი ტლანქია, უკულტურო, თუ თითი გაუწოდე, ხელში ჩაგვკიდება.

ტატიანა — როგორც წყალწალბებული ხავსს ეკიდება ხოლმე.

ზახარი — ამ ხალხში, ჩემო კარგო, ბევრი რამაა ცხოველური, ხარბი, საჭიროა მისი აღზრდა და არა განებვირება! დიან! გთხოვ, იფიქრო ამაზე!

გენერალი — ახლა კი მე ჩემსას ვიტყვი: ეშმაკმა იცის, როგორ მეპყრობი, გოგო! გახსენებ, ჩემი ხნის მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ გახდები... მაშინ ეგებ მოგცე ნება ტოლივით მელაპარაკო გაიგე? კონ!

კონი — (ხეებს უკან). აქა ვარ!..

გენერალი — სად არის ის... რა ქვია?...

კონი — პოლოგი? არ ვიცი.

გენერალი — (შედის კარავში). მოძებნე! (თავჩაქინდრული ზახარი სათვალეს ცხვირსაოციტ იწმენდს და დადის. ნადია ჩაფიქრებული ზის. ტატიანა დგას და მათ უცქერის).

ტატიანა — იციან, ვინც მოკლა?

ზახარი — ამბობენ — არ ვიცი, მაგრამ ვიპოვით... რა თქმა უნდა, იციან. მე ასე მგონია (მიმოიხედავს. ხმადაბლა). ეს კოლექტიური ვადაწყვეტილებაა... შეთქმულება! კაცმა რომ სთქვას, ის მათ აღიზიანებდა, დასცინოდა კიდევ, მის ხასიათში რალაც ავადმყოფური თავისებურება იყო... მას უყვარდა ძალაუფლება... და აი იმათაც... ეს საზარელია, საზარელი თავისი სიმარტივით! მოკლეს ადამიანი, და ისეთი მშვიდი, ნათელი თვალებით მიყურებენ, თითქოს სრულებით არ ჰქონდეთ შეგნებული დანაშაული... რა საშინელი უბრალოებაა...

ტატიანა — ამბობენ, სკრობოტოვს ვასროლა უნდოდა, მაგრამ ეილაცამ რევოლვერი ხელიდან გამოგლიჯა და...

ზახარი — ეს სულ ერთია. მკვლელები მაინც ისინი არიან...

ნადია — მოდი, ჩამოჯექი...

ზახარი — რად გამოიძახა ჯარი? მათ ეს გაიგეს... მათ ყველაფერი იციან! ამან კი დააჩქარა მისი სიკვდილი. მე უნდა გაბეღო ქარხანა... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი დამოკიდებულება მათთან დიდი ხნით გაფუჭდებოდა. ახლა ისეთი დროა, რომ სჯობს კაცი მუშებს ყურადღებით, ლმობიერად მოეპყრას... და ვინ იცის, რით კათავდება ეს დრო? ასეთ ეპოქაში ყოველ გონიერ ადამიანს უნდა ეგულეობდეს მეგობრები მასაში... (ლევზინი ვაივლის სცენის სიღრმეში). ეს ვინ მოღის?

ლევზინი — ეს ჩვენა ვართ... ვდარაჯობთ.

ზახარი — რა, ეფიმიჩ, კაცი მოჰკალით და ახლა ასეთი ალერსიანი, მშვიდი გახდით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს?

ლევზინი — ჩვენ, ზახარ ივანოვიჩ, ყოველთვის ასეთები... მშვიდები ვართ.

ზახარი — (ჩაგონებით). დიან. და დამშვიდებითაც კლავთ. რა?... ჰო, ლევზინ, შენ აქ რალაცეებს ქადაგებ... რალაც ახალ მოძღვრებას — ფული არაა საჭირო, მეპატრონეები არაა საჭირო და სხვა ასეთი... ეს დასაშვებია... ესე იგი, გასაგებია, ლევ ტოლსტოის მოძღვრებით... უმჯობესია. ჩემო მეგობარო, ამისთანებს თავი დაანებო! ასეთი სჯა-ბაასი სიკეთემდე არ მიგიყვანს. (ტატიანა და ნადია შიღიან მარჯვენისაკენ, საიდანაც იამის იაკობისა და სინცოვის ხმები, ხეებს შორის გამოჩნდება იაკობის).

ლევზინი — (მშვიდად). აბა, რას ვქადაგებ? მიცხოვრია. მიფიქრია და ამ ჩემ ნაფიქრალს გამოვსთქვამ ხოლმე...

ზახარი — მეპატრონეები მხეცები არ არიან, — ეს უნდა გვეს-  
მოდეს... ხომ ხედავ, მე არა ვარ ბოროტი კაცი. ყოველთვის მზად  
ვარ დაგეხმაროთ, თქვენთვის სიკეთე მინდა...

ლევზინი — (ამოიხრებს). აბა თავისთვის ცუდი ვის უნდა?

ზახარი — გაიგე, მე თქვენთვის მინდა სიკეთე, თქვენთვის!

ლევზინი — გვესმის!..

ზახარი — (უცქერის). არა, შენ ცდები. თქვენ არ გესმით. რა  
უცნაური ხალხი ხართ! ხან — მხეცები, ხან — ბავშვები... (მიდის.  
ლევზინი, ჯოხზე დაყრდნობილი, უცქერის მიმავალს).

იაგოდინი — ისევ გიქადაგებდა?

ლევზინი — ჩინელია... ნამდვილი ჩინელი... რაებს ამბობს?  
საკუთარი თავის გარდა, სხვისი არაფერი ვაგებდა...

იაგოდინი — სიკეთე მინდოდაო...

ლევზინი — აბა! აბა!

იაგოდინი — წავიდეთ!.. თორემ აგერ მოდიან. (მიდის სცენის  
სიღრმისაკენ. მარჯვნიდან გამოდიან ტატიანა, ნადია და სინცოვი).

ნადია — სულ დავდივართ, დავეხეტებით... თითქოს სიზმარში  
ვიყოთ!

ტატიანა — ისაუზმებთ, მატვეი ნიკოლაევიჩ?

სინცოვი — მომეცით ერთი ჭიქა ჩაი... ასე ემჯობინება... მე  
დღეს იმდენი ვილაპარაკე... ყელიც მეტყინა!

ნადია — თქვენ არაფრის არ გეშინიათ?

სინცოვი — (მაგიდას მიუჯდება). მე? არაფრის!

ნადია — მე კი, მეშინია!.. ყველაფერი ამერია თავში და ვეღარ  
გამიგია... ვინაა მტყუანი და ვინ მართალი?

სინცოვი — (ღიმილით). გამოირკვევა. თქვენ მხოლოდ ფიქრს  
არ შეუშინდეთ... იფიქრეთ უშიშრად, ბოლომდე!... საერთოდ, ნუ-  
რაფრის შეგეშინდებათ!

ტატიანა — გგონიათ, ყველაფერი უკვე დაწყნარდა?

სინცოვი — დიახ. მუშები იშვიათად იმარჯვებენ და პატარა  
გამარჯვებაც კი მათ დიდ კმაყოფილებას გვრის ხოლმე...

ნადია — თქვენ გიყვართ მუშები?

სინცოვი — ეგ არ არის მთლად სწორი გამოთქმა. მე მათთან  
დიდხანს მიცხოვრია, ვიცნობ, ვხედავ მათს ძალას, მწამს მათი გო-  
ნება...

ტატიანა — ისიც გწამთ, რომ მომავალი მათია?

სინცოვი — ესეც!

ნადია — მომავალი... როგორი იქნება ეს მომავალი, ვერ წარ-  
მომიდგენია.

ტატიანა — (ჩაიციხება). ძალიან ეშმაკი ხალხი კი ყოფილა თქვე-  
ნი პროლეტარები! აი, მე და ნადია შევეცადეთ გამოვლაპარაკებო-  
დით... და სისულელის მეტი არაფერი გამოვიდა.

ნადია — საწყენია კიდევ. მოხუცი ისეთი კილოთი გველაპარა-  
კებოდა, თითქოს ჩვენ ორივენი ცუდი ადამიანები ვიყოთ. ჯაშუ-  
შების მავგარი! აქ არის მეორე... გრეკოვი. ის სხვანაირად უყურებს  
ადამიანებს... მოხუცი კი სულ ილიმება... თითქოს ჩვენ ავადმყოფე-  
ნი ვიყოთ, თითქოს ვებრალებით კიდევ!..

ტატიანა — ნუ სვამ ამდენს, იაკობ, ყურებაც კი მეზარება.

იაკობი — აბა სხვა რა გავაკეთოთ?!

სინცოვი — ნუთუ გასაკეთებელი არაფერია?

იაკობი — არა მსურს... ზიზღსა ვგრძნობ... უძლეველ ზიზღს  
ყოველი საქმიანობისა და საქმისადმი. იცით, მე მესამე ჯგუფის ადა-  
მიანი ვარ...

სინცოვი — როგორ?

იაკობი — ისე! ადამიანები სამ ჯგუფად იყოფიან. ზოგნი  
მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობენ, სხვები ფუ-  
ლეს აგროვებენ, მესამე ჯგუფის ადამიანებს კი არა სურთ იშრო-  
მონ ლუკმა-პურისათვის, — ეს რალაცნაირად უხერხულიცაა და  
სულელურიც... აი მეც — მესამე ჯგუფიდან ვარ. ამ ჯგუფს ეკუთვ-  
ნიან ზარმაცები, მაწანწალები, ბერები, მათხოვრები და ამ ქვეყნის  
ყველა მუქთახორა.

ნადია — რა მოსაწყენად ლაპარაკობთ, ძია! და სრულებითაც  
არა ხართ ეგეთი, უბრალოდ — კეთილი, სათუთი ადამიანი ხართ.

იაკობი — ესე იგი, არაფრად ვვარგევარ: მე ეს უკვე სკოლაში  
შევიგნე: ადამიანები ახალგაზრდობიდანვე იყოფიან სამ ჯგუფად...

ტატიანა — ნადიამ მართალი სთქვა: ეს მოსაწყენია, იაკობ!..

იაკობი — თანახმა ვარ. მატვეი ნიკოლაევიჩ, როგორ გგონიათ,  
ცხოვრებას თავისი სახე აქვს?

სინცოვი — შესაძლოა.

იაკობი — აქვს. და ეს სახე ყოველთვის ახალგაზრდულია.  
დიდი ხანი არ არის, რაც ცხოვრება გულგრილად მიყურებდა, ხო-  
ლო ახლა მკაცრად მიცქერის... და მეკითხება: „თქვენ ვინა ხართ?  
საით მიდიხართ, ა?“ (რალაცით შეშინებულია, უნდა გაიღიმოს, მაგრამ ტუ-  
ჩები უთრთის, არ ემორჩილება და საშინლად, შეხაბრალისად იმანებება).

ტატიანა — გთხოვ, დაანებე თავი ასეთ რამეებს, იაკობ! აგერ  
პროკურორი სეირნობს... მე არ მინდა, რომ მის წინ ასე ილაპარაკო.

იაკობი — კარგი.

ნადია — (ჩუმიად). ყველა რალაცაბ მოელის... და ყველას ეშინია.

რად მიკრძალავენ მუშებთან ურთიერთობას? რა სისულელეა!

ნიკოლაი — (უახლოვდება). შეიძლება გთხოვოთ ერთი ჭიკაჩაი?

ტატიანა — მიირთვით! (რამდენიმე წამს ყველა დაღუშებულია, ნიკოლაი დგას და ჩაიში კოვზს ურევს).

ნადია — ვერ გამიგია, რად არ სჯერათ მუშებს ძიასი და საერთოდ...

ნიკოლაი — (პირქუშად). მხოლოდ იმათი სჯერათ, ვინც მათ მოუწოდებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ აი, ეს სჯერათ.

ნადია — (მხრებს შეიმუშნის ჩუმად). როდესაც ეს სიტყვები, ეს მსოფლიოს შეკრების ყიჟინა მესმის... მგონია, რომ ჩვენ ყველანი ზედმეტნი ვართ დედამიწაზე.

ნიკოლაი — (აღელდება). რასაკვირველია! ასედაც უნდა გრძნობდეს თავს ყოველი კულტურული ადამიანი... და დარწმუნებული ვარ — დედამიწაზე მალე გაისმება სხვა ძახილი: „ყველა ქვეყნის კულტურული ხალხნო, შეერთდით!“ დროა ეს ხმა მოეფინოს ქვეყნიერებას, დროა! მოდის ბარბაროსი, რათა გასთელოს კაცობრიობის საუკუნეებრივი შრომის ნაყოფი. იგი მოდის, გაუმადლობით ამოძრავებული...

იაკობი — ხოლო სული კუჭში, მშიერ კუჭში აქვს მოქცეული... ეს სურათი, მართლაც, წყურვილის მომგვრელია. (დაისხამს ლულს).

ნიკოლაი — მოდის ბრბო, სიხარბით ამოძრავებული. მას მხოლოდ ერთი სურვილი აერთიანებს და ასულდგმულებს: ჭამოს, გაძღეს...

ტატიანა — (ჩაფიქრებული). ბრბო... ყველგან ბრბო: თეატრში, ეკლესიაში...

ნიკოლაი — რა მოაქვს ამ ხალხს? არაფერი, ნგრევის გარდა... და, დაიხსომეთ, არსად არ იქნება ეს ნგრევა ისე საზარელი, როგორც ჩვენში!

ტატიანა — როცა მუშებზე ლაპარაკობენ, როგორც მოწინავე ადამიანებზე, ვერ გამიგია, მეუცხოება, იმდენად არ ეგუება ასეთი რამ ჩემს შეგნებას...

ნიკოლაი — და თქვენ, ბატონო სინცოვი!... თქვენ, ცხადია, არ გვეთანხმებით?..

სინცოვი — (მშვიდად). არა!

ნადია — გახსოვს, დეიდა ტანია, მოხუცი ფულზე, კაპიქი რომ გველაპარაკებოდა. ეს მარტივი, ადვილი გასაგები ამბავია.

ნიკოლაი — რად არ გვეთანხმებით, ბატონო სინცოვი?

სინცოვი — სხვანაირად ვაზროვნებ!

ნიკოლაი — სავსებით გონიერული პასუხია, მაგრამ შესაძლოა ჩვენც ვაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება?

სინცოვი — არა! არა ვარ განწყობილი!

ნიკოლაი — მეტად სამწუხაროა! იმედი მაქვს, როდესაც კიდევ ერთხელ შევხვდებით ერთმანეთს, თქვენი განწყობილება შეიცვლება. იაკობ ივანოვიჩი, თუ შეიძლება... გთხოვთ გამაცილოთ! მენერგები ისე დაქიმული მაქვს, რომ...

იაკობი — (ძლივს წამოდგება). კი, ბატონო, ინებეთ... (გაღიან).

ტატიანა — ეს პროკურორი საზიზღარი პიროვნებაა. არ მსიამოვნებს, როცა მას რამეში ვეთანხმები.

ნადია — (აღვა). მაშ, რად ეთანხმები?

სინცოვი — (ჩაიცივებს). მართლაც, რად, ტატიანა პავლოვნა?

ტატიანა — იმიტომ, რომ მეც ასევე ვფიქრობ.

სინცოვი — (ტატიანას). თქვენც ასევე ფიქრობთ, მაგრამ სხვაგვარად კი გრძნობთ. თქვენ გინდათ შეიგნოთ, გაიგოთ რაღაც, ის კი მათზე არ ზრუნავს, მისთვის არაფრის ვაგება არაა საჭირო.

ტატიანა — ალბათ ის ძალიან მკაცრია.

სინცოვი — დიახ. იქ, ქალაქში პოლიტიკური საქმეები აქვს ჩაბარებული და პატიმრებს საზიზღრად ექცევა.

ტატიანა — ჰო, გამახსენდა! თქვენზედაც რაღაც ჩაიწერა უბის წიგნაკში.

სინცოვი — (ღიმილით). ალბათ, ჩაიწერა! პოლოგის ესაუბრება... საერთოდ. მუშაობს!... ტატიანა, პავლოვნა, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს.

ტატიანა — ბრძანეთ... მერწმუნეთ, თუ შევიძლებ, სიამოვნებით შევასრულებ!

სინცოვი — გმადლობთ. ალბათ ჟანდარმები გამოიძახეს.

ტატიანა — დიახ, გამოიძახეს.

სინცოვი — მამასადამე, ჩხრეკა იქნება... ვერ შესძლებთ, ზოგი რამ დამიმალოთ?

ტატიანა — გგონიათ, რომ გაგჩხრეკენ?

სინცოვი — ალბათ.

ტატიანა — შესაძლოა დაგაპატიმრონ კიდევ?

სინცოვი — არა მგონია. რისთვის?.. სიტყვით რომ გამოვედი? მაგრამ ზახარ ივანოვიჩმა იცის, რომ ჩემს გამოსვლებაში მუშებს წესრიგისაკენ მოგუწოდებდი...

ტატიანა — და წარსულში... არაფერი გაქვთ?

სინცოვი — მე არა მაქვს წარსული. მაშ, დამეხმარებით? არ შეგაწუხებდით... მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველას, ვისაც კი ამ ნივთების დამალვა შეუძლია, ხვალ გაჩხრეკენ (ჩუმად იცინის).

ტატიანა — (შემკრთალი). გულახდილად გეტყვი. ჩემი მდგომარეობა ამ სახლში ისეთია... რომ ოთახს, სადაც ვცხოვრობ, ჩემდამი მიკუთვნებულად ვერ ჩავთვლი.

სინცოვი — მაშასადამე, არ შეგიძლიათ... რას იზამ...

ტატიანა — ნუ გამიჯავრდებით!

სინცოვი — არა, თქვენი უარი გასაგებია...

ტატიანა — მოითმინეთ, ნადიას მოველაპარაკებო... (მიდის. სინცოვი მაგიდაზე თითებს ათამაშებს და რაღაცას გაჰყურებს. ისმის ფრთხილი ნაბიჯების ხმა).

სინცოვი — (ჩუმად). ვინ არის?

გრეკოვი — მე. თქვენ მართო ხართ?

სინცოვი — ჰო!.. იქით ხალხია... რა ამბავია ქარხანაში?

გრეკოვი — ხომ იცით, გადაწყვიტეს იპოვონ ის, ვინც ისროლა. ახლა გამოძიებას აწარმოებენ. ზოგი ყვირის, სოციალისტებმა მოკლესო! საერთოდ, თვითელი თავისი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს.

სინცოვი — თქვენ იცით ვინ იყო?

გრეკოვი — აკიმოვი!

სინცოვი — ნუთუ ის? უჰ! არ მოველოდი! ასეთი კარგი, ჭკვიანი ყმაწვილი.

გრეკოვი — ფიცი კაცია. სურს, რომ განაცხადოს... ცოლი ჰყავს, ბავშვი... მეორე ბავშვს მოელიან... ეს არის ლევინის ველაპარაკე. ის, რასაკვირველია, ფანტაზიებსა სთხზავს: აკიმოვი სხვა, უფრო უმნიშვნელო მუშაკით უნდა შეგვევალოთო...

სინცოვი — ახირებული კაცია... მაგრამ რა სამწუხარო ამბავი მითხარით. (აუუხა). აი რა, გრეკოვ, ყველაფერი მიწაში უნდა ჩავფლათ. დასამალი ადგილი არ არის.

გრეკოვი — მე ვიპოვე ადგილი. ტელეგრაფისტი თანახმაა, ყველაფერს წავიდებო. უმჯობესია შენ, მატევი ნიკოლაევიჩ, წახვიდე აქედან!

სინცოვი — არა, მე არ წავალ!

გრეკოვი — დაგაპატიმრებენ.

სინცოვი — მერე რა? რომ წავიდე, ეს ცუდ შთაბეჭდილებას დასტოვებს მუშებზე.

გრეკოვი — ეს ასეა... მაგრამ მენანები.

სინცოვი — სისულელეა... მე კი აკიმოვი მენანება.

გრეკოვი — მართლაც! რომ არც არაფერი ეშველება!... სურს გამოაცხადოს. სასაცილო სანახავე კი ხარ, მატევი ნიკოლაევიჩ, მე-პატრონის საკუთრების მცველთა მეთაურის როლში.

სინცოვი — (ღიმილით). რას იზამ!... მგონი, ჩემს რაზმს სძინავს!

გრეკოვი — არა! დაჯგუფებულან. მსჯელობენ. კარგი ღამეა!

სინცოვი — მეც წავიდოდი აქედან... მაგრამ აი, ვუცდი... ალბათ შენც დაგაპატიმრებენ.

გრეკოვი — დაგაპატიმრებენ და ჩავჯდებით. მივდივარ. (მიდის).

სინცოვი — ნახვამდის! (ტატიანა მიდის). ნუ სწუხდებით, ტატიანა პავლოვნა, ყველაფერი მოგვარდა, ნახვამდის!

ტატიანა — მერწმუნეთ, ძალიან მწყინს...

სინცოვი — ღამე მშვიდობისა.

(მიდის. ტატიანა ნელი ნაბიჯით დადის, თავისი ტუფლების წვერებს უყურებს. შემოდის იაკობი).

იაკობი — რად არ მიდიხარ დასაძინებლად?

ტატიანა — არ მინდა. მინდა სულ წავიდე აქედან...

იაკობი — ჰო! მე კი ველარსად წავალ, რადგან დედამიწის ყველა კონტინენტსა და კუნძულს გვერდი ავუარე.

ტატიანა — აქ ყოფნა მიმძიმს. ყველაფერი ირყევა და რაღაცნაირად თავბრუს მახვევს. ტყუილის თქმაც კი მიხდება, — რაც მეზარება.

იაკობი — ჰმ, ეს არ გიყვარს... ჩემდა სავალალოდ... სავალალოდ...

ტატიანა — (თავის თავს ელაპარაკება). აი ახლაც ვიცრუე. ნადია, რასაკვირველია, დათანხმდებოდა იმ ნივთების შენახვაზე... მაგრამ მე არა მაქვს უფლება ამ გზაზე დავაყენო.

იაკობი — ვიზე ლაპარაკობ?

ტატიანა — მე? ისე... რა უცნაურია ყოველივე ეს... ჯერ კიდევ გუშინ ცხოვრება ნათელი იყო, ყველა სურვილები — გარკვეული...

იაკობი — (ჩუმად). ნიჭიერი ლოთები, ლამაზი მუქთახორები და სხვა მხიარული სპეციალობის ხალხი, სამწუხაროდ, აღარ იპურობს ყურადღებას!.. ვიდრე მოსაბეზრებელი, საყოველღეო ორომტრიალის გარეშე ვიდრე, — ჩვენი მზერით სტკებოდნენ... მაგრამ ცხოვრების ორომტრიალი სულ უფრო და უფრო დრამატული ხდება... ვიღაც ყვირის: „ეი, კომიკური როლების შემსრულებლებო და ხუმარებო, დასტოვეთ სცენა!“ სცენა კი, ეს ხომ შენი სარბიელია, ტანია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მოუსვენრად). ჩემი სარბიელი? მე ვფიქრობდი, რომ სცენაზე მტკიცედ ვდგევარ... შემძლია გავიზარდო... (მოძღვრული გულისთქმით). ახლა კი მიმიძის, უხერხულად ვგრძნობ თავს იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ცივი თვალებით მიყურებენ და დღემლით მეუბნებიან: „ჩვენ ეს უკვე ვიცით. ყოველივე ეს მოძველებული და მოსაწყენია!“ მათ წინაშე თავს უსუსურად, უმწეოდ ვგრძნობ... აღარ ძალმიძს შევიპურო, აღვაფრთოვანო ისინი!.. მინდა ავთრთოლდე შიშისაგან, სიხარულისაგან, მინდა წარმოვსთქვა ცეცხლით, გულისთქმითა და რისხვით აღსავსე სიტყვებით... ხმალივით ბასრი და ჩირაღდანივით ანთებული... მწაღია, უხვად გადავიტოვო ხალხში ასეთი სიტყვები. მინდა, რომ ხალხი აენთოს და, ერთიანი შეძახილით, სადღაც გაეშუროს. ვაი, რომ ასეთი სიტყვები ვერ მიპოვნია. მე შევაჩერებ ხალხს და ისევ ვესვრი ყვავილებივით მშვენიერ, იმედით, სიხარულითა და სიყვარულით აღსავსე სიტყვებს!.. ყველანი ტირიან... და მეც მათთან ერთად... ისეთი კარგი ცრემლებით ვტირი... მე ოვაციებს მიწყობენ, ყვავილებს მესვრიან... ერთი წუთით ვარ მე ადამიანების მეუფე... ამ წუთშია მთელი სიცოცხლე მთელი სიცოცხლე ერთ წუთში! ვაი, რომ ვერ მიპოვნია ცოცხალი სიტყვები.

ი ა კ ო ბ ი — ჩვენ მხოლოდ წუთებით ვცოცხლობთ.

ტ ა ტ ი ა ნ ა — ის, რაც უმშვენიერესია, ყოველთვის ერთ წუთშია მოქცეული. როგორ მწყურია სხვანაირი ხალხი — უფრო გულშემატკივარი! სხვანაირი ცხოვრება და არა ასეთი მოუსვენარი... ცხოვრება, სადაც ხელოვნება ყოველთვის საჭიროა... ყველასათვის და ყოველთვის! სადაც მე ზედმეტი არ ვიქნები... (იაკობს ფართოდ გაუხელი თვალები; სიბნელეს უცქერს). ასე რადა სვამ? ამან მოგკლა... შესლამაზი იყავი...

ი ა კ ო ბ ი — ნულარას ამბობ...

ტ ა ტ ი ა ნ ა — შენ გრძნობ ჩემს გულისტკივილს?

ი ა კ ო ბ ი — (შეძრწუნებული). როგორი მთერალიც არ უნდა იყო, ყველაფერი მესმის... სწორედ ამაშია ჩემი უბედურება! წყვეულ ტვინი დაუინებით მუშაობს... ყოველთვის! და მუდამ თვალწინ მიდგას ვიღაცის პირდაუბანელი სახე, დიდრონი თვალებით. ეს თვალები მე კითხებიან: „აბა, რა?“ ისმენ, მხოლოდ ორ სიტყვას: „აბა, რა?“

პ ო ლ ი ნ ა — (მორბის). ტანია!.. ტანია, გენაცვალე, წადი იქ!.. ეს კლეოპატრა... ჭკუიდან შეცდა... ყველას შეურაცხყოფას აყენებს... ეგებ დააწყნარო როგორმე.

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ხალციანად). ო, მომშორდით, ნუ შეაწუხებთ გული

თქვენი კინკლაობით!.. უმჯობესია, შეჭამოთ ერთმანეთი, ოღონდ ნუ ბორგავთ და ხალხს ფეხებში ნუ ებლანდებით!

პ ო ლ ი ნ ა — (შეშინდა). ტანია!.. რაებს ამბობ? რა გემაართება?

ტ ა ტ ი ა ნ ა — რა გინდათ? რა გაწუხებთ?

პ ო ლ ი ნ ა — ერთი მოდი, ნახე, რა გააფრთხულებია... აქეთ მოდის!

ზ ა ხ ა რ ი — (ჯერ არა ჩანს). უკანასკნელად გთხოვთ, გაჩუმდით!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — ეს თქვენ... თქვენ უნდა გაიკმინდოთ ხმა ჩემს წინაშე.

პ ო ლ ი ნ ა — აქაც ყვირილი დაიწყება... აქ გლეხები დადიან...

რ ა საშინელება! ტანია! გთხოვ, თუ გიყვარდე...

ზ ა ხ ა რ ი — (მოდის). გამიგონეთ... მგონი ჭკუიდან შევიშლები!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — ვერ გამექცევით, მე გაიძულე, რომ მომისმინოთ!.. ა-ა-ა, თქვენ მუშებს ელაქუცებოდით, მათი პატივისცემა გესაჭიროებოდათ და გადაუგდეთ მათ კაცის სიცოცხლე ისე, როგორც ავ ძაღლებს ხორცის ნაჭერს გადაუგდებენ! თქვენ ჰუმანისტები ბრძანდებით სხვის ხარჯზე, სხვისი სისხლის ანგარიშში!

ზ ა ხ ა რ ი — ამას რას ამბობს?

ი ა კ ო ბ ი — (ტატიანას). აბა, სჯობია ამით გაეცალოთ. (მოდის).

პ ო ლ ი ნ ა — ქალბატონო, ჩვენ წესიერი ხალხი ვართ და არ მივცემთ ყვირილის ნებას თქვენისთანა სახელგატეხილ ქალს!

ზ ა ხ ა რ ი — (შეშინებული). გაჩუმდი, პოლინა... ღეთის გულისათვის!..

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — რით ხართ წესიერი ხალხი? იმით, რომ პოლიტიკაზე ყბედობთ? ხალხის გაჭირვებაზე? პროგრესზე და ჰუმანურობაზე, არა?

ტ ა ტ ი ა ნ ა — კლეოპატრა პეტროვნა, კმარა!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — მე თქვენ არ გელაპარაკებთ, არა! თქვენ აქ უცხო პირი ხართ, ეს თქვენი საქმე არ არის!.. ჩემი ქმარი პატიოსანი კაცი იყო. პირდაპირი და პატიოსანი... ის ხალხს თქვენზე უკეთ იცნობდა... თქვენსავით არ ყბედობდა... თქვენ კი თქვენი სიბილწით გივით, მოჰკალით იგი!..

ტ ა ტ ი ა ნ ა — (პოლინას და ზახარს). წადით აქედან!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — მე თვითონ წავალ! მეზიზღებით! ყველანი მეზიზღებით!.. (მოდის).

ზ ა ხ ა რ ი — ეს რა ცოფიანი დედაკაცია, ა?

პ ო ლ ი ნ ა — (ცრემლებით). დავანებოთ ყველაფერს თავი... წავიდეთ აქედან... განა შესაძლოა ასეთი შეურაცხყოფის ატანა?..

ზ ა ხ ა რ ი — რა ღმერთი გაუწყრა?... ყვარებოდა მაინც ქმარი,

ეცხოვრა მაინც მასთან წესიერად... წელიწადში ორ-ორ საყვარელს იცვლის, — და ერთი უყურეთ ზა ამბავშია?

პოლინა — უნდა გავყიდოთ ქარხანა!

ზახარი — (გულმოსული). დავანებოთ თავი, გავყიდოთ... არც ეგრება საქმე! უნდა ვიფიქროთ... კარგად უნდა მოვისაზროთ... აი ახლა ნიკოლაი ვასილევჩის ველაპარაკებოდი... ეს დედაკაცი შემოიჭრა და ხელი შეგვიშალა...

პოლინა — ნიკოლაი ვასილევჩის ვაჟულვართ... ის ბოროტი კაცია.

ზახარი — (წყნარდება). ახლა ის თავზარდაცემული და ვაბოროტებულია, მაგრამ ჭკვიანი კაცია, ანდა რად უნდა ვაჟულდეთ? ამჟამად, მიხეილის სიკვდილის შემდეგ, მას ჩვენთან საგსებით რეალური ინტერესები აკავშირებს... დიახ!

პოლინა — მე მისი მეშინია, არა მჯერა... ის შენ მოგატყუებს!

ზახარი — პოლინა, ეგ სისულელეა!.. ის ძალიან საღად მსჯელობს!.. დიახ! საქმე იმაშია, რომ ჩემს ურთიერთობაში მუშებთან მე მერყევი პოზიცია დავიჭირე... ამაში უნდა გამოვტყდე... საღამოს, როცა მათ ველაპარაკებოდი... ო, პოლინა, შენ არ იცი რა მტრულადაა განწყობილი ეს ხალხი.

პოლინა — მე შენ გეუბნებოდი... გეუბნებოდი! მუშები მუდამ ჩვენი მტრები არიან! (ტანია შორდება მათ და ჩუმად იცინის. პოლინა მას უტყერის და განზრახ აწეული ხმით განაგრძობს). ყველა ჩვენი მტერი ყველას შურს... და მიტომ თავს გვესხმიან!...

ზახარი — (აჩქარებით დადის). პო... ცხადია, ნაწილობრივ ეგრება ნიკოლაი ვასილევჩი ამბობს. არა კლასთა ბრძოლა, არამედ რასების ბრძოლა — თეთრისა და შავის!.. ეს, რა თქმა უნდა, რამდენადმე ძალდატანებული, ტლანქი გამოთქმა... მაგრამ თუ დავფიქრდებით, რომ ჩვენ კულტურული ხალხი ვართ, ჩვენ შევქმენით მეცნიერება, ხელოვნება და სხვა... თანასწორობა... ფიზიოლოგიური თანასწორობა... ჰმ... დიახ! კარგი, მაგრამ ჯერ ადამიანებად იქცეით, ეზიარეთ კულტურას... და მერე ველაპარაკოთ თანასწორობაზე!..

პოლინა — (უპრს უგდებს). ეს რაღაც ახალი მესმის შენგან.

ზახარი — ყოველივე ეს სქემატურია, ბოლომდე არაა გააზრებული... უნდა შეიცნო შენივე თავი, ესაა მთავარი...

პოლინა — (ხელს მოკიდებს). შენ მეტად ლმობიერი ხარ, ჩემო მეგობარო, აი რად გიძნელდება ასე ცხოვრება!

ზახარი — ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით და ხშირად განცვიფრებული ბაში მოვდივართ... აი, მაგალითად, სინცოვი, მან გამაკვირვა ჩემი გული მოინადირა... ასეთი სიმარტივე, ასეთი ნათელი ლოგიკა!

თურმე სოციალისტი ყოფილა, — აი, საიდან მოდის სიმარტივე და ლოგიკა!..

პოლინა — დიახ, დიახ... ის საერთო ყურადღებას იპყრობს... ასეთი არასასიამოვნო სახე აქვს!.. ნეტა ცოტას დაისვენებდე... წაკიდეთ, კარგი?

ზახარი — (მისდევს). ან კიდევ ერთი მუშა... გრეკოვი... საშინელი დიდგულა! ახლა მე და ნიკოლაი ვასილევჩი ვისვენებდით მის სიტყვას... ლაწირაკია... მაგრამ როგორ ლაპარაკობს... როგორ უტიფრად... (წავიდნენ. სიწყნარე. საღად მღერიან. შემდეგ გაისმის წყნარი ხმები. გამოჩნდებიან იაგოდინი, ლევინი და რიბცოვი, — ახალგაზრდა ყმაწვილი. ის ხშირად თავს ზევითკენ აიჭნევს ხოლმე. კეთილი, პირმრგვალი სახე აქვს. სამივენი გაჩერდებიან ხეებთან).

ლევინი — (ჩუმად, საიდუმლოდ). ეს, პაშოკ, საამხანაგო საქმეა.

რიბცოვი — ვიცი...

ლევინი — საერთო, ადამიანური საქმეა... ახლა, ძმაო, ყოველ კარგ ადამიანს დიდი ფასი აქვს. ხალხი იღვიძებს, ისმენს, კითხულობს, ფიქრობს, გონება ეხსნება... ის ადამიანი, ვინც უკვე რაღაცას შეიგნებს, ძვირფასია...

იაგოდინი — ეს სწორია, პაშოკ...

რიბცოვი — ვიცი... პოდა, რა? წავალ.

ლევინი — ტყუილუბრალოდ ნურსად წახვალ, — უნდა შეინგნო... შენ ახალგაზრდა ხარ, ეს კი საკატორლო საქმეა...

რიბცოვი — რა უშავს. გავიქევი...

იაგოდინი — შეიძლება საკატორლო არ იყოს! კატორლისათვის, პაშოკ, პატარა ხარ...

ლევინი — ვსთქვამთ, — საკატორლოა! ამ საქმეში, რაც უფრო საშინელს იფიქრებ, ისა სჯობია. თუკი კაცს კატორლისაც არ ეშინია, ჩანს, მტკიცედ გადაუწყვეტია.

რიბცოვი — მე გადაწყვეტიე.

იაგოდინი — დაიცადე; იფიქრე...

რიბცოვი — რაღაა აქ საფიქრებელი? მოკლეს. ვინმეს ხომ უნდა გადახდეს?

ლევინი — სწორია უნდა გადახდეს... და თუ ერთი არ წავა, ბევრს შეაწუხებენ, საუკეთესოებს, რომლებიც საერთო საქმისათვის, პაშოკ, შენზე საჭირონი არიან.

რიბცოვი — მე ხომ არაფერს ვამბობ... თუმცა ახალგაზრდა კარ, მაგრამ მესმის... ჯაჭვივით უნდა ვიყოთ... მაგრა ჩავყიდოთ ხელი ერთმანეთს!

ლევინი — (ამოიხრებს). სწორია!

იაგოდინი — (ღიძილით). შევერთდებით. გარს შემოვერტყ-  
მით, შევეუტევთ და გავიმარჯვებთ.

რიაბცოვი — კარგი. ასეც უნდა იყოს. მე მარტოხელა კაცი  
ვარ, მე უფრო მეკუთენის. მაგრამ მეზიზღება, რომ ასეთი სისხლ-  
სათვის...

ლევზინი — ამხანაგებისათვის და არა სისხლისათვის.

რიაბცოვი — არა, მე იმას ვამბობ, რომ საქულველი ადამიანი  
იყო და ძალიან ბოროტი.

ლევზინი — სწორედ ბოროტია მოსაკლავი. კეთილი თავისი-  
თაც მოკვდება, — ის ხელს ვის უშლის?

რიაბცოვი — აბა, მოვრჩით?

იაგოდინი — მოვრჩით, პაშოკ! მაშ, ხვალ დილით განაცხა-  
დებ, კარგი?

რიაბცოვი — რადა ხვალ? გეუბნები — მივდივარ-მეთქი.

ლევზინი — არა, სჯობია ხვალ სთქვა! ღამე დედასავით კარგი  
ჭკუის დამრიგებელია...

რიაბცოვი — აბა, კარგი... ახლა კი წავალ.

ლევზინი — ღვთის მადლით!

იაგოდინი — წადი, ძმაო.

(რიაბცოვი აუჩქარებლად გადის. იაგოდინი ხელში ჯოხს ატრიალებს და ათ-  
ვალღირებს. ლევზინი ცას უტყვრის).

ლევზინი — (ჩუხად). კარგი ხალხი იზრდება, ტიმოფეი!

იაგოდინი — როგორი ამინდიცაა — ისეთი მოსავალია...

ლევზინი — ასე თუ წავიდა საქმე, წელში გავსწორდებით.

იაგოდინი — (ნაღვლიანად). მებრალეება ეს ბიჭი...

ლევზინი — (ჩუხად). როგორ არ მებრალეება! მეც მებრალეება.  
აბა წადი ციხეში, და ისიც ასეთ ცუდ საქმეზე. ერთადერთი ნუგეშ-  
ისაა, რომ ამხანაგებისთვის გასწირა თავი...

იაგოდინი — ჰოი!..

ლევზინი — შენ... გაჩუმდი... კმარა... ეხ, რა ტყუილუბრა-  
ლოდ გაისროლა ანდრეიმ! რას გახდები მკვლელობით? ვერაფერსაც  
ვერ გახდები. ერთ ძალს მოკლავ — ბატონი მეორეს იყიდის... ეს  
არის და ესა!..

იაგოდინი — (ნაღვლიანად). რამდენი იღუბება ჩვენი ძმა და მე-  
გობარი.

ლევზინი — წამო, გუშავო, ბატონის დოვლათს ვუდარაჯოთ!  
(შიდიან). ოჰ, ღმერთო ჩემო!..

იაგოდინი — რა იყო?

ლევზინი — ნეტავ კი მალე დალაგდეს ცხოვრება!

ფარდა

## მოქმედება მესამე

დიდი ოთახი ბარდინების სახლში. უკანა კედელში — ოთხი ფანჯარა და ღია  
აივანზე გასასვლელი კარი. სარკმელში მოსჩანან ჯარისკაცები, ეანდარშები, მუ-  
შების ჯგუფი, მათ შორის — ლევზინი, გრეკოვი. ოთახს არა აქვს საცხოვ-  
რებელი ბინის სახე: ავეჯი ცოტაა, ძველი, სხვადასხვაგვარი, კედელზე შპალერი  
ილაგ-ალაგ მოცილებულია. მარჯვენა კედელთან დიდი მაგიდა დაუდგამთ. კონი  
გაჯაერებული წმენდს და აწყობს სკამებს მაგიდის ირგვლივ. აგრ აფენა იატაკს  
ჭეცის. მარცხენა კედელში დიდი ორფა კარია დატანებული, მარჯვნივაც — ასევეა.

აგრ აფენა — მე რას მიწყობები?..

კონი — მე არ გიწყობები... ყველა ფეხებზე მკიდია... მადლობა  
ღმერთს, მალე მოგვკვდები... გული უკვე მიჩერდება.

აგრ აფენა — ეგ რა სატრაბახოა... ყველანი მოგვკვდებით...

კონი — მეყოფა... შემძაგდა ყველაფერი! სამოცდახუთი წლისა  
ვარ და ყოველგვარ სისაძაგლეს თავზე ბრესავით მაყრიან... სადაა  
იმის კბილები... დასტაცეს ხალხს ხელი... წვიმაში ალპობენ...

(მარცხენა კარიდან გამოდის როტმისტრი ბობოელოვი და ნიკოლი).

ბობოელოვი — (შხიარულად). აი, ესეც სხდომის დარბაზი. საუ-  
ცხოოა. მაშასადამე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას  
შეუდგებით?

ნიკოლაი — დიან, დიან! კონ, დაუძახე ვახმისტრს!

ბობოელოვი — და ამ კერძს ასე მივართმევთ: ცენტრში ის  
იქნება... რა ჰქვია?

ნიკოლაი — სინცოვი!

ბობოელოვი — სინცოვი... გულისამაჩუყებელი სურათია! მის  
ირგვლივ კი — პროლეტარები ყველა ქვეყნისა?... ასე! ეს გულს ახა-  
რებს... რა კარგი კაცი ყოფილა აქაური მეპატრონე... ძალიან მომე-  
წონა! ჩვენები მის შესახებ ცუდი აზრის იყვნენ... მის ცოლისდას  
ციცნობ — ვორონეჟში თამაშობდა... უნდა მოგახსენოთ ჩინებული  
მსახიობია. (კვაჩი შემოდის აივნიდან). როგორაა საქმეები. კვაჩ?

კვაჩი — ყველა გაჩხრიკეს, თქვენო კეთილშობილებავ!



ბობოედოვი — კარგი, მერე?

კვაჩი — არაფერი არ აღმოაჩნდათ. ვადაძალეს! მოგახსენებთ, ბოქაული ძალიან ჩქარობს, თქვენო კეთილშობილებავ, და სათანადო ყურადღებას ვერ იჩენს.

ბობოედოვი — რასაკვირველია, პოლიცია ყოველთვის ასეთია. დაპატიმრებულებს უპოვეთ რამე?

კვაჩი — ლევინებთან ხატს უკან ვიპოვეთ!

ბობოედოვი — მოიტანე ყველაფერი ჩემს ოთახში!

კვაჩი — მესმის! თქვენო კეთილშობილებავ, ახალგაზრდა ქანდარმიც, დრაგუნებიდან რომაა, ამას წინათ რომ მიიღეს...

ბობოედოვი — მერე რა?

კვაჩი — არც ის იჩენს სათანადო ყურადღებას.

ბობოედოვი — მაგათ შენ თვითონ გაართვი თავი, წადი (კვაჩი ვაჟ). იცით, რა ჩიტია ეს კვაჩი? შესახედავად თითქოს არაფერია, ზოგს სულელიც კი ეგონება, ძაღლის ყნოსვა კი აქვს!

ნიკოლაი — თქვენ, ბოგდან დენისოვიჩ, მიაქციეთ ყურადღება იმ კანტორის მოხელეს...

ბობოედოვი — როგორ არა! როგორ არა! ჩვენ იმას მუხრუქს მოვუჭერთ!

ნიკოლაი — მე პოლოგიზე მოგახსენებთ, და არა სინცოვიც მე მგონი, ის საერთოდ გამოგადგებათ.

ბობოედოვი — აი ის, ჩვენი თანამოსაუბრე? იმას, რა თქმა უნდა, მოვაწყობთ... (ნიკოლაი მივა მავიდასთან და მწყობრად ალაგებს ქაღალდებს).

კლეოპატრა — (გამოჩნდება მარჯვენა კარებში). როტმისტრო, გნებავთ კიდევ ჩაი?

ბობოედოვი — გმადლობთ, სიამოვნებით გეახლებით! რა ლამაზი ბუნებაა აქ?... საუცხოო მდებარეობა!.. მე ხომ ვიცნობ ქალბატონ ლუგოვიას! როგორ არა, — ის ვორონეჟში არ თამაშობდა?

კლეოპატრა — დიან, მგონი თამაშობდა... — როგორა თქვენი ჩხრეკის საქმე, აღმოაჩინეთ რამე?

ბობოედოვი — (თავზიანად). ყველაფერი, ყველაფერი აღმოვაჩინეთ! აღმოვაჩინეთ, ნუ სწუხართ! იქაც კი, სადაც არაფერია, ჩვენთვის მუდამ რაღაც აღმოჩნდება...

კლეოპატრა — განსვენებული ყოველთვის გულდამწვდობით უყურებდა ყველა ამ პროკლამაციებს. ამბობდა, ქაღალდით რევიოლუცია ვის უკეთებიანო...

ბობოედოვი — ჰმ... ეს არ არის მთლად სწორი!

კლეოპატრა — და პროკლამაციებს ასე უწოდებდა: აშკარა

იდიოტების საიდუმლო კანცელარიიდან გამოსული და ბრიყვებისადმი მიმართული მიწერილობანი.

ბობოედოვი — მოსწრებულადაა ნათქვამი... თუმცა, არც ესაა მთლად სწორი.

კლეოპატრა — მაგრამ აი, ისინი ქალღლებიდან საქმეზე გადავიდნენ...

ბობოედოვი — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ უსასტიკეს სასჯელს მიიღებენ, უსასტიკესს!

კლეოპატრა — ეს მე ძლიერ მანუგეშებს. თქვენი მოსვლისთანავე რაღაც შვება მომეცა... თავისუფლად ამოვისუნთქე!

ბობოედოვი — ჩვენი მოვალეობაა საზოგადოებაში სიმხნევე შევიტანოთ...

კლეოპატრა — და რა სასიამოვნო სანახავია კმაყოფილი, ჯან-ლონით საესე ვაჟკაცი... ეს ჩვენ დროში ისე იშვიათია!

ბობოედოვი — ო, ჩვენთან, ქანდარმთა კორპუსში სულ რჩეული ვაჟკაცებია.

კლეოპატრა — მაშ, მობრძანდით, სუფრა გაშლილია!

ბობოედოვი — (მიღის). სიამოვნებით! ერთი მიბრძანეთ, სად ითამაშებს ამ სეზონში ქალბატონი ლუგოვია?

კლეოპატრა — არ ვიცი!

(აივნიდან შემოდიან ტატიანა და ნადია).

ნადია — (აღელვებული). შეამჩნიე, როგორ შემოგვხედა მოხუცმა ლევინმა?!

ტატიანა — შვეამჩნიე!..

ნადია — რა ხდება ეს, რა საშინელებაა... რა სამარცხენოა! ნიკოლაი ვასილევინ, რა საჭიროა ყოველივე ეს? რისთვის დაპატიმრებს ისინი?

ნიკოლაი — (გულცივად). დაპატიმრების მიზეზები საკმაოდ ბევრია... და გთხოვთ, ნუღარ ივლით იმ აივნით, ვიდრე ისინი იქ არიან...

ნადია — აღარ ვივლით... აღარ ვივლით!..

ტატიანა — (უყურებს ნიკოლას). სინცოვიც დაპატიმრებულია?

ნიკოლაი — ბატონი სინცოვიც დაპატიმრებულია.

ნადია — (დადის ოთახში). — ჩვიდმეტი კაცი! ჭიშკართან მათი ცოლები დგანან და ტირიან... ჯარისკაცები კი მათ მუჯლუგონებით და სიცილ-ხარხარით უმასპინძლებიან! უთხარით ჯარისკაცებს, წესიერად მანც დამჭირონ თავი.

ნიკოლაი — ეს მე არ მეხება. ჯარისკაცებს მეთაურობს პროჩიკი სტრეპეტოვი.

ნადია — წავალ და მას ვთხოვ. (გაღის მარჯვენა კართ. ტატიანა ღიმილით უახლოვდება მაგიდას.)

ტატიანა — გამიგონეთ, კანონების სავანევე, როგორც გიწოდებთ გენერალი!..

ნიკოლაი — მე არ მიმჩნია გენერალი გონებამახვილ კაცად. მე არ გავიმეორებდი მის მოსწრებულ სიტყვებს.

ტატიანა — მე შევცდი, ის მგონი თქვენ კანონების გუდას გეძახით. მიჯავრდებით?

ნიკოლაი — არა, საერთოდ ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

ტატიანა — ვითომ, ასეთი სერიოზული ბრძანდებით?..

ნიკოლაი — გაგახსენებთ, რომ გუშინ ძმა მომიკლეს.

ტატიანა — მერედა, თქვენ რა?

ნიკოლაი — მოითმინეთ!.. როგორ?

ტატიანა — (ჩაიცინებს). დავანებოთ თავი თვალთმაქცობას! თქვენ ძმა არ გებრალეხათ... თქვენ არავინ არ გებრალეხათ... როგორც მე, მაგალითად... სიკვდილი, ესე იგი, სიკვდილის მოულოდნელობა ყველაზე ცუდად მოქმედებს... მაგრამ გარწმუნებთ, თქვენ ერთი წუთითაც არ გებრალეხათ ძმა — ნამდვილი, ადამიანური სიბრალულით... ასეთი რამ თქვენ არ გაგაჩნიათ!..

ნიკოლაი — (ძალდატანებით). ეს საინტერესოა. მაგრამ რა გნებავეთ ჩემგან?

ტატიანა — განა ვერ ამჩნევთ, რომ მე და თქვენ მონათესავე სული გვაქვს? არა? სამწუხაროა! მე მსახიობი ვარ, გულცივი ადამიანი, მუდამ ერთი სურვილი მაქვს — ვითამაშო კარგი როლი, თქვენც გინდათ კარგი როლი ითამაშოთ და თქვენც უსულგულო არსება ხართ. მითხარით, ძალიან გინდათ პროკურორობა, არა?

ნიკოლაი — (ხმადაბლა). მე მინდა, რომ გაათავოთ ეს...

ტატიანა — (გაჩუმდება, ჩაიცინებს). არა, მე არა მაქვს დიპლომატიური ნიჭი. მე მოვედი თქვენთან იმ მიზნით, რომ... მინდოდა ვყოფილიყავი თავაზიანი, მომხიბვლელი... მაგრამ, დაგინახეთ თუ არა, კადნიერად დავიწყე ლაპარაკი... თქვენ ყოველთვის იწვევთ ჩემში სურვილს საწყენი რამ ვითხრათ... სულ ერთია, დადინხართ თუ ზიხართ, ლაპარაკობთ თუ უსიტყვოდ კიცხავთ ადამიანებს... ჰო, მე მინდოდა მეთხოვა თქვენთვის...

ნიკოლაი — ვხედები, რაც უნდა გეთხოვათ.

ტატიანა — შესაძლოა, მაგრამ ახლა ეს უკვე ზედმეტია, არა?

ნიკოლაი — სულ ერთია — ახლაც და უწინაც. ბატონი სინკოვი ძალიან სახელგატეხილი კაცია.

ტატიანა — თქვენ მცირე სიამოვნებას გრძნობთ, როდესაც ამას მეუბნებით, არა?

ნიკოლაი — დიახ, არ დავფარავ...

ტატიანა — (ამოიხრებს). აი, ხედავთ როგორ ვგეგმავთ ერთმანეთს? მეც ძალიან წვრილმანი და ბოროტი ვარ... მითხარით—სინკოვი მთლიანად თქვენს ხელშია?.. სწორედ თქვენს ხელში?

ნიკოლაი — რასაკვირველია!

ტატიანა — და მე რომ გთხოვოთ თავი დაანებოთ?

ნიკოლაი — ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

ტატიანა — ძალიან რომ გთხოვოთ?

ნიკოლაი — სულ ერთია... თქვენ მაკვირვებთ!

ტატიანა — მართლა? რატომ?

ნიკოლაი — ლამაზი ქალი ხართ. უდავოდ, ორიგინალური აზროვნებით, მტკიცე ხასიათით... ათასნაირი შესაძლებლობა გაქვთ მოაწყოთ თქვენი ცხოვრება ლამაზად, მდიდრულად... და ყურადღებას აქცევთ ვიღაც არარაობას! ექსცენტრულობა — ავადმყოფობაა! და ყოველ ინტელიგენტ კაცს თქვენ აღაშფოთებთ... ვინც აფასებს ქალს, ვისაც უყვარს სილამაზე, ის ამგვარ საქციელს არ გააბატონებ!

ტატიანა — (უცქერის ცნობისმოყვარეობით). მაშასადამე, განაჩენი გამომიტანეთ... ვაი რომ ასეა! სინკოვიც — ხომ?

ნიკოლაი — ამ საღამოთი ის ვაუბატონი ციხეში გაემგზავრება.

ტატიანა — გადაწყვეტილია?

ნიკოლაი — დიახ.

ტატიანა — არავითარი დათმობა მანდილოსნისადმი თავაზიანობის გამო? არა მჯერა! ძალიან რომ მოვინდომო, თქვენ გაუშვებთ სინკოვს!

ნიკოლაი — (ყრულ). სცადეთ. მოინდომეთ... სცადეთ.

ტატიანა — არ შემიძლია. არ ვარ ჩვეული... მაგრამ, მაინც, სიმართლე მითხარით, — ერთხელ სიმართლის თქმა არაა ძნელი, — გაუშვებდით?

ნიკოლაი — (აუჩქარებლად). არ ვიცი!

ტატიანა — მე კი ვიცი!.. (გაჩუმდება, ამოიხრებს). რა საძაგლები ვართ ჩვენ ორივენი...

ნიკოლაი — უკაცრავად, ბევრი ისეთი რამ არის, რომელიც ქალსაც არ ეპატიება!

ტატიანა — (უზრუნველად). ოჰ, და რა ვთქვი ასეთი? ჩვენ მართლმართლ ვართ, არავინ გვისმენს. მე ხომ მაქვს უფლება ვუთხრა ჩემს თავს და თქვენც ვითხრათ, რომ ჩვენ ორივენი...

ნიკოლაი — გთხოვთ... გაჩუმდით... მე აღარ გისმენთ...

ტატია — (დაეინებო, მშვიდად). და მაინც, მაგ თქვენს პრინციპებს ქალის კოცნაზე დაბლა აყენებთ!

ნიკოლაი — მე უკვე გითხარით, აღარ მოგისმენთ-მეთქი.

ტატია — (მშვიდად). მაშ მიბრძანდით, განა მე გაკავებთ? (ნიკოლაი სწრაფად გადის. ტატია იხვევს თავშალს, ღვას შუა ოთახში და აივანს გასტყერის. მარჯვენა კარიდან შემოდინა ნადია და პორუჩიკი).

პორუჩიკი — ჯარისკაცი არასოდეს არ შეუტაცყოფს ქალს, პატიოსნებას გეფიცებით! ქალი მისთვის წმიდათა წმიდაა...

ნადია — აი, თქვენ ნახავთ...

პორუჩიკი — ეს შეუძლებელია! მხოლოდ არმიამილაა შემორჩენილი რაინდული მოპყრობა ქალისადმი.

(გადიან მარცხენა კართ. შემოდინა პოლინა, ზახარი და იაკობი).

ზახარი — იცი რა, იაკობ!..

პოლინა — აბა იფიქრეთ, განა სხვანაირად შეიძლება?

ზახარი — აქ რეალობაა, აუცილებლობა...

ტატია — რა იყო?

იაკობი — აი, წესს მიგებენ...

პოლინა — განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენთ... ყველა თავს გვესმის, იაკობ ივანოვიჩი კი, ყოველთვის ასეთი ლმობიერი... განა ჩვენ გამოვიძახებთ ჯარისკაცები? უანდარმები ხომ არავის მოუწვევია. ისინი, როგორც ყოველთვის, თვითონ გამოცხადდნენ.

ზახარი — ამ ხალხის დაპატიმრებაში მე ბრალი არ მიმიძღვის.

იაკობი — მე არც ვაბრალებ.

ზახარი — პირში არ მეუბნები, მაგრამ ვგრძნობ...

იაკობი — (ტატიას). ვზივარ ჩემთვის. ის მოდის და მეუბნება: „შენ რა, ძმაო?“, მე კი ვუთხარი: „საზიზღრობაა, ძმაო!“... ეს იყო და ეს.

ზახარი — ხომ უნდა გაიგოთ, რომ სოციალიზმის პროპაგანდა იმ ფორმით, როგორც ეს ჩვენში ხდება, ყოვლად შეუძლებელი და ყოვლად დაუშვებელია!..

პოლინა — პოლიტიკა გვაინტერესებს, ეს ყველასათვის საჭიროა, მაგრამ რა შუაშია აქ სოციალიზმი? აი, რას ამბობს ზახარი. და ის მართალია.

იაკობი — (დაღვრებით). აბა სადაური სოციალისტია მოხუცი ლევშინი? ის ზედმეტი შრომით დაიღალა, დაიქანცა და... ბოდაეს...

ზახარი — ისინი ყველანი ბოდავენ!

პოლინა — უნდა დაზოგოთ ხალხი, ბატონებო! ჩვენ ისე დავიტანჯეთ!

ზახარი — შენ გგონია გული არ მტკივა, ჩემს სახლში რომ

ასეთი სამსჯავრო იმართება? მაგრამ ყოველივე ეს ნიკოლაი ვასილევჩის ოინებია და მასთან დავა ასეთი დრამის შემდეგ... შეუძლებლად მიმაჩნია!..

კლეოპატრა — (აჩქარებით მოდის). გაიგეთ? მკვლეელი აღმოჩნდა. ახლავე აქ მოიყვანენ.

იაკობი — (ბუზღუნებს). ესლა გვაკლდა...

ტატია — ვინ ყოფილა?

კლეოპატრა — ვილაც ტინგიცა ბიჭი... მიხარია... შეიძლება, ჭუმანურობის თვალსაზრისით ეს კარგი არ იყოს, მაგრამ მიხარია! თუ ის ლაწირაკი — ბიჭია, ვუბრძანებ ყოველდღე ვაამათრახონ, სასამართლოს დანიშვნამდე... ნიკოლაი ვასილევჩი სად არის? (მოდის მარცხენა კარისაკენ, შეეფუთება გენერალს).

გენერალი — (დაღვრებით). აჰა! ყველანი ცხვირჩამოშვებულები დგანან!

ზახარი — აბა, რა სასიამოვნო ამბავია, ძია...

გენერალი — უანდარმები? ჰო!.. ის როტმისტრი საკმაოდ თავზედია! მინდა ერთი ოინი მოგუწყო... ლამეს აქ ხომ არ გაათევენ?

პოლინა — არა მგონია, რა საჭიროა?

გენერალი — აფსუს! თორემ... ერთი კასრი ცივი წყალი და მისი ჯანი, როცა დასაძინებლად წავა. ასე ექცეოდნენ ჩემს კორპუსში მშისარა კადეტებს... ძალიან სასაცილოა, როცა შიშველი და სველი კაცი ხტუნავს და ღრიალებს...

კლეოპატრა — (კარებში ღვას). ღმერთმა იცის, რაებს ამბობთ, გენერალო! როგორ გეკადრებათ? როტმისტრი ძალიან ზრდილი კაცია და გასაოცრად ენერგიული... მოვიდა და ყველა დააპატიმრა! ამას უნდა ვაფასებდეთ. (მოდის).

გენერალი — ჰმ!.. ამ ქალისათვის ყველა დიდულგაშიანი მამაკაცი წესიერია. ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, აი, რა... სწორედ ეს არის პატიოსნება! (მოდის მარცხენა კარისაკენ). ეი, კონ!

პოლინა — (დაბალი ხმით). ამ ქალს ისე უჭირავს თავი, თითქოს ის იყოს დიასახლისი. ერთი უყურეთ, როგორ იქცევა!.. გაუზრდელი, ტლანქი.

ზახარი — ნეტავ კი მალე მოედებოდეს ბოლო ამ ამბავს! ისე მომენტრა მყუდროება, სიწყნარე... ნორმალური ცხოვრება!

ნადია — (შემობრბის). დეიდა ტანია, ის პორუჩიკი მთლად სულელი ყოფილა!.. აღბათ სცემს კიდევ ჯარისკაცებს... ყვირის, სახეს რაღაც საშინლად მანჭავს... ძია, საჭიროა პატიმრებთან ცოლები მიუშვან... იქ ხუთი კაცია ცოლიანი! მიდი, უთხარი იმ უანდარმს... ის ყოფილა აქ უფროსი.

ზახარი — ხომ ხედავ, ნადია...

ნადია — ვხედავ, რომ არ მიდიხარ!.. წადი, წადი და უთხარი... ქალები ტირიან... წადი, რაღას უცდი!

ზახარი — (გაღის). მე მგონია, ვერას გაეხდები...

პოლინა — შენ ყოველთვის ყველას აწუხებ, ნადია!

ნადია — ეს თქვენ აწუხებთ ყველას...

პოლინა — ჩვენ? შენ დაუფიქრდი...

ნადია — (აღზნებული). ჩვენ ყველანი — მეც, შენც, ძიაც... ეს ჩვენ ვაწუხებთ ყველას! არაფრის მაქნისი ვართ და ყველაფერი ჩვენ გამო კი ხდება... ჯარისკაცებიც, ქანდარმებიც და ყველაფერიც ეს დააბრმავებან... დედაცა და ტირიან... ყველაფერი ჩვენს გამოა!

ტატიანა — მოდი აქ, ნადია!..

ნადია — (შივა). აბა, მოვედი... მერე რა?

ტატიანა — დაჯექი და დაწყნარდი... შენ არაფერი არ გესმის, არაფრის გაკეთება არ შეგიძლია!..

ნადია — შენ კი არაფრის თქმაც არ შეგიძლია!.. არც კი მინდა დაწყნარდე, არ მინდა!

პოლინა — განსვენებული დედაშენი ამბობდა, რომ შენ აუტანელი ხასიათი გაქვს... ის მართალი იყო!

ნადია — დიახ, ის მართალი იყო!.. ის მუშაობდა და ლუკმა პურს ისე სჭამდა, თქვენ კი... რას აკეთებთ? ვის პურს სჭამთ?

პოლინა — აი, იწყება! ნადეჟდა, შეწყვიტე ამ კილოთი ლაპარაკი... როგორ ბედავ და უფროსებს უყვირი?

ნადია — თქვენ ხომ უფროსები არა ხართ! აბა, სადაური უფროსები ხართ? ბებრები ხართ, და არა უფროსები.

პოლინა — ტანია, ეს კი სულ შენი შთაგონებული აზრებია და სწორედ შენ უნდა უთხრა, რომ ეგ სულელი გოგოა!..

ტატიანა — გესმის? სულელი ხარ!.. (მხარზე ხელს უსვამს).

ნადია — აი, სხვა არაფრის თქმაც კი არ შეგიძლიათ! არაფრის თავის დაცვის უნარიც კი არა გაქვთ... საკვირველი ხალხი ხართ! თქვენ მართლაც ზედმეტნი ხართ, აქაც კი, თქვენსავე სახლში — ზედმეტნი!

პოლინა — (სასტიკად). გესმის, რასაც ამბობ?...

ნადია — თქვენთან მოვიდნენ ქანდარმები, ჯარისკაცები, კიდეც ულვაშებიანი რეგენები... ისინი ჩაის სვამენ, დადიან ხმლებს რაჩხუნით, დეზების წკარუნით, სიცილ-ხარხარით... დაკლეს ხალხს ხელი, აბატიმრებენ, ყვირიან, იმუქრებიან, ქალები ტი...

რიან... თქვენ კი! თქვენ აქ რა შუაში ხართ? თქვენ სადღაც კუთხეში მიგაგდეს!..

პოლინა — რაებს მიჰქარავ? გესმის, რა სისულელეს ჩმახავ? ეს ხალხი ჩვენს დასაცავად მოვიდა.

ნადია — (ნაღვლიანად). ო, დეიდა! ჯარისკაცები ვერ დაგიცავენ უგნურებისაგან, ვერა!

პოლინა — (აღშფოთებული). რაო?...

ნადია — (ხელებს გაუწოდებს). ნუ გამიჯავრდები! მე ამას მართლაც შენზე კი არა, ყველაზე ვამბობ! (პოლინა სწრაფად გაღის). აი... გაიქცა! შესჩივლებს ძიას, რომ მე ჯიუტი ვარ, ჭირვეული... ძია წარმოსთქვამს გრძელ სიტყვას... და ბუზები დაიხოცებიან მოწყენილობისაგან.

ტატიანა — (ჩაფიქრებული). როგორ გინდა იცხოვრო? არ მესმის!

ნადია — (ხელებს გაშლის). ასე არა! ასე, — არავითარ შემთხვევაში! არ ვიცი, რას გავაკეთებ... მაგრამ თქვენს მსგავსად, — არაფერს. ახლახან იმ ოფიცერთან ერთად რომ მივიდიოდი, აივანს ჩაეუარე... — გრეკოვი მიუტრებს, აბოლებს... და თვალები კი უცინის, მაგრამ მან ხომ იცის... რომ ციხე მოელის? ხედავ! მათ, რომლებიც ისე ცხოვრობენ, როგორც უნდათ, არაფრისაც არ ეშინიათ... უხარიათ კიდევ... თვალი ვერ გამისწორებია ლევშინისათვის, გრეკოვისათვის... სხვებს არ ვიცნობ, მაგრამ ამათ!.. ამათ არასოდეს დავივიწყებ... აი, მოდის ულვაშებიანი რეგენი... უ-უ!

ბობოეღოვი — (შემოდის). როგორ შემეშინდა! ეს ვის აშინებთ?

ნადია — თქვენი მეშინია... თქვენ გაუშვებთ ქალებს ქმრებთან, ხომ?

ბობოეღოვი — არა, არ გავუშვებ. მე ავი კაცი ვარ!

ნადია — ცხადია, რაკი ქანდარმი ბრძანდებით. რად არ გინდათ გაუშვათ ქალები?

ბობოეღოვი — (თვაზიანად). ახლა — შეუძლებელია! აი მერე, როცა მათი წაყვანის დრო მოვა, — გამოთხოვების ნებას მიცემ.

ნადია — რადაა შეუძლებელი? ეს ხომ თქვენზეა დამოკიდებული?

ბობოეღოვი — ჩემზე... ესე იგი — კანონზე.

ნადია — აბა, რის კანონი? კანონი კი არა და... გთხოვთ გაუშვათ!

ბობოეღოვი — როგორ თუ რის კანონი? თქვენ უარყოფთ კანონებს? აი-აი-აი!

ნადია — ნუ მელაპარაკებით ეგრე... მე ბავშვი არა ვარ...  
ბობოეღოვი — არა მჯერა! კანონებს უარყოფენ მხოლოდ  
ბავშვები და რევოლუციონერები.

ნადია — ჰოდა მეც რევოლუციონერი ვარ!  
ბობოეღოვი — (სიცილით). თ! მამ ციხეში უნდა ჩაგვათ...  
დაგაბატონებთ და ციხეში ამოგაყოფინებთ თავს...

ნადია — (სევდიანად). ო, ნუ ხუმრობთ, გაუშვით ისინი!  
ბობოეღოვი — არ შემიძლია. კანონი!  
ნადია — სულელური კანონია!

ბობოეღოვი — (სერიოზულად). ჰჰ! ამას კი ტყუილად ბრძა-  
ნებთ! თუ, როგორც ამბობთ, ბავშვი არა ხართ, უნდა იცოდეთ,  
რომ კანონი ხელისუფლების მიერ არის დაწესებული და მის გარეშე  
სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია.

ნადია — (ფიცხალ). კანონი, ხელისუფლება, სახელმწიფო... ო,  
ღმერთო ჩემო! ეს ყველაფერი ხომ ხალხისთვისაა?

ბობოეღოვი — ჰჰ... შე ვფიქრობ! ესე იგი, უპირველეს ყოვ-  
ლისა, წესრიგისათვის.

ნადია — მერე, რის მაქნისია ყოველივე ეს, თუ ხალხი ცრემლს  
ღვრის. თქვენი ხელისუფლებაც, სახელმწიფოც, — ეს ყველაფერი  
არაა საჭირო, თუკი ხალხი უბედურია! სახელმწიფო... რა სისულე-  
ლეა! რაში მჭირდება? (მიდის კარებისაკენ). სახელმწიფო! არაფერი გა-  
ეგებათ და ლაპარაკობენ. (გაღის. ბობოეღოვი ოდნავ დაიბნა).

ბობოეღოვი — (ტატიანას). ორიგინალური ქალიშვილია! მაგ-  
რამ სახიფათოდ აზროვნებს... მისი ბიძა, მგონი, ლიბერალურ შეხე-  
დულებათა კაცია, არა?

ტატიანა — ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ, მე არ ვიცი — რას  
ნიშნავს ლიბერალური კაცი.

ბობოეღოვი — აბა, როგორ გეკადრებათ?... ეს ყველამ  
იცის!.. ხელისუფლებისადმი სათანადო პატივისცემის უქონლობა —  
აი, ეს არის ლიბერალიზმი!.. მე ხომ მინახვინებართ ვორონეჟში, ქალ-  
ბატონო ლუგოვია. დავმტკბარვარ თქვენი დახვეწილი, განსაცვიფ-  
რებლად ფაქიზი თამაშით. შეიძლება, შემამჩნიეთ კიდეც, მე ყოველ-  
თვის ვიცე-გუბერნატორის სავარძლის გვერდით მეჭირა ადგილი! მა-  
შინ აღიუტანტი გახლდით... სამმართველოში ვმუშაობდი...

ტატიანა — არ მახსოვს... შესაძლოა. ჟანდარმები ყოველ ქა-  
ლაქში არიან, არა?

ბობოეღოვი — რა თქმა უნდა! უსათუოდ, ყოველ ქალაქში  
და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, ადმინისტრაცია... სწორედ ჩვენა  
ვართ ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებლები! მგონი ვაჭრებიც.

მაგალითად აიღეთ ფულის შეკრება საყვარელი არტისტის საბენე-  
ფისო საჩუქრისათვის... ხელის მოსაწერ ფურცელზე თქვენ უეჭვე-  
ლად დაინახავთ ჟანდარმთა ოფიცრების გვარებს. ეს, ასე ვსთქვათ,  
ტრადიციაა! სად ითამაშებთ მომავალ სეზონში?

ტატიანა — ჯერ არ გადამიწყვეტია... მაგრამ, რასაკვირველია,  
ისეთ ქალაქში, სადაც აუცილებლად არიან ხელოვნების ჭეშმარიტი  
შემფასებლები! ეს ხომ აუცილებელია?

ბობოეღოვი — (ვერ მიხვდა). ო, რა თქმა უნდა! ისინი ყოველ  
ქალაქში არიან. ეს აუცილებელია!.. ხალხი, რაც უნდა იყოს, კულ-  
ტურული ხდება.

კვაჩი — (აივნიდან). თქვენო კეთილშობილებავ! ის მოჰყავთ...  
რომელმაც გაისროლა! საით მიბრძანებთ?

ბობოეღოვი — აქეთ... ყველანი აქ შემოიყვანე. დაუძახე  
პროკურორის ამხანაგს. (ტატიანას). ბოდიშს ვიბდი... საქმეს უნდა  
შევუღვე!

ტატიანა — დაჰკითხავთ?  
ბობოეღოვი — (თავაზიანად). ოდნავ, ზერელედ, ხალხის გა-  
საცნობად... ასე ვთქვათ, მოვაწყობ მცირე გამოძახებას...

ტატიანა — ნებას მომცემთ ყური დაუზღო?  
ბობოეღოვი — ჰჰ... საერთოდ, ეს ჩვენთან მიღებული  
არაა... პოლიტიკურ საქმეებში. მაგრამ ეს სისხლის სამართლის საქ-  
მეა, ჩვენ საკუთარ შენობაში არ ვიმყოფებით, და მე მსურს რამდენ-  
ნადმე მაინც გასიამოვნოთ...

ტატიანა — მე ვერავენ ვერ დამინახავს... აი, აქედან შევ-  
ხედავ.

ბობოეღოვი — ძალიან კარგი! დიდად მოხარული ვარ, ოდ-  
ნავ მაინც გადაგიხადოთ მადლობა იმ ნეტარებისათვის, რაც განვი-  
ცადე, როცა სცენაზე გხედავდით. მე მხოლოდ რამდენიმე ქა-  
ლალდს ავიღებ. (ის გაღის. აივნიდან ხანში შესულ ორ მუშას შემოჰყავს  
რიბცოვი. გვერდით მოსდევს კონი და რიბცოვს სახეში ჩასტყერის. მათ მოჰყ-  
ვებიან ლევინი და იაგოდინი, გრგოვი და კიდეც რამდენიმე მუშა, ჟანდარ-  
მები).

რიბცოვი — (წყრომით). ხელები რად შემეკარით? გამიხსე-  
ნით... აბა!

ლევინი — ძმებო, გაუხსენით ხელები!.. რად აწვალებთ  
კაცს?

იაგოდინი — ნუ გეშინიათ, არსად არ გაიქცევა!...  
ერთი მუშათა განი — წესრიგისათვის, ასეა საჭირო.  
კანონი მოითხოვს, რომ შეკრული იყოს...

რიაბცოვი — არ მინდა! გამიხსენით ხელები!  
მეორე მუშა — (კვანს). ბატონო ჟანდარმო! შეიძლება? წყნა-  
რი ბიჭია... გვიკვირს... ეს როგორ ჩაიდინა?  
კვაჩი — შეიძლება... გაუხსენი... არაფერია!  
კონი — (უეცრად). თქვენ ეგ ტყუილუბრალოდ დაგიჭერით...  
როცა იქ გაისროლეს, ეგ მდინარეზე იყო... მეც დავინახე, გენერალ-  
მაც დაინახა. (რიაბცოვს). რას გაჩუმებულხარ, ბრიყვო? სთქვი — არ  
მისროლია-თქო... რას ჩაგიწყვეტია ხმა?  
რიაბცოვი — (მტკიცედ). არა, ეს მე ვიყავი!  
ლევშინი — შე კაი კაცო, ამან შენზე უკეთ არ იცის, ვინც  
იყო?  
რიაბცოვი — მე ვიყავი!  
კონი — (ყვირის). ტყუილებს ჩმახე! მურტალო! (შემოდიან ბობო-  
ლოვი და ნიკოლაი სკრობოტოვი). იმ დროს შენ ნავით მიექანებოდი მდინა-  
რეზე და მღეროდი... ხომ ასეა?  
რიაბცოვი — (დამშვიდებით). ეგ მერე იყო.  
ბობოელოვი — რომელია მკვლელი? ესაა?  
კვაჩი — სწორედ ეს!  
კონი — არა, ეგ არ არის!  
ბობოელოვი — რა? კვაჩ, გაიყვანე მოხუცი! ვინაა ეს ბე-  
ბერი?  
კვაჩი — ის გენერალთან მსახურობს, თქვენო კეთილშობი-  
ლებავ!  
ნიკოლაი — (ჩააკვირდება რიაბცოვს). მოითმინეთ, ბოგდან დენი-  
სოვიჩი... მოიცადეთ, კვაჩ!  
კონი — ხელს ნუ მახლებ! მე თვითონ ჯარისკაცი ვარ.  
ბობოელოვი — გაჩერდი, კვაჩ!  
ნიკოლაი — (რიაბცოვს). ეს შენ მოკალი ჩემი ძმა?  
რიაბცოვი — მე!  
ნიკოლაი — რისთვის?  
რიაბცოვი — გვაწვალებდა!  
ნიკოლაი — რა გქვია?  
რიაბცოვი — პავლე რიაბცოვი!  
ნიკოლაი — ასე... კონ... თქვენ ამბობთ, ხომ?  
კონი — (დელავს). ამას არ მოუკლავს! იმ დროს ეგ მდინარეზე  
იყო!.. ფიცს დავდებ!.. მე და გენერალმა დავინახეთ... გენერალმა  
სთქვა კიდევ: კარგი იქნება, ნავი გადავუბრუნოთ და ერთი კარგად  
ვაჭყუშალოთ... დიხს! აი შე ლაწირაკო, შენა! ამას რას სჩადი-  
ხარ, ა?

ნიკოლაი — რად ამბობთ, კონ, ასეთი დარწმუნებით, რომ  
სწორედ მკვლელობის დროს ეს მდინარეზე იყო?  
კონი — იმ ადგილამდე, სადაც ეგ იყო, ქარხნიდან ერთ საათზე  
მეტი სავალია...  
რიაბცოვი — მე გამოვიქეცი...  
კონი — მიცურავს ნავით და მღერის თავისთვის. კაცი რომ  
მოკლული ჰყოლოდა, სიმღერას ვერ წამოიწყებდა!  
ნიკოლაი — (რიაბცოვს). იცი, რომ კანონი სასტიკად სჯის ბო-  
როტმოქმედის დაფარვის ცდისათვის და ცრუ ჩვენებისათვის... იცი  
ეს თუ არა?  
რიაბცოვი — ჩემთვის სულ ერთია!  
ნიკოლაი — კარგი. მაშასადამე, ეს შენ მოკალი დირექტორი?  
რიაბცოვი — მე.  
ბობოელოვი — რა მხეცია!  
კონი — სტყუის!  
ლევშინი — ეჭვკაცო, აქ შენ გარეშე პირი ხარ!  
ნიკოლაი — რაო?  
ლევშინი — მე ვამბობ, რომ ეს ვაჟკაცი გარეშე პირი არის-  
მეთქი და საქმეში კი ერევა!..  
ნიკოლაი — შენ კი არა ხარ გარეშე პირი? შენ წილი გიდევს  
მკვლელობაში, არა?  
ლევშინი — (იღინის). მე? მე, ბატონო, ჩემს სიცოცხლეში ერ-  
თხელ ჯოხით კურდღელი მოგვკალი და კინაღამ მის ჯავრს გა-  
დავყვი.  
ნიკოლაი — ჰოდა, გაჩუმდით. (რიაბცოვს). სადაა რევოლვერი,  
რომლითაც ესროლეთ?  
რიაბცოვი — არ ვიცი!  
ნიკოლაი — როგორი იყო? მიაბზე!  
რიაბცოვი — (დარცხენილი). როგორი... როგორიც არის ხოლ-  
მე? ჩვეულებრივი!  
კონი — (სიხარულით). აი, შე მამაძაღლო! რევოლვერი თვალი-  
თაც კი არ დავინახავს!  
ნიკოლაი — რამხელა იყო? (ხელით აჩვენებს ნახევარ არშინ ზომას).  
ამხელა? ხომ?  
რიაბცოვი — ჰო! ცოტა უფრო მომცრო!..  
ნიკოლაი — ბოგდან დენისოვიჩ! აქეთ მობრძანდით. (დაბალი  
ხმით ეუბნება). აქ რაღაც თაღლითობაა! ამ ლაწირაკს უფრო სასტიკად  
უნდა მოვექცეთ... დავაკავოთ გამოძიებლის ჩამოსვლამდე.  
ბობოელოვი — ხომ გამოტყდა... მეტი რაღა გვინდა?

ნიკოლაი — (ჩაფიქრებით). ეჭვი გვეპარება. ეს ლაწირაკი არ უნდა იყოს ნამდვილი მკვლელი, არამედ ცრუ ბოროტმოქმედი, გასაგებია? (კარებიდან, ტატიანას მახლობლად, ფრთხილად გამოდის მთვრალი იაკობი და ჩუმად იცქირება. დროგამოშვებით ის თავს უმწიფოდ ქინდრავს, თითქოს თველმსო, მყისვე თავს ასწევს და შემკრთალი მიმოიხედავს).

ბობოელოვი — (ვერ გაუგია). ა-ა-ჰა!.. დიხხ, დიხხ! წარმოვიდგენიათ!

ნიკოლაი — ეს შეთქმულებაა! კოლექტიური დანაშაული!..

ბობოელოვი — რა არამზადაა, ა?

ნიკოლაი — უთხარით ვახმისტრს, ჯერჯერობით გაიყვანოს. უსასტიკესი იზოლაცია! მე ერთი წუთით წავალ... კონ, წამომყევით! სად არის გენერალი?

კონი — ანკესისათვის ჭიებს აგროვებს... (გაღიან).

ბობოელოვი — კვაჩ, გაიყვანე! თვალი ადევნეთ, რომ არამც და არამც...

კვაჩი — მესმის! აბა, ბიჭო, წამოდი!

ლევზინი — (ალერსით). მშვიდობით, პაშოკ, მშვიდობით, ძვირფასო!

იაკოვლინი — (დაღვრებით). მშვიდობით, პავლუხა!

რიახტოვი — მშვიდობით... არაფერია!... (რიახტოვი გაჰყავთ).

ბობოელოვი — (ლევზინს). შენ, მოხუცო, მას იცნობ?

ლევზინი — როგორ არ ვიცნობ? ერთად ვმუშაობთ.

ბობოელოვი — შენი გვარი?

ლევზინი — ეფიმ ეფიმიჩ ლევზინი.

ბობოელოვი — (ტატიანას, ხმადაბლა). ახლა უყურეთ სეირს! მითხარი სიმართლე, ლევზინ! შენ მოხუცი, ჭკვიანი კაცი ხარ და უფროსებს ყოველთვის სიმართლეს უნდა ეუბნებოდე!..

ლევზინი — ტყუილი აქ რა საჭიროა?!..

ბობოელოვი — (გატაცებით). ჰო. აბა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი რა გაქვს იქ, სახლში ხატებს უკან დამალული, ა? მართალი თქვი!

ლევზინი — (მშვიდად). იქ არაფერია!

ბობოელოვი — ეს სიმართლეა?

ლევზინი — ჰო, ასეა!..

ბობოელოვი — ეჰ, ლევზინ, უნდა გრცხვენოდეს! აი, თმა დაგცვენია, გაჭაღარავებულხარ და პატარა ბიჭვიით სტყუი!.. მთიერობამ იცის არა მარტო ის, რასაც აკეთებ, არამედ ისიც, რასაც ფიქრობ. ცუდი საქმეა, ლევზინ! აბა, ხელში რა მიჭირავს?

ლევზინი — ვერ ვხედავ... თვალი არ მიჭრის...

ბობოელოვი — მე გეტყვი. ეს მთავრობისაგან აკრძალული წიგნებია. ისინი მოუწოდებენ ხალხს აჯანყებისაკენ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს წიგნები შენ სახლში ხატების უკან აღმოჩნდა... აბა, რას იტყვი?

ლევზინი — (მშვიდად). ეგრეა.

ბობოელოვი — ცნობ, რომ ეს შენი წიგნებია?

ლევზინი — შეიძლება ჩემიც იყოს. ყველა ისინი ერთი-მეორეს წააგავან...

ბობოელოვი — მერე და რად სტყუი მოხუცი კაცი?

ლევზინი — მე ხომ, თქვენო კეთილშობილება, სრული სიმართლე მოგახსენეთ. თქვენ შემეკითხეთ, — ხატების უკან რა გიძვესო, — და თუ ამას მეკითხებით, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ აღარაფერია, — წაღებულა. მეც მოგახსენეთ, რომ იქ არაფერია! აბა, რად მარცხვინთ? მე ეს არ დამიმსახურებია!

ბობოელოვი — (შემკრთალი). აი თურმე რა! მაინც და მაინც ბევრს ნუ ლაპარაკობ... ჩემთან ხუმრობა არ გარგებს! ვინ მოგცა ეს წიგნები?

ლევზინი — აბა, ეს რად უნდა იცოდეთ? არ გეტყვით, დამავიწყდა კიდეც, საიდანაც მაქვს... თავს ნუ იწუხებთ.

ბობოელოვი — აჰა! ეგრეა? კარგი... ალექსეი გრეკოვ! რომელია გრეკოვი?

გრეკოვი — მე ვარ!

ბობოელოვი — თქვენ იმყოფებოდით სმოლენსკში გამოძიებაში ხელოსანთა შორის რევოლუციური პროპაგანდის საქმეზე, — არა?

გრეკოვი — დიხხ, ვიმყოფებოდი!

ბობოელოვი — ასეთი ახალგაზრდა და — ასეთი ნიჭიერი? სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!... უნდარმებო, გაიყვანეთ ისინი აივანზე... აქ ჰაერი შეხუთულია. ვირიპავე იაკობი, არა? აჰა!.. სენიტოვი ანდრეი?... (უნდარმებს ყველანი აივანზე გაჰყავთ. ბობოელოვი სიით ხელში მათ გაჰყვება).

იაკობი — (ჩუმად). მომწონს ეს ხალხი!

ტატიანა — ჰო! მაგრამ რად არიან ასე უბრალონი? უბრალოდ ლაპარაკობენ, უბრალოდ გამოიყურებიან... რად არ არის მათში აღგზნება? რად არ არის გმირობა?

იაკობი — მათ გულდაჯერებით სწამთ თავიანთი სიმართლე...

ტატიანა — მათში უნდა იყოს აღგზნება! და უნდა იყვნენ გმირები!... მაგრამ აქ... ერთ რამეს კი ვგრძნობ — ჩვენ ყველანი ვეზიზღებით!..

ი ა კ ო ბ ი — რა კარგია ეფიმიჩი!.. რა ყველაფრის გამგები და სვედიან-ალერსიანი თვალები აქვს. თითქოს ის ამბობს: „აბა, რა საჭიროა ყოველივე ეს? ნეტა განზე გადგებოდეთ... მოგვცემდეთ თავისუფლებას. წახვიდოდეთ“.

ზ ა ხ ა რ ი — (ყარებიდან იცქირება). განსაცვიფრებლად გონება-ჩლუნგი ვაუბატონები არიან ხელისუფლების ეს წარმომადგენლები! მოაწყეს სამსჯავრო... ნიკოლაი ვასილევჩის თავი ისე უჭირავს, თითქოს დამპყრობელი იყოს.

ი ა კ ო ბ ი — შენ, ზახარ, მხოლოდ ის არ მოგწონს, რომ მთელი ეს ამბავი შენს თვალწინ ხდება?

ზ ა ხ ა რ ი — ცხადია, შეეძლოთ ისე მოეწყოთ, რომ თავი დამედწია ამ სიამოვნებისათვის.... ნაღია მთლად გადირია... მე და პოლინას საშინელი უტიფრობით გველაპარაკა, კლეოპატრას ქარიულაპია უწოდა, ანლა კი გდია ჩემს დივანზე და ღრიალებს... ერთი სიტყვით, ისეთი დავიდარაბაა, რომ ძალი პატრონს ვერ იცნობს.

ი ა კ ო ბ ი — (ჩაფიქრებულ). მე კი, ზახარ, სულ უფრო და უფრო მეზიზღება აქ მომხდარი ამბავი...

ზ ა ხ ა რ ი — ჰო, მესმის! მაგრამ სხვა გზა არ არის... როცა თავს გესხმიან, თავი უნდა დაიცვა. მყუდრო კუთხე ვერ მიპოვებია მთელს სახლში... თითქოს ყველაფერი ყირამალა დადგაო! რა ნოტიო ჰაერია დღეს, ცივა... ეს წვიმა!... ადრე დაგვიდგა შემოდგომა! (შემოდინ ნიკოლაი და კლეოპატრა, ორივენი აღელვებულნი).

ნიკოლაი — დარწმუნებული ვარ, ის მოსყიდულია.

კლეოპატრა — თვითონ ამას ვერ მოიგონებდნენ... აქ აუცილებლად უნდა ვეძიოთ ჰკვიანი კაცი.

ნიკოლაი — თქვენ ფიქრობთ — სინცოვია?

კლეოპატრა — აბა, სხვა ვინ? აი, ბატონი ბობოედოვი...

ბობოედოვი — (აიხიდან). რით შემიძლია გემსახუროთ?

ნიკოლაი — საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის ბიჭი მოსყიდულია!.. (ჩუმად ელაპარაკება).

ბობოედოვი — (ხმადაბლა). ჰმ!..

კლეოპატრა — (ბობოედოვს). გესმით?

ბობოედოვი — ჰო-ო-ო!... რა არამზადები არიან! (გაცხოველებული ბასით ნიკოლაი და როტმისტრი გადიან. კლეოპატრა მოიხედავს და დიხანახანს ტატიანას).

კლეოპატრა — ა... თქვენ აქა ხართ?

ტატიანა — კიდევ რაიმე მოხდა?

კლეოპატრა — მე მგონი, ეს თქვენთვის სულ ერთია... გაიგეთ სინცოვის ამბავი?

ტატიანა — გავიგე!

კლეოპატრა — (გამომწვევი კილოთ). დიახ, დაპატიმრებულია! მიხარია, რომ ქარხანა გასწმინდეს ამ სარეველა ბალახისაგან და თქვენ?

ტატიანა — მე მგონი, თქვენთვის სულ ერთია, რასაც განვიცდი...

კლეოპატრა — (ნიშნის მოგებით). თქვენ მოგწონდათ ის სინცოვი? (უფურცებს ტატიანას და სახის გამომეტყველება უფრო ლომობიერი უხდება). რა უცნაურად გამოიყურებით... დატანჯული სახე გაქვთ... რისთვის?

ტატიანა — ალბათ ამინდისაგან!

კლეოპატრა — (მიუახლოვდება). აი, რა... შეიძლება ეს სისულელეც იყოს... მაგრამ მე — პირში მთქმელი ადამიანი ვარ! მიცხოვრია... ბევრი, ბევრი რამ განმიცდია... და ძალიან გავბოროტდი! მე ვიცი, რომ მხოლოდ ქალს შეუძლია იყოს ქალის მეგობარი.

ტატიანა — თქვენ გინდათ რაღაც მკითხოთ?

კლეოპატრა — გითხრათ, და არა გკითხოთ! მე თქვენ მომწონხართ!.. ისეთი თავისუფალი მიხრა-მოხრა გაქვთ... და მამაკაცებთანაც კარგად გიჭირავთ თავი. მე მშურს თქვენი ქცევა, როგორ ლაპარაკობთ, როგორ დადიხართ... ხანდახან კი, არ მიყვარხართ... მძულხართ კიდევ!

ტატიანა — ეს საინტერესოა. რისთვის?

კლეოპატრა — (უცნაურად). თქვენ ვინა ხართ?

ტატიანა — არ მესმის, რას მეკითხებით?

კლეოპატრა — ვერ გამიგია — ვინა ხართ? მე მინდა ყოველ ადამიანზე გარკვეული აზრის ვიყო, მინდა ვიცოდე, რა უნდა ამა თუ იმ ადამიანს. ჩემის აზრით, ისინი, ვინც მტკიცედ არ იციან, რა უნდათ — საშიშნი არიან! მათ არაფერი დაეჯერებათ.

ტატიანა — რა უცნაურად ლაპარაკობთ? რად უნდა ვიცოდე მე თქვენი შეხედულებანი?

კლეოპატრა — (მზურვალედ და შეშფოთებით). საჭიროა, რომ ყველანი ცხოვრობდნენ მკიდროდ, შეთანხმებულად, რომ გვეჯროდეს ერთმანეთის! ხომ ხედავთ, — ჩვენ გვბოცავენ, უნდათ გავძარცვონ! ხედავთ, რა ყაჩაღური გამომეტყველება აქვთ დაპატიმრებულებს? იმათ იციან, რაც უნდათ, — ძალიან კარგად იციან! და ისინი შეთანხმებულად ცხოვრობენ, სჯერათ ერთმანეთის... როგორ მძულს ისინი! და თან, როგორ მეშინია მათი! ჩვენ კი სულ ერთმანეთის მტრობაში ვართ, არავისი არ გვეჯრა, არაფრით არ ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, თვითეული ცხოვრობს თავისდა-



თავად... ჩვენ ჟანდარმებს ვეყრდნობით, ისინი კი თავიანთ თავს... და ისინი ჩვენზე ძლიერნი არიან!..

ტატიანა — მინდა გულახდილად შეგვეკითხოთ... თქვენ ბედნიერი იყავით ქმართან?

კლეოპატრა — რად მეკითხებით?

ტატიანა — ისე, მაინტერესებს!

კლეოპატრა — (ჩაფიქრდება). არა! ის ყოველთვის საქმით იყო გართული და ჩემთვის არ ეცალა!

პოლინა — (შემოდის). გაიგეთ? კანტორის მოსამსახურე სინცოვი სოციალისტი აღმოჩნდა! ზახარი კი ისე გულახდილი იყო მასთან და უნდოდა ბულალტერის თანაშემწედაც დაენიშნა. ეს, რასაკვირველია, წვრილმანია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ძნელი ხდება ცხოვრება! თქვენს გვერდით თქვენივე პრინციპული მტერია და ამას კი ვერ ამჩნევთ!

ტატიანა — რა კარგია, რომ მდიდარი არ ვარ!

პოლინა — ეგ სიბერისას თქვი! (კლეოპატრას, ალერსით). კლეოპატრა პეტროვნა, თქვენ კიდევ ერთხელ გთხოვენ კაბის მოსაზომებად... და კრები გამოგზავნეს...

კლეოპატრა — მოვდივარ... რა ცუდად ვარ... გული საძაგლად მიშვებს... არ მიყვარს ავადმყოფობა!

პოლინა — გნებავთ გულის ფრიალის წვეთებს მოგცემთ. ძალიან შევლის.

კლეოპატრა — (მიდის). გმადლობთ.

პოლინა — ახლავე მოვალ. (ტატიანას). ამ ქალს უნდა დაეუყუროთ. ეს მას ამშვიდებს! კარგია, რომ ესაუბრე... და, საერთოდ, მშურს შენი თავის დაჭერა, ტანია... ყოველთვის აირჩევ ხოლმე მოხერხებულ ცენტრალურ პოზიციას!.. წავალ, წვეთებს მივცემ.

(ტატიანა მარტო რჩება და გასცქერის აივანს, სადაც დაპატიმრებულებს ჯარისკაცები დარაჯობენ. შემოიხედავს იაკობი).

იაკობი — (დაცინვით). მე კი კარებს უკან ვიდევქი და ყველაფერი მესმოდა.

ტატიანა — ამბობენ, ეს კარგი არ არის... დამალვა და ყურის გდება...

იაკობი — საერთოდ, კარგი არ არის მოსმენა, რასაც ხალხი ლაპარაკობს... მეზრალეებიან კიდევ... აი რა, ტატიანა, მე მივემსახურებო.

ტატიანა — საით?

იაკობი — საერთოდ... ჯერ არ ვიცი... მშვიდობით!

ტატიანა — (ალერსით). მშვიდობით!.. მოიწერე!

იაკობი — საზარელი, საძაგელი ამბავი ხდება აქ!

ტატიანა — როდის მიდიხარ?

იაკობი — (უცნაურად იღიმება). დღეს... შენც წამოდი, ა?

ტატიანა — ჰო, მეც წამოვალ. რად იღიმები?

იაკობი — ისე... შესაძლოა, მეტი ვედარც კი გნახო...

ტატიანა — რა სისულელეა!

იაკობი — მაშ, მპაპტიე! (ტატიანა შუბლზე აკოცებს. ის ჩუმად იცინის და მოიწორებს). ისე მაკოცე თითქოს მიცვალებული ვიყო. (ნელა მიდის. ტატიანა უუპურებს, უნდა, რომ წაყვეს, მაგრამ შეჩერდება, ხელს ჩაიქნევს, შემოდის ნალია ქოლგით ხელში).

ნადია — გეთაყვა, წამომყევი ბაღში... თავი მტკივა... ახლა იმდენი ვიტირე... რომ ლამის გული გამისკდეს. მარტო თუ წავედი, ავტირდები.

ტატიანა — აბა, რა გაქვს სატირალი, გოგონა? არაფერი!

ნადია — გულზე ჯავრი მაწვება. ვერაფერი ვერ გამიგია. ვინაა მართალი? ძია ამბობს, თითქოს ის იყოს მართალი... მე კი არ მგონია! ის გულკეთილია, არა? ძია! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გულკეთილია... ახლა კი — არ ვიცი. როცა მელაპარაკება, ასე მგონია, მე ვარ ყველაზე სულელი და ბოროტი... და როცა ძიანე ფიქრს დავიწყებ... და შეგვეკითხები ჩემს თავს ყველაფერზე... აღარაფერი აღარ მესმის!

ტატიანა — (სევდიანად). თუ დაიწყებ შენივე თავისთვის კითხვების დასმას, რევოლუციონერი გახდები... და დაიღუპები ამ ქალაქში, ჩემო კუდრაჭავ!

ნადია — უნდა გავხდე რაღაც, უნდა გავხდე! (ტატიანა ჩუმად იცინის). რას იცინი? არ შეიძლება იცხოვრო და იყო ისე, რომ არაფერი გაგეგებოდეს!

ტატიანა — მე იმიტომ გავიცინე, რომ დღეს ყველა ამას ამბობს... ყველა ერთბაშად!

(ვადიან ოთახიდან. ხათ შემოხედებათ გენერალი და პორუჩიკი. პორუჩიკი მარად გზას დაუთმობს).

გენერალი — მობილიზაცია, პორუჩიკო, აუცილებელია! მას ორმაგი მიზანი აქვს. (ნადიას და ტატიანას). თქვენ საით, ა?

ტატიანა — სასერიზოდ.

გენერალი — თუ შეხვდებით იმ კანტორის მოსამსახურეს... რა ქვია? პორუჩიკ, რა გვარია ის კაცი, ახლახან რომ გაგაცანიო?

პორუჩიკი — პოკატი, თქვენო აღმატებულებავ.

გენერალი — (ტატიანას). გამომიგზავნეთ. მე სასადილო ოთახში ვიქნები და ჩაის დავლევ კონიაკით... ხო-ხო-ხო-ხო! (მიმოიხედავს

და პირთან ხელს მიიტანს). გმადლობთ, პორუჩიკ! თქვენ კარგი მეხსიერება გაქვთ, დიახ! ეს მშვენიერია! ოფიცერს უნდა ახსოვდეს თავისი ასეულის ყოველი ჯარისკაცის გვარი და სახე. როცა ჯარისკაცი ახალი გაწვეულია, ის გაიძვერა ცხოველია, ეშმაკი, ზარმაცი და სულელი. ოფიცერი მას სულში ჩაწვდევს, იქ ყველაფერს თავის გეძობზე მიაღვ-ძობაღვებს, რათა ცხოველი გონიერ, მოვალეობისადმი ერთგულ ადამიანად გადააქციოს.

(შემოდის ზახარი, შეშფოთებულია).

ზახარი — ძია, იაკობი ხომ არ გინახავთ?

გენერალი — არ მინახავს. იქ ჩაი არის?

ზახარი — არის, არის! (გვეჩეხი და პორუჩიკი გადიან. ზინიდან შემოდის გაგულისებული, თაგაფეხილი კობი). კონ, ჩემი ძმა არ დაგინახავთ?

კონი — (დაღვრებით). არა, მე ახლა აღარაფერს ვიტყვი. კიდევ რომ დავინახო ვინმე, მაინც არ ვიტყვი... გავჩუქდები... ძეყოფა! ბევრი ვიყებდე ჩემი დღე და წუთისოფელი!..

პოლინა — (სოლია). იქ გლვებები ითვიდნენ, ისევ მოითხოვენ საიჯარო ქირის ვადის ვადიდებას.

ზახარი — აი, ნახეს რაღა დრო...

პოლინა — ჩივიან, ცუდი მოსავალი იყო და არა გაგვანინა რა, რითი გადავიხადოთ?

ზახარი — ყოველთვის ჩივიან!.. იაკობი არ შეგხვედრია?

პოლინა — არა! რა პასუხი გავცე?

ზახარი — გლვებებს? კახტორაიი წაივინენ. მათთან სჯა-ბაასის თავი არა მაქვს!

პოლინა — კანტორაში არავეინა! ხომ იცი, რომ დღეს ჩვენსას სრული ანარქიაა. მალე სადილობის დრო იქნება და ეს როტმისტრი კი სულ ჩაის თხოულობს. სასადილოდან ჯერაც არ გაუტანიათ დილით დადგმული საშოვარი და, საერთოდ, სიცოცხლე რაღაც პამპულაობასა ჰვავს.

ზახარი — იცი, იაკობმა უეცრად სადღაც წასვლა დააპირა.

პოლინა — მაპატიე, მაგრამ, მართალი გითხრა, კარგს იზამს, თუ სადმე წავა!..

ზახარი — ჰო, რასაკვირველია. საშინლად მალეღვებს, რაღაც სისულელეებს რომავს... აი, ახლაც ამედევენა და მეკითხება: შესაძლოა თუ არა შენი რევოლვერით ყვავის მოკლაო? კიდევ რაღაც კადნიერი სიტყვები მითხრა. ბოლოს წავიდა და რევოლვერიც თან წაიღო... ყოველთვის მთერალია. (ზინიდან შემოდის სინცოვი ორი ეჭის დარმით და კვაჩი. პოლინა უსიტყვოდ უყურებს ლორწებით სინცოვს და ვადის ზახარი შემკრთალია. სათვალეს ისწორებს, შემდეგ უკან დაიხევს).

ზახარი — (საყვედურით). აი, ბატონო სინცოვ... რა სავეალალოა, ძალიან მებრალებით, ძალიან.

სინცოვი — (ლიმლით). ნუ სწუხართ... ღირს განა?..

ზახარი — ღირს! ადამიანები უნდა თანაუგრძობდნენ ერთმანეთს... და მაშინაც კი, როდესაც კაცი, რომელსაც ვენდობოდი, არ ამართლებს ჩემს ნდობას... მაინც... როცა მას უბედურებაში ვხვდავ, ჩემს მოვალეობად ვთვლი თანაუგრძობ... დიახ! მშვიდობით, ბატონო სინცოვ!

სინცოვი — ნახვამდის!

ზახარი — ხომ არ გაქვთ ჩემს მიმართ რაიმე პრეტენზიები?

სინცოვი — არავეითარი.

ზახარი — (შემკრთალი). ძალიან კარგი. მშვიდობით! თქვენი ჯამაგირი გამოგეგზავნებათ... დიახ! (მიდის). მაგრამ ეს აუტანელია! ჩემი სახლი რაღაც უანდარმთა კანცელარიად გადააქციეს!

(სინცოვი ჩაიცინებს. კვაჩი ამ ხნის განმავლობაში დაბეჯითებით ათვლიერებს მას, განსაკუთრებით მის ხელებს. სინცოვი ამას შეამჩნევს და კვაჩს რამდენიმე წამით თვალს თვალში გაუყრის. ეს უკანასკნელი ჩაიცინებს).

სინცოვი — აბა, რა ამბავია?

კვაჩი (გახარებული). არაფერია... არაფერი!

ბობოეღოვი — (შემოდის). ბატონო სინცოვ, თქვენ ახლავე გამეგზავრებით ქალაქში.

კვაჩი (გახარებული). თქვენო კეთილშობილებავ, ეგ სრულებით არაა ბატონი სინცოვი, არამედ სულ სხვა ვინმეა!..

ბობოეღოვი — როგორ? გარკვევით ილაპარაკე!

კვაჩი — მე ხომ მას ვიცნობ! ის ცხოვრობდა ბრიანსკის ქარხანაში მაქსიმ მარკოვის სახელით! იქ დააპატიმრეს... ორი წლის წინათ, თქვენო კეთილშობილებავ!.. მარცხენა ხელის ცერზე ფრჩხილი არა აქვს, მე ვიცი! ალბათ გამოქცა საიდანღაც და სხვისი პასპორტით ცხოვრობს.

ბობოეღოვი — (ნასიამოვნება და გაკვირებულიც). მართალია, ბატონო სინცოვ?

კვაჩი — სრული სიმართლეა, თქვენო კეთილშობილებავ!..

ბობოეღოვი — მაშ თქვენ სინცოვი არა ხართ, ტე-ტე-ტე-ტე!

სინცოვი — ვინც არ უნდა ვიყო, თქვენ ვალდებული ხართ ზრდილობიანად მომექცეთ... ნუ დაივიწყებთ!..

ბობოეღოვი — ო-ჰო-ჰო! აქედანვე გეტყობათ, სერიოზული კაცი ბრძანდებით. კვაჩ, შენ თვითონ გაჰყევი!.. თვალი არ მოაშორო!

კვაჩი — მესმის!

ბობოეღოვი — (გახარებული). მაშ ასე, ბატონო სინცოვ,

ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, ახლავე ქალაქში გაემგზავრებით. კვან, დაუყოვნებლივ მოახსენე უფროსს ყოველივე, რაც იცი და ახლავე გამოითხოვეთ მისი ძველი საქმეები... თუმცა, ამას მე თვითონ გავაკეთებ! მოიცადე, კვან... (აჩქარებით გადის).

კვან — (გულუბრყვილოდ). აი, ისევ შევხვდით ერთმანეთს.

სინცოვი — (ჩაიცინებს). გიხარიათ?

კვან — როგორ არა! ძველი ნაცნობები ვართ!

სინცოვი — (ზიზღით). დროა თავი დაანებოთ ამ საქმეს. ჭაღარა შემოგრევიათ და ძალღივით კი დარბიხართ, კვალს დასდევთ... ნუთუ, არ გრცხვენიათ?

კვან — (გულუბრყვილოდ). რა უშავს, მივეჩვიე! ოცდასამი წელიწადია რაც ვმსახურობ... და ძალღივით კი არა... უფროსები მაფასებენ კიდევ. ორდენს დამპირდნენ, ახლა მომცემენ!

სინცოვი — ჩემს გამოა?

კვან — სწორედ თქვენს გამო! თქვენ საიდან გამოიქცით?

სინცოვი — შემდეგ გაიგებთ!

კვან — გავიგებთ! გახსოვთ, იქ, ბრიანსკეში ერთი შეგვეგრემანი რომ იყო, სათვალეზიანი? მასწავლებელი სავიციო? ისიც ამას წინათ დააპატიმრეს... ციხეში მოკვდა... ძალიან ავადმყოფი კაცი იყო! მაინც ცოტანი ხართ!

სინცოვი — ბევრნი ვიქნებით... დაგვაცადეთ!

კვან — ეს კი კარგია! რაც მეტია პოლიტიკური, მით უკეთესია ჩვენთვის.

სინცოვი — ჯილდოებს უფრო ხშირად მიიღებთ, არა?

(კარებში გამოჩნდებიან ბობოელოვი, გენერალი, პორუჩიკი, კლეოპატრა და ნიკოლაი).

ნიკოლაი — (შეხედავს სინცოვს). მე ამას ვგრძნობდი... (გადის).

გენერალი — კარგი ვინმე კი ბრძანებულა!

კლეოპატრა — ახლა გასაგებია, საიდან ჰქროდა ქარი!

სინცოვი — (ირონიით). მომისმინეთ, ბატონო ქანდარმო, ვერ ხვდებით, რომ სულელურად ირჯებით?

ბობოელოვი — ნუ... ჰკუას ნუ მასწავლით!

სინცოვი — (დაჟინებით). არა, გასწავლით! შესწავიტეთ ეს სულელური სპექტაკლი!

გენერალი — ო-ო-ო! როგორიო? ა?

ბობოელოვი — (ყვირის). კვან, გაიყვანეთ!

კვან — მესმის! (ვაჟავს სინცოვი).

გენერალი — ალბათ, მხეცია, ა? როგორ ღრიალებს!

კლეოპატრა — დარწმუნებული ვარ, რომ ისაა ყველაფრის წამომწყები.

ბობოელოვი — შესაძლებელია... სავსებით შესაძლებელია!

პორუჩიკი — მს გაასამართლებენ, არა?

ბობოელოვი — (ჩაიცინებს). მას უწვევოდაც კარგად მივირთმევთ... ისედაც გემრიელია!

გენერალი — კარგი ნათქვამია! როგორც ხამანწკებს... ჰამ!

ბობოელოვი — აჰა! აჰა, თქვენო აღმატებულებაე, ახლა ჩვენ უცბად გაიყოფთ ნანადირევს და გაგანთავისუფლებთ ამ ანეგლოტისაგან! ნიკოლაი ვასილევჩი, სადა ხართ?

(ყველანი გადიან. აივნიდან შემოდის ბოქაული).

ბოქაული — (კონს). დაკითხვა აქ იქნება?

კონი — (დაღვრვილი). არ ვიცი. არაფერი არ ვიცი!

ბოქაული — მაგიდა, ქალაღლები... მაშასადამე, აჰა. (ლაპარაკობს აივნიდან პირმიბრუნებული). შემოიყვანეთ აქ ყველანი! (კონს). განსვენებული შეცდომაში შევიდა. სთქვა, წითურმა მესროლაო, მკვლეელი კი შეგვეგრემანი ყოფილა!

კონი — (ბუზღუნით). ცოცხლებიც კი შედიან შეცდომაში...

(აივნიდან კვლავ შემოჰყავთ პატიმრები).

ბოქაული — დააყენე აქ... ჩაამწკრივე! მოხუცო, ამ კიდეზე დადექი! არა გრცხვენია? ბებერო ძაღლო!

გრეკოვი — რად ილანძლებით?

ლევშინი — არა უშავს! ალიოშა! დაე, თქვას, რაც უნდა!..

ბოქაული — (მუქარით). მე შენ გიჩვენებ სეირს!

ლევშინი — არაფერია! თანამდებობა აქვს ასეთი — არ შეიძლება კაცს არ აწყენინოს!

(შემოდინ ნიკოლაი, ბობოელოვი და გენერალი. მაგიდას მიუსხდებიან. გენერალი კუთხეში, სავარძელში მოთავსდება. მის უკან პორუჩიკი დგას. კარებში კლეოპატრა და პოლინა. შემდეგ მათ უკან ტატიანა და ნადია. მათ ამოფარებიან და უკმაყოფილოდ იტყვიან ზახარი. საიდანაც, გვერდიდან ფრთხილად შემოდის პოლოვი, სალამს აძლევს მაგიდასთან მჯდომთ და დაბნეული გაჩერდება შუა ოთახში. გენერალი თითის ქნევით დაუძახებს. ის ფეხ-კრეფით მიდის და დადგება გენერლის გვერდით. შემოჰყავთ რიბაცოვი).

ნიკოლაი — დავიწყოთ. პაველ რიბაცოვი!..

რიბაცოვი — რა იყო?

ბობოელოვი — „რა იყო“ კი არა, ბრიყვო, — რა გნებავთ-თქო.

ნიკოლაი — მაშასადამე, დაჟინებით ამტკიცებთ, რომ დირექტორი სწორედ თქვენ მოჰკალით?

რიაბცოვი — (უკმაყოფილოდ). მე უკვე ვთქვი... რაღას მე-  
კითხებით?

ნიკოლაი — თქვენ იცნობთ ალექსეი გრეკოვს?

რიაბცოვი — რომელს?

ნიკოლაი — აი, თქვენს გვერდით რომ დგას!

რიაბცოვი — ის ჩვენთან მუშაობს.

ნიკოლაი — ესე იგი, ნაცნობები ხართ?

რიაბცოვი — ჩვენ ყველანი ნაცნობები ვართ!

ნიკოლაი — რასაკვირველია. მაგრამ თქვენ მის სახლში ყო-  
ფილხართ, დრო გიტარებით მასთან... საერთოდ, ახლოს იცნობთ?  
ამხანაგები ხართ?

რიაბცოვი — მე ყველასთან დროს ვატარებ. ჩვენ ყველანი  
ამხანაგები ვართ.

ნიკოლაი — მე მგონი, სტყუით! ბატონო პოლოგი, გვითხარით,  
როგორ დამოკიდებულებაშია რიაბცოვი გრეკოვთან?

პოლოგი — მჭიდრო მეგობრულ დამოკიდებულებაში... აქ  
ორი კამპანია... ახალგაზრდებს ხელმძღვანელობს გრეკოვი, მეტად  
თავხედი ყმაწვილი. მას სჩვევია კადნიერი მოპყრობა მასზე უზომოდ  
მალა მდგომ პირებთან. ხანშიშესულებს კი ხელმძღვანელობს  
ეფიმ ლევშინი... კაცი, ფანტასტიკური თავის სიტყვებში და მელის  
მაგვარი ყოფაქცევაში...

ნადია — (ჩუმად). ოხ, რა არამზადა!

(პოლოგი გადახედავს მას და გაკვირვებით უყურებს ნიკოლაის ნიკოლაი  
მოხედავს ნადიასაკენ).

ნიკოლაი — აბა, განაგრძეთ!

პოლოგი — (ამოიხზრებს). მათ აერთებთ ბატონი სინცოვი, რო-  
მელიც ყველასთან კარგ დამოკიდებულებაშია. ეს პიროვნება არა  
ჭგავს საშუალო ჭკუის ადამიანს. ის კითხულობს სხვადასხვა წიგ-  
ნებს და ყველაფერზე თავისი შეხედულება აქვს. მის ბინაზე, რომე-  
ლიც ჩემს პირდაპირაა და სამი ოთახისაგან შედგება...

ნიკოლაი — ეგრე დაწერილებით არაა საჭირო.

პოლოგი — ბოდიში... სიმართლე ფორმის სისრულეს მოით-  
ხოვს... მის ბინაზე დადიან სხვადასხვა პირები და აგრეთვე აქ მყოფ-  
ნიც, როგორც, მაგალითად, გრეკოვი...

ნიკოლაი — გრეკოვ, ეს მართალია?

გრეკოვი — (მშვიდად). გთხოვთ, კითხვებით ნუ მომმართავთ,  
პასუხს არ გაგეცემთ.

ნიკოლაი — ეს თქვენთვის უარესია!

ნადია — (ხმაშადა). ყოჩაღ, ეს კარგია!

კლეოპატრა — ეს რა ბავშვური გამოსვლებია?

ზახარი — ნადია, ჩემო ძვირფასო!..

ბობოედოვი — სსუ.

(აივანზე ხმაურობა).

ნიკოლაი — მე ზედმეტად მიმაჩნია აქ უცხო პირთა დას-  
წრება...

გენერალი — ჰმ... ვინ არიან აქ უცხო პირები?

ბობოედოვი — კეჩი, გაიხედე, რა ხმაურობაა?

კეჩი — ვილაც კაცი კარებისკენ იწევს, თქვენო კეთილშობი-  
ლებავ, კარებს აწეება და ილანძღება, თქვენო კეთილშობილებავ!

ნიკოლაი — რა უნდა? ვინ არის?

ბობოედოვი — ჰკითხე!

პოლოგი — მიბრძანებთ შეეჩერდე, თუ განვაგრძო?

ნადია — ო, საზიზღარო!

ნიკოლაი — შეჩერდით... უცხო პირებს ვთხოვ დასტოვონ  
დარბაზი!

გენერალი — მოითმინეთ... ეს როგორ გავიგოთ?

ნადია — (ყვირის გამოწვევი კოლოთი). უცხო პირები აქ — თქვენა  
ხართ! თქვენ, და არა მე! თქვენ ყველა უცხო პირები ხართ... მე აქ —  
ჩემს სახლში ვარ! ეს მე შემძლია მოვითხოვო, რომ განვიდეთ  
აქედან...

ზახარი — (აღიღვებულო, ნადიას). წადი, ბოლოს და ბოლოს! ამ  
წუთშივე... წადი!

ნადია — ჰო? აი რა!.. თურმე მართლაც... ნამდვილად მე ვყო-  
ფილვარ უცხო პირი! მამ წავალ, მაგრამ გეტყვით...

პოლინა — შეაჩერეთ... ის რაღაც საშინელს იტყვის!

ნიკოლაი — (ბობოედოვს). უთხარით ჟანდარმებს, რომ კარი  
მიხურონ!

ნადია — თქვენ ყველანი უსინდისო ხალხი ხართ... უგულოები,  
საცოდავები... უბედურები!

კეჩი — (შემოდის გახარებული). თქვენო კეთილშობილებავ! კი-  
დევერთი აღმოჩნდა!

ბობოედოვი — რაო?

კეჩი — კიდევერთი მკვლელი მოვიდა!

(მაგიდისაკენ აუჩქარებლად მიდის აკიმოვი, წითური ყმაწვილი დიდი უღვაშებით).

ნიკოლაი — (ძალაუნებურად წამოიწევა). აქ რა გინდა?

აკიმოვი — მე მოვკალი დირექტორი!

ნიკოლაი — შენ?

აკიმოვი — მე!

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — (ჩუმად). ა-ა... არამზადა! სინდისმა შეგაწუხა?..

პ ო ლ ი ნ ა — ღმერთო ჩემო! რა საშინელი ხალხია!

ტ ა ტ ი ა ნ ა — (მშვიდად). ეს ხალხი გაიმარჯვებს!

ა კ ი მ ო ვ ე — (დაღრვებით). აბა, რას უცდით! აჰა, შემკამეთ! მე მოვკალი!

(ყველა შემკრთალია. ნიკოლაი რაღაცას უჩურჩულებს ბობოეღოვს. ის დაბნეულად იღიმება. დაპატინრებულთა ბრბოში სიჩუმეა. კარებიდან ნადია უყურებს აკიმოვს და ტირის. პოლინა და ზახარი ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებიან. სიწყნარეში მკაფიოდ ისმის ტატიანას წყნარი ხმა).

ტ ა ტ ი ა ნ ა — (ნადიას). ნუ სტირი, ეს ხალხი გაიმარჯვებს!

ლ ე ვ შ ი ნ ი — ეხ, აკიმოვ, რატომ...

ბ ო ბ ო ე დ ო ვ ე — ხმა ჩაიწყვიტე!

ნ ა დ ი ა — (აკიმოვს). რად ჩაიღინეთ ეს, რად?

ლ ე ვ შ ი ნ ი — ნუ ყვირი, თქვენო კეთილშობილებავ. შენზე უფროსი ვარ.

ა კ ი მ ო ვ ე — (ნადიას). ვერაფერს ვერ გაიგებთ, სჯობია წახვიდეთ აქედან...

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — როგორ სათნო კაცად მოჰქონდა თავი ამ საზიზღარ მოხუცს.

ბ ო ბ ო ე დ ო ვ ე — კვაჩ!

ლ ე ვ შ ი ნ ი — რას გაჩუმებულხარ, აკიმოვ! ილაპარაკე! თქვი, როგორ მოგაბჯინა გულზე დამბაჩა, და მაშინ შენც...

ბ ო ბ ო ე დ ო ვ ე — (ნიკოლაის). გესმით, რას ასწავლის? ახ, ბებურო მატყუარავ!

ლ ე ვ შ ი ნ ი — არა, მე მატყუარა არა ვარ...

ნ ი კ ო ლ ა ი — აბა, ახლა რაღას იტყვი, რიაბცოვ?

რ ი ა ბ ც ო ვ ე — რას? არაფერს!

ლ ე ვ შ ი ნ ი — გაჩუმდი! შენ — გაჩუმდი. ისინი გაიძვერები არიან, სიტყვებით ჩვენ გეჯობიან...

ნ ი კ ო ლ ა ი — (ბობოეღოვს). აქედან გააგდეთ!

ლ ე ვ შ ი ნ ი — ჩვენ ვერ გაგვაგდებთ, ვერა! გეყოთ! ვცხოვრობდით უკანონობის წყევლიაღში, კმარა! ახლა ჩვენ თვითონ ავანთეთ სინათლე! ვერ ჩაგვაქრობთ ვერავეითარი შიშით, ვერ ჩაგვაქრობთ...

ფ ა რ დ ა